ხელშეკრულება № GF-H/ET/S-558
*(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)*

ქ. თბილისი 30 მაისი 2018 წელი

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

1.1 ერთი მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის/პროგრამების დირექტორის ირმა ხონელიძის სახით და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „საერთაშორისო ფონდი კურაციო" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის გიორგი გოცაძის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. შემსყიდველმა ელექტრონული (NAT180005936) ტენდერის საშუალებით განახორციელა შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული (**„საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა"** - გრანტი: GEO-H-NCDC) პროგრამის ფარგლებში აივ ინფექციის მაღალი რისკის შემცველ სამიზნე ჯგუფში - მამაკაცები, რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან სარისკო ქცევაზე ზედამხედველობის და აივ ინფექციის გავრცელების ტენდენციის შესწავლის მიზნით ბიომარკერული/ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის განხორციელების მომსახურების (85100000 - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები) შესყიდვა, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ხსენებული მომსახურება 333,142.25 (სამას ოცდა ცამეტი ათას ას ორმოცდა ორი ლარი და 25 თეთრი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

მომსახურების გაწევის პერიოდია 2018 წლის ივნისიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

**3. ხელშეკრულების ზოგადი დებულებანი.**

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება და ხელშეკრულების დანართები, რომლებიც ითვლება მის განუყოფელ ნაწილად, ერთად ქმნის მოცემულ ხელშეკრულებას.

3.2. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებული ყველა მონაცემი, პარამეტრი, ვადები, ტექნიკური და სხვა პირობები, მათ შორის, მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების პირობებს.

3.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას წარმოდგენილი ანგარიშებისა და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე დააფინანსოს მიმწოდებლის მიერ პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული მომსახურებები; შეიძინოს, მიიღოს და სარგებლობის უფლებით მიმწოდებელს გადასცეს პროგრამის აქტივები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.**

4.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 30 მაისიდან 2019 წლის 30 მარტის ჩათვლით.

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| სსიპ „ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" | ა(ა)იპ „საერთაშორისო ფონდი კურაციო" |
| მისამართი:<br>ქ.თბილისი, ასათიანის ქ.№9<br>ს/კ - 211324351<br>ბ/კ - სახელმწიფო ხაზინა TRESGE22<br>ა/ა - GE24NB0330100200165022 | მისამართი:<br>ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №37 დ<br>ს/კ - 203834716<br>ბ/კ - სს "თი ბი სი" ბანკი TBCBGE22<br>ა/ა - GE66TB1100000004700404 |
| ირმა ხონელიძე<br>გენერალური დირექტორის მოადგილე/<br>პროგრამების დირექტორი | გიორგი გოცაძე<br>პრეზიდენტი |

## ხელშეკრულების პირობები

1. მხარეთა ვალდებულებები

1.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

1.1.1. განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ხარისხიანად დანართი №5 (პროექტის განხორციელების მეთოდოლოგია) და გეგმა-გრაფიკის (დანართი №6) შესაბამისად;

1.1.2. ფლობდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორებისთვის ცალკე საბანკო ანგარიშს კომერციულ ბანკში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ყველა მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო საბანკო სტანდარტებს და მარეგულირებელ ნორმებს, მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს;

1.1.3. აწარმოოს (და უზრუნველყოს, რომ ქვეკონტრაქტორმა აწარმოოს) საბუღალტრო აღრიცხვა (ჩანაწერები, დოკუმენტები და სხვა), რომელშიც დეტალურად ასახული იქნება პროგრამასთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ყველა დანახარჯი და შემოსავალი. პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს მიმწოდებელთან (ასევე ქვეკონტრაქტორებთან), ბოლო გადახდის თარიღიდან სულ მცირე შვიდი წლის განმავლობაში, ან უფრო მეტი ხნის განმავლობაში, რომელიც საჭირო იქნება ნებისმიერი პრეტენზიის ან აუდიტის შედეგად გამოვლენილი შედეგების გამოსასწორებლად, ან თუ ამას მოითხოვს გლობალური ფონდი ან შემსყიდველი;

1.1.4. შემსყიდველის მოთხოვნით წარმოადგინოს მომსახურების გასაწევად შესაძენი აქტივების დაზუსტებული რაოდენობები, ტექნიკური მახასიათებლები, მიწოდების ვადები (დანართი №7).

1.1.5. არაადეკვატური ექსპლუატაციით და/ან დაკარგვით მიყენებული ზიანის შემთხვევაში, აუნაზღაუროს შემსყიდველს მიყენებული მატერიალური ზარალი;

1.1.6. გამოიყენოს აქტივები მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის;

1.1.7. მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხების, ან აქტივების გამოყენება ძალადობის და/ან ტერორიზმის მიზნებისთვის ან ფულის გათეთრების საქმიანობების მხარდასაჭერად, და/ან იმ ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რომლებიც მხილებულნი არიან ტერორიზმის ან ფულის გათეთრების საქმიანობაში. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ. გვერდზე http://www.theglobalfund.org/en/operational განთავსებული) „ქცევის კოდექსი გლობალური ფონდის სახსრების რეციპიენტებისთვის" და უზრუნველყოს მისი გაცნობა ქვეკონტრაქტორებისთვის.

1.1.8. მიმწოდებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს და დაიცვას გლობალური ფონდის გრანტების შესახებ მარეგულირებელი ნორმები (2014), რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართი №9).

1.1.9. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მან და მისმა ქვეკონტრაქტორებმა გლობალური ფონდის, მათ შორის გენერალური ინსპექტორატის წარმომადგენლებს და გლობალური ფონდის მიერ უფლებამოსილ მესამე მხარეს მისცენ შეუზღუდავი წვდომის უფლება შემდეგზე: (ა) საბუღალტრო წიგნები, ჩანაწერები, დოკუმენტები და წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა მტკიცებულებანი (ფინანსური და პროგრამული), რომელსაც მიმწოდებელი აწარმოებს პროგრამასთან დაკავშირებით; (ბ) მიმწოდებლის და ყველა ქვეკონტრაქტორის შენობა- ნაგებობებში, სადაც პროგრამასთან დაკავშირებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები ინახება და/ან პროგრამული ღონისძიებები ხორციელდება ან ხორციელდებოდა; (გ) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულება შეიცავდეს ამ პუნქტში განსაზღვრულ შეუზღუდავი წვდომის უფლებას. შეუზღუდავი წვდომის უფლების დარღვევა განიხილება ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევად.

1.1.10. უზრუნველყოს კვლევის მონაცემთა ბაზის (საბოლოო, გაწმენდილი ვერსია) სრულად მიწოდება შემსყიდველისთვის. დაუშვებელია მონაცემთა ბაზის მესამე პირზე გადაცემა შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე. კვლევის მონაცემები წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას. მიმწოდებელმა არ უნდა დაუშვას კვლევის შედეგების გამოქვეყნება ან მესამე პირთან გაზიარება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

1.2. შემსყიდველი ვალდებულია:

1.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, უზრუნველყოს ადეკვატური და დროული ანგარიშსწორება.

1.2.2. უზრუნველყოს მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივებით (დანართი №7)

1.2.3. უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული ინფორმირება გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა აღნიშნული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების მართვის ჯგუფის აივ შიდსის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი ლელა სერებრიაკოვა, ფინანსების სპეციალისტი რუსუდან სამუნაშვილი, შესყიდვების სპეციალისტი ხათუნა კაპანაძე.

2.2. ინსპექტირება:

ა) შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისთვის შემსყიდველი განახორციელებს გაწეული მომსახურების ინსპექტირებას;

ბ) ინსპექტირება განხორციელდება ყოველთვიურად, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი ანგარიშების/დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე;

გ) ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

2.3. მონიტორინგი:

ა) შემსყიდველი იტოვებს უფლებას განახორციელოს პროგრამულ/ფინანსური ნაწილის მონიტორინგი ადგილზე ვიზიტის საფუძველზე (როგორც მიმწოდებელთან, ასევე მის ქვეკონტრაქტორებთან);

ბ) მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს მონიტორინგის შედეგები;

გ)მიმწოდებელი ვალდებულია უმოკლეს ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების/მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, მათი არსებობის შემთხვევაში;

დ) მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტის დედანი (ხოლო ქვეკონტრაქტორებისგან მიღებული დოკუმენტაციის ასლი) სავალდებულოა ინახებოდეს მიმწოდებელთან (ქვეკონტრაქტორებთან უნდა ინახებოდეს მათ მიერ მიმწოდებელისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის დედანი) და მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინოს შემსყიდველს;

2.4. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3. მომსახურების განხორციელების პირობები (გეგმა-გრაფიკი)

3.1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება 2018 წლის ივნისიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის (დანართი №6) მიხედვით. დანართი №6 წარმოადგენს საორიენტაციო გეგმა-გრაფიკს, საჭიროების შემთხვევაში, მხარეები ერთობლივად თანხმდებიან გეგმა-გრაფიკის ცვლილების საკითხზე.

4. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებელი შემსყიდველს, დადგენილი ფორმით ყოველი მომდევნო თვის 10 (ათი) კალენდარულ დღის ჩათვლით წარუდგენს ყოველთვიურ ანგარიშს ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის ასლები, ამონაწერი მომსახურე ბანკიდან და ბრუნვითი ბალანსის ასლები. ანგარიში შემსყიდველს წარედგინება როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე;

4.2. შემსყიდველი მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ყოველთვიურ ანგარიშს დადგენილი ფორმით განიხილავს წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3. შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება ამ მუხლის 4.1. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშისა და წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების აქტების (დანართი №3) გაფორმების საფუძველზე;

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია შეცვალოს ინფორმაციის წარმოდგენისა და ანგარიშგების ფორმები, რის შესახებაც 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს.

5. სტანდარტები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საერთაშორისოდ აღიარებული და/ან ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებით;

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს არაჯეროვნად შესრულებული ღონისძიებების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

5.3. მიმწოდებელის მიერ, 5.2. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში

შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები პროგრამის განხორციელებისას წარმოქმნილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და დააკავოს შესაბამისი ხარჯები ხელშეკრულების თანხიდან.

6. ხელშეკრულების ღირებულება

6.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 333,142.25 (სამას ოცდაცამეტი ათას ას ორმოცდაორი ლარი და 25 თეთრი) ლარს, რომლის დეტალური პარამეტრები წარმოდგენილია დანართი №4-ში და დანართი №4-1-ში;
6.2. შემსყიდველი მიმწოდებელს დამატებით უზრუნველყოფს მომსახურების გასაწევად აუცილებელი საქონლით (დანართი №7). შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელთან შეთანხმებით შეიტანოს კორექტირება შესასყიდი საქონლის ჩამონათვალში/რაოდენობაში, რომელიც აღწერილია დანართ №7-ში.
6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.4. ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად.

7 ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №3-ის შესაბამისად.
7.3. შემსყიდველის მიერ ყოველი თვის გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
7.4. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების გარდა თანხების სხვა მიზნით გამოყენება (თუნდაც დროის მცირე მონაკვეთში) დაუშვებელია. მკაცრად იკრძალება ნებისმიერი საშუალებით თანხების გადარიცხვა, გადახდა, გადაცემა ან კონვერტაცია:
ა) მესამე მხარესთვის, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული პროგრამის და ამ ხელშეკრულების განხორციელებასთან;
ბ) ღონისძიებებისთვის, რომლებიც პროგრამის უშუალო მხარდაჭერას არ უკავშირდება;
7.5. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ამ ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეზღუდვების გამოყენების უფლებას სახელშეკრულებო თანხების ნებისმიერი ტრანზაქციის შემთხვევაში, რომელიც ამ ხელშეკრულების 1.1.8 ან 7.4. მუხლების პირობების დარღვევით შესრულდება (შემდგომში „არასანქცირებული ტრანზაქცია“);
7.6. მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა, ფინანსური და სხვა, არასანქცირებული ტრანზაქციით გამოწვეულ ზარალზე, და აუნაზღაუროს შემსყიდველს არასანქცირებული ტრანზაქციით გამოწვეული ზარალის ან მიღებული შემოსავლის ოდენობა.

8. გადასახადები

8.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების გადახდაზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. შემსყიდველის მიერ შესაძლებელია ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას ცვლილებები აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მოთხოვნის საფუძველზე.
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;
9.3. ხელშეკრულების დანართი №4-ში (პროექტის ბიუჯეტი), ერთი საბიუჯეტო ხაზისა და ბიუჯეტის ქვეკატეგორიების ფარგლებში დაფიქსირებული თანხების გადანაწილება, დანართი №7-ში (შემსყიდველის მიერ შესასყიდი აქტივების ჩამონათვალი) ნებისმიერი ცვლილება და დანართი №8-ით განსაზღვრული პროგრამის განხორციელებაში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების საწვავის საშუალო თვიური ლიმიტების გაზრდა ან/და შემცირება შესაძლებელია განხორციელდეს შემსყიდველთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების ცვლილების გარეშე.
9.4. წინამდებარე ხელშეკრულების 9.3 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად“.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი, გარდა ქვეკონტრაქტორისა.
10.2. ვალდებულებების ან უფლება-მოვალეობების ქვეკონტრაქტორებისთვის გადაცემის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს.
10.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით მიღებული ინფორმაციის გავრცელება აკრძალულია შემსყიდველის თანხმობის გარეშე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, აღნიშნული უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული პირობებისა, შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ხელშეკრულების ამ პუნქტით გათვალისწინებული სანქციები;
12.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი მიმწოდებელს დააკისრებს პირგასამტეხლოს, ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი აქტივობის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
12.3. ხელშეკრულების 7.3 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
12.4. მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 7.4 პუნქტის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ გახარჯული თანხა არ ანაზღაურდება;
12.5. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.
12.6. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო არ შეიძლება გადახდილ იქნას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხებიდან.

13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

13.1. ხელშეკრულებაში გამოიყენება საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 6,688.30 (ექვსი ათას ექვსას ოთხმოცდარვა ლარი და 30 თეთრი) ლარს.
13.2. წინამდებარე ხელშეკრულება უწყვეტად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიით, ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის განმავლობაში.
13.3. ხელშეკრულების შესრულების გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო;
13.4. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენა და ამის შესახებ გარანტიის გამცემი ბანკის ინფორმირება წარმოადგენს ძირითად საფუძველს გარანტიის გამცემი ბანკის მიერ საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის უკან დასაბრუნებლად.
13.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.
13.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნებს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველს მიმწოდებლისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე შეუძლია შეწყვიტოს ან შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არ შეწყდა ან შეჩერდა, ძალაში უნდა დარჩეს;
14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
14.3. ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული რომელიმე მხარის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, დონორის დაფინანსების მკვეთრი შემცირებით ან შეწყვეტით და სხვა;
15.2. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას;
15.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის დადებული ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;
16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, მხარეებს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლიათ იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. აუდიტი

17.1. შემსყიდველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შეფასების და შესაბამისი თანხების ხარჯვის კონტროლის მიზნით უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის და მისი ქვეკონტრაქტორის აუდიტი და/ან ფინანსური შემოწმება, სასამართლო აუდიტი ან შეფასება, ან განახორციელოს სხვა ქმედება, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს პროგრამის მსვლელობის დროს;
17.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ შერჩეულ აუდიტორულ კომპანიას მიაწოდოს მისი საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტაცია, ხელი შეუწყოს საქმიანობაში და უზრუნველყოს შესაბამისი პირობებით განახორციელოს პროგრამის ფარგლებში შემსყიდველისგან მიღებული დაფინანსების და გაწეული დანახარჯების, შემსყიდველისგან მიღებული მატერიალური ფასეულობების და მარაგების ხარჯვის აუდიტი.

18. სხვა პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან;
18.2. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორისგახორციელდება წერილობითი ფორმით ქართულ ენაზე;
18.3. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით;

18.4. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;
18.5. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია;
18.6. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება;
18.7. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

ხელშეკრულების დანართები:

ხელშეკრულებას თან ახლავს დანართები, რომლებიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია:

დანართი №1ა - შესრულებული სამუშაოების სიტყვიერი ანგარიშის ფორმა;

დანართი №2 - ფორმა №1 - ყოველთვიური ხარჯების ჩამონათვალი, ფორმა №2 - ფინანსური ანგარიშგების ფორმა, ფორმა №3ა - საწვავის ხარჯვის აღრიცხვის ფორმა, ფორმა №4 - ხარჯების ფინანსური აღრიცხვა კატეგორიების მიხედვით;

დანართი №3 - შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი;

დანართი №4 - პროექტის ბიუჯეტი;

დანართი №4-1 - პროექტის ბიუჯეტი კვარტლების და ხარჯების პროცენტული განაწილების მიხედვით კატეგორიების, ქვეკატეგორიების, მოდულებისა და ინტერვენციების შესაბამისად;

დანართი №5 - პროექტის განხორციელების მეთოდოლოგია;

დანართი №6 - პროექტის განხორციელების საორიენტაციო გეგმა-გრაფიკი;

დანართი №7 - შესასყიდი აქტივების ჩამონათვალი;

დანართი № 8 - სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი და საწვავის ლიმიტი;

დანართი №9 - გლობალური ფონდის გრანტების შესახებ მარეგულირებელი ნორმები (2014);

დანართი №10 - ქცევის კოდექსი გლობალური ფონდის სახსრების რეციპიენტებისთვის. იხ. http://www.theglobalfund.org /en/search/?q=ethical+guideline;

დანართი №11 - საბიუჯეტო კატეგორიების ნუსხა გლობალური ფონდის გრანტის ბიუჯეტირების სახელმძღვანელოს მიხედვით.

დანართი N 1ა

შესრულებული სამუშაოს სიტყვიერი ანგარიშის ფორმა

*(ამ ფორმის შევსება და წარდგენა სავალდებულოა. ფორმა უნდა წარედგინოს ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ფინანსურ ანგარიშთან ერთად)*

| | |
|---|---|
| ხელშეკრულების # | |
| პროგრამის დასახელება | |
| პროექტის სახელწოდება | |
| ფორმა შეავსო (სახელი, გვარი) | (პოზიცია) |
| შევსების თარიღი | |
| მიმწოდებელი (სახელი, გვარი/ორგანიზაციის დასახელება) | (მისამართი) |
| პროექტის დაწყების თარიღი | პროექტის დასრულების თარიღი |
| საანგარიშო პერიოდის დაწყების თარიღი | საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღი |

1. რა ღონისძიებები განხორციელდა პროექტის ფარგლებში? [ჩამოთვალეთ გეგმა გრაფიკის მიხედვით/რიგითობით და აღწერეთ ცალკეული აქტივობა]
2. წარმოადგინეთ სწავლების მასალები: კურიკულუმი და სილაბუსი, შეფასების კითხვარი და პრე- და პოსტ- ტესტის ანალიზი
3. თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, გთხოვთ მიუთითოთ რა ვერ განხორციელდა და რა იყო ამის მიზეზი.
4. პროექტის მიმდინარეობის მოსალოდნელი ცვლილებების არსებობის შემთხვევაში წარმოადგინეთ გეგმა გრაფიკი შესაბამისი ცვლილებებით და მიზეზების მითითებით.

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

ბ. ა

Curatio International Foundation * „საერთაშორისო ფონდი კურაციო" * C.I.F. 203834716

დანართი N2 ფორმა N1

# გაწეული ხარჯების ჩამონათვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება, ნომერი: | „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ GEO-H-NCDC | ანგარიშის წარმოდგენის თარიღი: | |
| საგრანტო ხელშეკრულება N: | | მიმდინარე საანგარიშო პერიოდი : | |
| პროექტის დასახელება: | აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება | დასაწყისი (თარიღი): | |
| მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება: | | დასასრული (თარიღი): | |

| r/# | ბიუჯეტის მუხლი | | "ხარჯების ჩამონათვალი (ჩატარებული სამუშაოები)* | გადახდილი თანხა (ლარი) | მომწოდებელი | ფინანსური საბუთი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | N | დასახელება | | | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| სულ | | | | | | | |

დაუხარჯავი თანხის ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის: ----------------------- ლარი

ჩარიცხული თანხა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში: ---------------------------- ლარი

ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს: --------------------------------------- ლარი

ბ.ა ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

პასუხისმგებელი პირი:

შენიშვნა: * ხარჯების ჩამონათვალს თან უნდა დაერთოს საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ოპერაციების საბანკო ამონაწერი და გაწეული ხარჯის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის ასლები

* Curatio International Foundation * „ხარისხის ფონდი კურაციო“ 203834716

# ფინანსური ანგარიშგების ფორმა

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება, ნომერი: | „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ GEO-H-NCDC | | ანგარიშის წარმოდგენის თარიღი: |
| ხელშეკრულება N: | | | |
| მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება: | | | დასასრული (თარიღი): |

| ამოცანები /ღონისძიებები | დამტკიცებული ბიუჯეტი | | | თვეები | | დახარჯული თანხა პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში | სხვაობა (დაუხარჯავი თანხა) | ბიუჯეტის კატეგორია (budget category) | ხარჯვის ქვე-კატეგორია (cost input) | ინტერვენცია | მოდული |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ერთეულის ღირებულება | ერთეულის რაოდენობა | დამტკიცებული ბიუჯეტი | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| | | | 0 | | | 0 | 0 | | | | |
| სულ | | | 0 | | | 0.00 | 0.00 | | | | |

ბ.ა ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

პასუხისმგებელი პირი:

დანართი № 2 ფორმა 3/ბ

**საწვავის ხარჯვის ანგარიში**

| | | | |
|---|---|---|---|
| **პროგრამის დასახელება, ნომერი:** | „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა" GEO-H-NCDC | | **ანგარიშის წარმოდგენის თარიღი:** |
| **ხელშეკრულება N:** | | | |
| **პროექტის დასახელება:** | აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება | | დასაწყისი(თარიღი):: |
| **მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება:** | | | დასასრული (თარიღი): |
| **ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობა (#, დასახელება)** | **გავლილი მანძილი (კმ)** | **დახარჯული საწვავის რაოდენობა (ლიტრი)** | **აქტივობის შესასრულებლად განკუთვნილი ავტომობილი (მარკა, სანომრე ნიშანი)** |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

ბ.ა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

პასუხისმგებელი პირი:

* Curatio International Foundation * „კურაციო" საერთაშორისო ფონდი C.I.F. 203834716

# გავრცობილი ფინანსური ანგარიშგების ფორმა



| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება/ნომერი: | „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ GEO-H-NCDC | მიმდინარე საანგარიშო პერიოდი : | კუმულაციური საანგარიშო პერიოდი : |
| ხელშეკრულება N: | | | |
| პროექტის დასახელება: | აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება | დასაწყისი(თარიღი): | დასაწყისი(დდ/თთ/წწ): |
| მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება : | | დასასრული (თარიღი): | დასასრული (დდ/თთ/წწ): |

## ხარჯების ჩაშლა კატეგორიების მიხედვით

| # | აბრევიატურა | ბიუჯეტის კატეგორია Budget category | მიმდინარე ანგარიშგების პერიოდი: დაგეგმილი ბიუჯეტი Budget | ხარჯი Wxpenditure | სხვაობა Variance | სხვაობის მიზეზი Reason for variance | კუმულატიური ანგარიშგების პერიოდი: დაგეგმილი ბიუჯეტი Budget | ხარჯი Wxpenditure | სხვაობა Variance | სხვაობის მიზეზი Reason for variance |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | HR | ადამიანური რესურსები | | | | | | | | |
| 2 | TRC | გზავრობა | | | | | | | | |
| 3 | EPS | გარე პროფესიული მხარდაჭერა | | | | | | | | |
| 4 | HPPP | სამედიცინო პროდუქცია-ფარმაცევტული საქონელი | | | | | | | | |
| 5 | HPNP | სამედიცინო პროდუქცია-არაფარმაცევტული საქონელი | | | | | | | | |
| 6 | HPE | სამედიცინო პროდუქცია-აპარატურა | | | | | | | | |
| 7 | PSM | შესყიდვები და ლოჯისტიკა | | | | | | | | |
| 8 | INF | ინფრასტრუქტურა | | | | | | | | |
| 9 | NHP | არასამედიცინო აპარატურა | | | | | | | | |
| 10 | CMP | საკომუნიკაციო მასალები და ბეჭდვა | | | | | | | | |
| 11 | PA | პროგრამის ადმინისტრირება | | | | | | | | |
| 12 | LSCTP | მოსახლეობის მხარდაჭერა | | | | | | | | |
| 13 | RBF | შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსება | | | | | | | | |
| | | | | 0.00 | 0 | | 0.00 | 0.00 | 0.00 | |

| # | | ხარჯის ქვეკატეგორიები (Cost Input) | მიმდინარე ანგარიშგების პერიოდი: დაგეგმილი ბიუჯეტი Budget | ხარჯი Expenditure | სხვაობა Variance | სხვაობის მიზეზი Reason for variance | კუმულატიური ანგარიშგების პერიოდი: დაგეგმილი ბიუჯეტი Budget | ხარჯი Expenditure | სხვაობა Variance | სხვაობის მიზეზი Reason for variance |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1.1 Salaries - program management | 1.1.ხელფასები - პროგრამის მენეჯმენტი | | | | | | | | |
| 2 | 1.2 Salaries - outreach workers, medical staff and other service providers | 1.2 ხელფასები - საველე მუშაკები, სამედიცინო პერსონალი და სხვა მომსახურების მომწოდებლები | | | | | | | | |
| 3 | 1.4 Other HR Costs | 1.4 ადამიანური რესურსების სხვა ხარჯები | | | | | | | | |
| 4 | 2.1 Training related per diems/transport/other costs | 2.1 ტრეინინგთან დაკავშირებული დღიური ანაზღაურება/ტრანსპორტირება/სხვა ხარჯები | | | | | | | | |
| 5 | 2.3 Supervision/surveys/data collection related per diems/transport/other costs | 2.3. სუპერვიზიასთან/კვლევებთან/მონაცემთა მოგროვებასთან დაკავშირებული დღიური ანაზღაურება/ტრანსპორტირება/სხვა ხარჯები | | | | | | | | |
| 6 | 2.4 Meeting/Advocacy related per diems/transport/other costs | 2.4 შეხვედრებთან/ადვოკატირებასთან დაკავშირებული დღიური ანაზღაურება/ტრანსპორტირება/სხვა ხარჯები | | | | | | | | |
| 7 | 2.5 Other Transportation costs | 2.5 ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები | | | | | | | | |
| 8 | 3.1 TA Fees - Consultants | 3.1 ტექნიკური დახმარების ხარჯები - კონსულტანტი | | | | | | | | |
| 9 | 3.3 External audit fees | 3.3 გარე აუდიტის ხარჯები | | | | | | | | |
| 10 | 3.4 Other external professional services | 3.4 სხვა გარე პროფესიული დახმარება | | | | | | | | |
| 11 | 4.1 Antiretroviral medicines | 4.1 ანტირეტროვირუსული მედიკამენტები | | | | | | | | |
| 12 | 4.4 Opioid substitution medicines | 4.4 ოპიოიდების ჩანაცვლებითი მედიკამენტები | | | | | | | | |
| 13 | 4.5 Opportunistic infections and STI medicines | 4.5 ოპორტუნისტული ინფექციებისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები | | | | | | | | |
| 14 | 4.7 Other medicines | 4.7 სხვა მედიკამენტები | | | | | | | | |

| # | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | 5.2 Condoms - Male | 5.2 კონდომები - მამაკაცის | | | | | | | | |
| 16 | 5.4 Rapid Diagnostic Test | 5.4 სწრაფი სადიაგნოსტიკო ტესტები | | | | | | | | |
| 17 | 5.6 Laboratory reagents | 5.6 ლაბორატორიული რეაგენტები | | | | | | | | |
| 18 | 5.7 Syringes and needles | 5.7 შპრიცები და ნემსები | | | | | | | | |
| 19 | 5.8 Other consumables | 5.8 სხვა სახარჯი მასალა | | | | | | | | |
| 20 | 6.1 CD4 analyser/accessories | 6.1 CD4 ანალიზატორი/ტესტები და სახარჯი მასალა | | | | | | | | |
| 21 | 6.2 HIV Viral Load analyser/accessories | 6.2 HIV ვირუსული დატვირთვის განმსაზღვრელი ანალიზატორი/ტესტები და სახარჯი | | | | | | | | |
| 22 | 6.5 Maintenance and service costs for health equipment | 6.5 სამედიცინო აპარატურის შენახვისა და მომსახურების ხარჯები | | | | | | | | |
| 23 | 6.6 Other health equipment | 6.6 სხვა სამედიცინო აპარატურა | | | | | | | | |
| 24 | 7.1 Procurement agent and handling fees | 7.1 შესყიდვის აგენტის მომსახურება | | | | | | | | |
| 25 | 7.2 Freight and insurance costs (Health products) | 7.2 დაზღვევისა და ტრანსპორტირების ხარჯი (სამედიცინო პროდუქტები) | | | | | | | | |
| 26 | 7.3 Warehouse and Storage Costs | 7.3 საწყობისა და შენახვის ხარჯი | | | | | | | | |
| 27 | 7.4 In-country distribution costs | 7.4 ქვეყნის შიგნით დისტრიბუციის ხარჯი | | | | | | | | |
| 28 | 7.6 PSM Customs Clearance | 7.6 PSM საბაჟო მოსაკრებელი | | | | | | | | |
| 29 | 8.1 Furniture | 8.1 ავეჯი | | | | | | | | |
| 30 | 8.2 Renovation/constructions | 8.2 რემონტი/მშენებლობა | | | | | | | | |
| 31 | 9.1 IT - Computers, computer equipment, Software and applications | 9.1 IT კომპიუტერები, კომპიუტერის აღჭურვილობა, კომპიუტერული პროგრამები და აპლიკაციები | | | | | | | | |
| 32 | 9.2 Vehicles | 9.2 სატრანსპორტო საშუალება | | | | | | | | |
| 33 | 9.4 Maintenance and service costs non-health equipment | 9.4 არა-სამედიცინო აპარატურის/აღჭურვილობის შენახვისა და მომსახურების ხარჯი | | | | | | | | |
| 34 | 10.1 Printed materials (forms, books, guidelines, brochure, leaflets...) | 10.1 ბეჭდვა (ფორმები, წიგნები, გზამკვლევები, ბროშურებია, ლიფლეტები) | | | | | | | | |
| 35 | 10.2 Television/Radio spots and programmes | 10.2 ტელე/რადიო რგოლები და პროგრამები | | | | | | | | |
| 36 | 11.1 Office related costs | 11.1 საოფისე ხარჯი | | | | | | | | |
| 37 | 11.4 Other PA costs | 11.4 პროგრამის ადმინისტრირების სხვა ხარჯები | | | | | | | | |
| 38 | 12.2 Food and care packages | 12.2 საკვები | | | | | | | | |
| 39 | 12.3 Cash incentives to patients/counsellors/mediators | 12.3 ფულადი ინსენტივები პაციენტებისათვის/კონსულტანტებისთვის/მედიატორებისათვის | | | | | | | | |
| 40 | 12.5 Other LSCTP costs | 12.5 მოსახლეობის მხარდასაჭერის სხვა ხარჯები | | | | | | | | |
| | | სულ ჯამი: | 0 | 0.00 | 0 | 0 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0 |

## ხარჯების ჩაშლა მოდულისა და ინტერვენციების მიხედვით

| # | მოდული | ინტერვენცია | მიმდინარე ანგარიშგების პერიოდი | | | | კუმულატიური ანგარიშგების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დაგეგმილი ბიუჯეტი Budget | ხარჯი Wxpenditure | სხვაობა Variance | სხვაობის მიზეზი Reason for variance | დაგეგმილი ბიუჯეტი Budget | ხარჯი Wxpenditure | სხვაობა Variance | სხვაობის მიზეზი Reason for variance |
| | Prevention programs for MSM and TGs - პრევენციული პროგრამები მსმ-ებსა და ტრანსგენდერებისთვის | Behavioral change as part of programs for MSM and TGs- ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული ინტერვენცია მსმ-ებსა და ტრანსგენდერებისთვის | | | | | | | | |
| | Prevention programs for MSM and TGs - პრევენციული პროგრამები მსმ-ებსა და ტრანსგენდერებისთვის | Other interventions for MSM and TGs - სხვა ინტერვენციები მსმ-ებსა და ტრანსგენდერებისთვის | | | | | | | | |
| | Removing Legal barriers to Access - ხელმისაწვდომობაზე ლეგალური ბარიერების აღმოფხვრა | Community-based monitoring of legal rights - უფლებების სათემო მონიორინგი | | | | | | | | |
| | HSS - Health information systems and M&E - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | Analysis, review and transparency - კვლევა, ანალიზი და გამჭვირვალობა | | | | | | | | |
| | | | | 0.00 | 0 | | 0.00 | 0.00 | 0.00 | |

ბ.ა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

პასუხისმგებელი პირი:

Oratio International Foundation * "C.I.F." 203834716

## შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი

| | | |
|---|---|---|
| | **პროგრამის დასახელება, ნომერი**:„საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ GEO-H-NCDC | |
| | ხელშეკრულება N: | |
| | აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება | |
| | **მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება:** | |
| | **მომსახურე საბანკო დაწესებულების დასახელება, რეკვიზიტორი და ნომერი:** | |
| | თანხის მოთხოვნის / ანგარიშის წარმოდგენის თარიღი | |
| | მიმდინარე საანგარიშო პერიოდი : | |
| | პერიოდის დასაწყისი (თარიღი): | |
| | პერიოდის დასასრული (თარიღი): | |

| № | | |
|---|---|---|
| 1 | ხელშეკრულების ღირებულება | |
| 2 | ავანსად მიღებული თანხა | |
| 3 | ავანსიდან გასაქვითი თანხა (საგარანტიო წერილისა და ხელშეკრულების მიხედვით) | |
| 4 | ბანკის ანგარიშზე რიცხული მიღებული პროცენტი | |
| 5 | საანგარიშო თვეში გაწეული მომსახურება | |
| 6 | საანგარიშო თვეში გაწეული მომსახურებიდან ანაზღაურებულია | |
| 7 | ექვემდებარება ანაზღაურებას (5- (3+4+6) | |
| 8 | ხელშეკრულების დაწყებიდან ნაზარდი ჯამით მოწოდენული მომსახურებისათვის მიღებული დაფინანსება | |
| 9 | ხელშეკრულების დაწყებიდან ნაზარდი ჯამით გაწეული მომსახურება | |
| 10 | ავანსად გაცემული თანხის ნაშთი | |

**შენიშვნა:** თუ ავანსად გაცემული თანხა ნაკლებია ბიუჯეტით განსაზღვრულ ერთი თვის ღირებულების საშუალო ოდენობაზე მისი გამოქვითვა მოხდება საბოლოო ანგარიშსწორებისას, ხოლო თუ იგი აღემატება ერთი თვის მომსახურების საშუალო ღირებულებას ავანსად გაცემული თახის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად.

შესრულებული სამუშაო მიიღო:

ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის
გლობალური ფონდის შიდსის პროგრამის მენეჯერი "

"

ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის
გლობალური ფონდის პროგრამების ფინანსების მენეჯერი "

ბ.ა

შესრულებული სამუშაო ჩააბარა:

დაწესებულების ხელმძღვანელი
(ან/და პასუხისმგებელი პირი)

სხვა პასუხისმგებელი პირი

ბ.ა

დანართი 4

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება/ნომერი: | „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა" GEO-H-NCDC |
| ხელშეკრულება N: | |
| პროექტის დასახელება: | აივ-თან დაკავშირებული ხარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება |
| შემსრულებელი ორგანიზაციის დასახელება | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| პროექტის დაწყების და დასრულების ვადები: | |

| # | მოდული | ინტერვენცია | ამოცანები/ღონისძიებები | ერთეულის ღირებულება | ერთეულის რაოდენობა | 2018-2019 | | | | | | | | | სულ თანხა პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში | ბიუჯეტის კატეგორია (budget category) | ბიუჯეტის ქვე-კატეგორია (cost input) | განხორციელებაზე პასუხისმგებლობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | იანვარი | თებერვალი | | | | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1.1 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | პროექტის მენეჯერი | 4,290.00 | 1.00 | 4,290.00 | 4,290.00 | 4,290.00 | 4,290.00 | 4,290.00 | 4,290.00 | 4,290.00 | 4,290.00 | 4,290.00 | **38,610.00** | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.2 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | პროექტის მენეჯერის ასისტენტი | 2,232.00 | 1.00 | 2,232.00 | 2,232.00 | 2,232.00 | 2,232.00 | 2,232.00 | 2,232.00 | 2,232.00 | 2,232.00 | 2,232.00 | **20,088.00** | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.3 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | კვლევის კოორდინატორი | 1,224.00 | 1.00 | 1,224.00 | 1,224.00 | 1,224.00 | 1,224.00 | 1,224.00 | 1,224.00 | 1,224.00 | 1,224.00 | 1,224.00 | **11,016.00** | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.4 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ტექნიკური ექსპერტი | 4,290.00 | 0.50 | 2,145.00 | 2,145.00 | 2,145.00 | 2,145.00 | 2,145.00 | 2,145.00 | 2,145.00 | 2,145.00 | 2,145.00 | **19,305.00** | EPS | 3.1 Technical assistance/consultancy fees | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.5 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | მკვლევარი | 4,080.00 | 0.60 | 2,448.00 | 2,448.00 | 2,448.00 | 2,448.00 | 2,448.00 | 2,448.00 | 2,448.00 | 2,448.00 | 2,448.00 | **22,032.00** | EPS | 3.1 Technical assistance/consultancy fees | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.6 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ფინანსურ/ადმინისტრაციული დირექტორი | 12,500.00 | 0.10 | 1,250.00 | 1,250.00 | 1,250.00 | 1,250.00 | 1,250.00 | 1,250.00 | 1,250.00 | 1,250.00 | 1,250.00 | **11,250.00** | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.7 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ფინანსურ/ადმინისტრაციული ასისტენტი | 876.00 | 0.50 | 438.00 | 438.00 | 438.00 | 438.00 | 438.00 | 438.00 | 438.00 | 438.00 | 438.00 | **3,942.00** | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.8 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | მძღოლი | 1,560.00 | 0.50 | 780.00 | 780.00 | 780.00 | 780.00 | 780.00 | 780.00 | 780.00 | 780.00 | 780.00 | **7,020.00** | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.9 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | სამივლინებო თანხა თანამშრომლებისთვის (კვლევის მონიტორინგი) | 175.00 | 30.00 | | 1,575.00 | 2,100.00 | 1,575.00 | | | | | | **5,250.00** | TRC | 2.3 Supervision/surveys/data collection-related per diems/transport/ot | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.10 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ქსელის ზომის განსაზღვრა | 17,500.00 | 1.00 | | | | 17,500.00 | | | | | | **17,500.00** | EPS | 3.4 Other external professional services | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.11 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | საერთაშორისო კონსულტანტი ( MSM PSE მეთოდოლოგია) | 1,120.00 | 6.00 | | | | | | | | 6,720.00 | | **6,720.00** | EPS | 3.1 Technical assistance/consultancy fees | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.12 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ადგილობრივი კონსულტანტი | 100.00 | | 2,250.00 | | | | 500.00 | 500.00 | 500.00 | 500.00 | 6,000.00 | **10,250.00** | EPS | 3.1 Technical assistance/consultancy fees | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| | | | ზედნადები ხარჯები | | | | | | | | | | | | | | | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.13 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | კომუნიკაცია (ტელეფონი, ფაქსი, ინტერნეტი) | 350.00 | 1.00 | 350.00 | 350.00 | 350.00 | 350.00 | 350.00 | 350.00 | 350.00 | 350.00 | 350.00 | **3,150.00** | PA | 11.1 Office-related costs | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.14 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სგგი გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | კომუნალური (ელექტროენერგია, გაზი) | 400.00 | 1.00 | 400.00 | 400.00 | 400.00 | 400.00 | 400.00 | 400.00 | 400.00 | 400.00 | 400.00 | **3,600.00** | PA | 11.1 Office-related costs | საერთაშორისო ფონდი კურაციო |

Curatio International Foundation * „საერთაშორისო ფონდი კურაციო" * C.I.F. 203834716

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.15 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ოფისის იჯარა | 2,655.00 | 1.00 | 2,655.00 | 2,655.00 | 2,655.00 | 2,655.00 | 2,655.00 | 2,655.00 | 2,655.00 | 2,655.00 | 2,655.00 | 23,895.00 | PA | 11.1 Office-related costs | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.16 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ანგარიშების ბეჭდვა | 10.00 | 400.00 | | | | | | | | | 4,000.00 | 4,000.00 | CMP | 10.1 Printed materials (forms, books, guidelines, brochure, leaflets...) | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.17 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | საკანცელარიო | 300.00 | 1.00 | 300.00 | 300.00 | 300.00 | 300.00 | 300.00 | 300.00 | 300.00 | 300.00 | 300.00 | 2,700.00 | PA | 11.1 Office-related costs | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.18 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | სამუშაო შეხვედრა | 40.00 | 35.00 | | | | | | | | | 1,400.00 | 1,400.00 | TRC | 2.4 Meeting/advocacy-related per diems/transport/other costs | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 1.19 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | სამედიცინო სახარჯი მასალა | 3,000.00 | 1.00 | 3,000.00 | | | | | | | | | 3,000.00 | HPNP | 5.8 Other consumables | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| | | | სულ | | | 23,762.00 | 20,087.00 | 20,612.00 | 37,587.00 | 19,012.00 | 19,012.00 | 19,012.00 | 25,732.00 | 29,912.00 | 214728.00 | | | |
| 2 | | | ამოცანა/ღონისძიება | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.1 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | კვლევის ველის კოორდინატორი | 1250.00 | 5.00 | | 1,250.00 | 1,250.00 | 1,250.00 | 1,250.00 | 1,250.00 | | | | 6,250.00 | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.2 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ფინანსურ/ადმინისტრაციული დირექტორი | 504.00 | 5.00 | | 504.00 | 504.00 | 504.00 | 504.00 | 504.00 | | | | 2,520.00 | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.3 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ბუღალტერი | 468.00 | 5.00 | | 468.00 | 468.00 | 468.00 | 468.00 | 468.00 | | | | 2,340.00 | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.4 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ტექნიკური ექსპერტი | 1014.00 | 4.00 | | 1,014.00 | 1,014.00 | | 1,014.00 | 1,014.00 | | | | 4,056.00 | EPS | 3.1 Technical assistance/consultancy fees | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.5 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ველის ადმინისტრატორი | 1500.00 | 9.50 | | | 3,000.00 | 3,000.00 | 4,500.00 | 2,250.00 | | | | 12,750.00 | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.6 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | სოციალური მუშაკი BSS | 750.00 | 24.00 | | | 4,500.00 | 4,500.00 | 6,000.00 | 3,000.00 | | | | 18,000.00 | HR | 1.2 Salaries - outreach workers, medical staff and other service providers | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.7 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ინტერვიუერი | 25.00 | 650.00 | | | 5,000.00 | 5,000.00 | 3,750.00 | 2,500.00 | | | | 16,250.00 | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.8 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | მძღოლი | 437.50 | 8.50 | | | 875.00 | 875.00 | 1,312.50 | 656.25 | | | | 3,718.75 | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.9 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ადმინისტრაციული ასისტენტი | 375.00 | 8.50 | | | 750.00 | 750.00 | 1,125.00 | 562.50 | | | | 3,187.50 | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.10 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | დამლაგებელი | 360.00 | 8.00 | | | 720.00 | 1,080.00 | 720.00 | 360.00 | | | | 2,880.00 | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.11 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | პასუხებზე პასუხისმგებელი პირი | 600.00 | 3.00 | | | | 600.00 | 600.00 | 600.00 | | | | 1,800.00 | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.12 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ების პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ექთანი | 546.00 | 8.00 | | | 1,092.00 | 1,092.00 | 1,638.00 | 819.00 | | | | 4,641.00 | HR | 1.2 Salaries - outreach workers, medical staff and other service providers | საერთაშორისო ფონდი კურაციო |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.13 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | ლაბორატორიის ასისტენტი | 456.00 | 8.00 | | | 912.00 | 912.00 | 1,368.00 | 684.00 | | | | 3,876.00 | HR | 1.2 Salaries - outreach workers, medical staff and other service providers | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.14 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | კვლევის მონაწილეთა წამახალისებელი თანხა | 37.50 | 650.00 | | | 7,500.00 | 7,500.00 | 5,625.00 | 3,750.00 | | | | 24,375.00 | LSCTP | 12.5 Other costs related to living support to client/target population | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.15 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | მივლინება | 175.00 | 6.00 | | | 350.00 | | 700.00 | | | | | 1,050.00 | TRC | 2.3 Supervision/surveys/data collection-related per diems/transport/ot | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.16 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | გეი მობილური აპლიკაციებისა და ვებ-გვერდების სერვისების მოხმარება | 800.00 | 6.00 | | | 1,600.00 | 1,600.00 | 1,600.00 | | | | | 4,800.00 | HR | 1.1 Salaries - program management | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.17 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | მარაგები საველე სამუშაოებისთვის | 200.00 | 8.00 | | | 400.00 | 400.00 | 600.00 | 300.00 | | | | 1,700.00 | TRC | 2.4 Meeting/advocacy-related per diems/transport/other costs | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.18 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | საკვები და წყალი | 200.00 | 8.00 | | | 400.00 | 400.00 | 600.00 | 200.00 | | | | 1,600.00 | TRC | 2.4 Meeting/advocacy-related per diems/transport/other costs | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.19 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | მისანიშნი ნივთი მონაწილეთათვის (ჩაჭერა-უკუჩაჭერა) | 2.00 | 1,300.00 | 2,600.00 | | | | | | | | | 2,600.00 | PA | 11.1 Office-related costs | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| 2.20 | აივ ინფექციის, ჰეპატიტი C და სხვა გავრცელება MSM -ებში: MSM -ებში პოპულაციის ზომის შეფასება | ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და ოპერაციული კვლევა | საბანკო ხარჯი | 5.00 | 4.00 | | 5.00 | 5.00 | 5.00 | 5.00 | | | | | 20.00 | PA | 11.1 Office-related costs | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| | | | სულ | | | 2,600.00 | 3,241.00 | 30,340.00 | 29,936.00 | 33,379.50 | 18,917.75 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 118414.25 | | | |
| | | | ჯამი | | | 26,362.00 | 23,328.00 | 50,952.00 | 67,523.00 | 52,391.50 | 37,929.75 | 19,012.00 | 25,732.00 | 29,912.00 | 333,142.25 | | | |
| | | | დღგ სულ | | | | | | | | | | | | 0 | | | |
| | | | თანხა სულ დღგ-ს ჩათვლით | | | 26,362.00 | 23,328.00 | 50,952.00 | 67,523.00 | 52,391.50 | 37,929.75 | 19,012.00 | 25,732.00 | 29,912.00 | 333,142.25 | | | |

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

ბ.ა.

Curatio International Foundation * „საერთაშორისო ფონდი კურაციო" * C.I.F. 203834716

| პროგრამის ბიუჯეტი პერიოდების, კატეგორიების და ინტერვენციების მიხედვით | დანართი 4-1 |
| --- | --- |
| პროგრამის დასახელება/გრანტის ნომერი: | „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ GEO-H-NCDC |
| ხელშეკრულება N: | |
| პროექტის დასახელება: | აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება |
| მომწოდებელი ორგანიზაციის დასახელება: | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| პროექტის დაწყების და დასრულების ვადები: | |

| By Cost Grouping | ბიუჯეტის კატეგორიები | BC | სულ თანხა ლარში 2018 | პროცენტი 2018 | სულ თანხა ლარში 2019 | პროცენტი 2019 |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1.0 Human Resources (HR) | 1.0 ადამიანური რესურსები(HR) | HR | 154,511.25 | **55.68%** | 20,428.00 | **36.71%** |
| 2.0 Travel related costs (TRC) | 2.0 მგზავრობა (TRC) | TRC | 9,600.00 | **3.46%** | 1,400.00 | **2.52%** |
| 3.0 External Professional services (EPS) | 3.0 გარეშე საექსპერტო დახმარება (EPS) | EPS | 57,457.00 | **20.71%** | 22,406.00 | **40.27%** |
| 4.0 Health Products - Pharmaceutical Products (HPPP) | 4.0 ჯანმრთელობის პროდუქცია - ფარმაცევტული (HPPP) | HPPP | | | | |
| 5.0 Health Products - Non-Pharmaceuticals (HPNP) | 5.0 ჯანმრთელობის პროდუქცია - არაფარმაცევტული (HPNP) | HPNP | 3,000.00 | **1.08%** | | |
| 6.0 Health Products - Equipment (HPE) | 6.0 ჯანმრთელობის პროდუქცია - აპარატურა (HPE) | HPE | | | | |
| 7.0 Procurement and Supply-Chain Management costs | 7.0 შესყიდვა და ლოჯისტიკა (PSM) | PSM | | | | |
| 8.0 Infrastructure (INF) | 8.0 ინფრასტრუქტურა(INF) | INF | | | | |
| 9.0 Non-health equipment (NHP) | 9.0 სხვა აპარატურა(NHP) | NHP | | | | |
| 10.0 Communication Material and Publications (CMP) | 10.0 საკომუნიკაციო მასალები და პუბლიკაციები (CMP) | CMP | | | 4,000.00 | **7.19%** |
| 11.0 Programme Administration costs (PA) | 11.0 პროგრამის მართვა(PA) | PA | 28,555.00 | **10.29%** | 7,410.00 | **13.32%** |
| 12.0 Living support to client/ target population (LSCTP) | 12.0 სიცოცხლის მხარდაჭერა (LSCTP) | LSCTP | 24,375.00 | **8.78%** | | |
| 13.0 Results-based financing (RBF) | 13.0 შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსება(RBF) | RBF | | | | |
| Total | ჯამი | | **277,498.25** | **100.00** | **55,644.00** | **100.00** |

| By Cost Input | ხარჯების ქვე-კატეგორიები | სულ თანხა ლარში 2018 | სულ თანხა ლარში 2019 |
| --- | --- | --- | --- |
| 1.1 Salaries - program management | 1.1.ხელფასები - პროგრამის მენეჯმენტი | 127,994.25 | 20,428.00 |
| 1.2 Salaries - outreach workers, medical staff and other | 1.2 ხელფასები - საველე მუშაკები, სამედიცინო პერსონალი და სხვა მომსახურების მომწოდებლები | 26,517.00 | |
| 1.4 Other HR Costs | 1.4 ადამიანური რესურსების სხვა ხარჯები | | |
| 2.1 Training related per diems/transport/other costs | 2.1 ტრეინინგთან დაკავშირებული დღიური ანაზღაურება/ტრანსპორტირება/სხვა ხარჯები | | |
| 2.3 Supervision/surveys/data collection related per diem | 2.3. სუპერვიზიასთან/კვლევებთან/მონაცემთა მოგროვებასთან დაკავშირებული დღიური ანაზღაურება/ტრანსპორტირება/სხვა ხარჯები | 6,300.00 | |
| 2.4 Meeting/Advocacy related per diems/transport/other | 2.4 შეხვედრებთან/ადვოკატირებასთან დაკავშირებული დღიური ანაზღაურება/ტრანსპორტირება/სხვა ხარჯები | 3,300.00 | 1,400.00 |
| 2.5 Other Transportation costs | 2.5 ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები | | |
| 3.1 TA Fees - Consultants | 3.1 ტექნიკური დახმარების ხარჯები - კონსულტანტი | 39,957.00 | 22,406.00 |
| 3.3 External audit fees | 3.3 გარე აუდიტის ხარჯები | | |
| 3.4 Other external professional services | 3.4 სხვა გარე პროფესიული დახმარება | 17,500.00 | |
| 4.1 Antiretroviral medicines | 4.1 ანტირეტროვირუსული მედიკამენტები | | |
| 4.4 Opioid substitution medicines | 4.4 ოპიოიდების ჩანაცვლებითი მედიკამენტები | | |
| 4.5 Opportunistic infections and STI medicines | 4.5 ოპორტუნისტული ინფექციებისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები | | |
| 4.7 Other medicines | 4.7 სხვა მედიკამენტები | | |
| 5.2 Condoms - Male | 5.2 კონდომები - მამაკაცის | | |
| 5.4 Rapid Diagnostic Test | 5.4 სწრაფი სადიაგნოსტიკო ტესტები | | |
| 5.6 Laboratory reagents | 5.6 ლაბორატორიული რეაგენტები | | |
| 5.7 Syringes and needles | 5.7 შპრიცები და ნემსები | | |
| 5.8 Other consumables | 5.8 სხვა სახარჯი მასალა | 3,000.00 | |
| 6.1 CD4 analyser/accessories | 6.1 CD4 ანალიზატორი/ტესტები და სახარჯი მასალა | | |
| 6.2 HIV Viral Load analyser/accessories | 6.2 HIV ვირუსული დატვირთვის განმსაზღვრელი ანალიზატორი/ტესტები და სახარჯი მასალა | | |
| 6.5 Maintenance and service costs for health equipment | 6.5 სამედიცინო აპარატურის შენახვისა და მომსახურების ხარჯები | | |
| 6.6 Other health equipment | 6.6 სხვა სამედიცინო აპარატურა | | |
| 7.1 Procurement agent and handling fees | 7.1 შესყიდვის აგენტის მომსახურება | | |
| 7.2 Freight and insurance costs (Health products) | 7.2 დაზღვევისა და ტრანსპორტირების ხარჯი (სამედიცინო პროდუქტები) | | |
| 7.3 Warehouse and Storage Costs | 7.3 საწყობისა და შენახვის ხარჯი | | |
| 7.4 In-country distribution costs | 7.4 ქვეყნის შიგნით დისტრიბუციის ხარჯი | | |
| 7.6 PSM Customs Clearance | 7.6 PSM საბაჟო მოსაკრებელი | | |
| 8.1 Furniture | 8.1 ავეჯი | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის ბიუჯეტი პერიოდების, კატეგორიების და ინტერვენციების მიხედვით | დანართი 4-1 |
| პროგრამის დასახელება/გრანტის ნომერი: | „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ GEO-H-NCDC |
| ხელშეკრულება N: | |
| პროექტის დასახელება: | აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება |
| მომწოდებელი ორგანიზაციის დასახელება: | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| პროექტის დაწყების და დასრულების ვადები: | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 8.2 Renovation/constructions | 8.2 რემონტი/მშენებლობა | | |
| 9.1 IT - Computers, computer equipment, Software and | 9.1 IT კომპიუტერები, კომპიუტერის აღჭურვილობა, კომპიუტერული პროგრამები და აპლიკაციები | | |
| 9.2 Vehicles | 9.2 სატრანსპორტო საშუალება | | |
| 9.4 Maintenance and service costs non-health equipmer | 9.4 არა-სამედიცინო აპარატურის/აღჭურვილობის შენახვისა და მომსახურების ხარჯი | | |
| 10.1 Printed materials (forms, books, guidelines, brochu | 10.1 ბეჭდვა (ფორმები, წიგნები, გზამკვლევები, ბროშურებია, ლიფლეტები) | | 4,000.00 |
| 10.2 Television/Radio spots and programmes | 10.2 ტელე/რადიო რგოლები და პროგრამები | | |
| 11.1 Office related costs | 11.1 საოფისე ხარჯი | 28,555.00 | 7,410.00 |
| 11.4 Other PA costs | 11.4 პროგრამის ადმინისტრირების სხვა ხარჯები | | |
| 12.2 Food and care packages | 12.2 საკვები | | |
| 12.3 Cash incentives to patients/counsellors/mediators | 12.3 ფულადი ინსენტივები პაციენტებისათვის/კონსულტანტებისთვის/მედიატორებისათვის | | |
| 12.5 Other LSCTP costs | 12.5 მოსახლეობის მხარდასაჭერის სხვა ხარჯები | 24,375.00 | |
| Total | ჯამი | **277,498.25** | **55,644.00** |

| By Module | მოდულები | სულ თანხა ლარში 2018 | სულ თანხა ლარში 2019 |
|---|---|---|---|
| HSS - Health information systems and M&E | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება M&E | 277,498.25 | 55,644.00 |
| Total | ჯამი | 277,498.25 | 55,644.00 |

| By Intervention | ინტერვენციები | სულ თანხა ლარში 2018 | სულ თანხა ლარში 2019 |
|---|---|---|---|
| Surveys | კვლევები | 277,498.25 | 55,644.00 |
| Total | ჯამი | 277,498.25 | 55,644.00 |

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

ბ.ა.

International Foundation * „ კურაციო" C.I.F. 203834716 * „საერთაშორისო ფონდი

დანართი N5

**CURATIO** INTERNATIONAL FOUNDATION
**კურაციო** საერთაშორისო ფონდი

# აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება

## ტექნიკური წინადადება

### პროექტის განხორციელების ტექნიკური მიდგომა და მეთოდოლოგია

2018 წელი

3 Kavsadze str. Office 5, 0179 Tbilisi,Georgia cif@curatio.com +995 32 25 31 04 www.curatiofoundation.org

Curatio International Foundation * „საერთაშორისო ფონდი კურაციო" * C.I.F. 203834716

# აკრონიმები

| | |
|---|---|
| აივ | ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი |
| დკსჯეც | დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| მსმ | მამაკაცები, რომლებსაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან |
| ნიმ | ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლები |
| შიდსი | შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი |
| IBBS | Integrated Biological Behavioral Survey |
| GARPR | Global AIDS Response Progress Report |
| NSU | Network Scale-UP |
| PSE | Population Size Estimation |
| RDS | Respondent-Driven Sampling |
| RDSAT | Respondent Driven Sampling Analysis Tool |
| RDS-A | RDS Analyst- Respondent Driven Sampling Analysis Tool |
| SPSS | Statistical Package for the Social Sciences |

## სარჩევი

პროექტის განხორციელების ტექნიკური მიდგომა და მეთოდოლოგია ........ 1
პროექტის დასაბუთება ........ 1
პროექტის მიზანი და ამოცანები ........ 2
პროექტის პარტნიორები ........ 3
დაგეგმილი აქტივობები და მათი განხორციელების მეთოდები ........ 5
ქვეყანაზე ზედამხედველობის და ბიომარკერული კვლევა ........ 5
ბიომარკერის კვლევა ........ 8
პოპულაციის სავარაუდო ზომის შეფასება ........ 9
წარმოდგენილი პროექტის შეფასების ინდიკატორები ........ 18
წარმოსადგენი შუალედერი და საბოლოო ანგარიშები/ მიღწეული შედეგების ვალიდაციის დოკუმენტები/ ვადები ........ 18
კვლევასთან დაკავშირებული რისკები ........ 20
დანართი 1 ნიმუშის აღების წესი და მარკირება ........ 21
ბიბლიოგრაფია: ........ 23

# პროექტის განხორციელების ტექნიკური მიდგომა და მეთოდოლოგია

## პროექტის დასაბუთება

აივ ინფექციის გავრცელების თვალსაზრით საქართველო კონცენტრირებული ეპიდემიის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება. მოზრდილ (15-49 წლის) მოსახლეობაში აივ ინფექციის გავრცელება დაბალია და სავარაუდო მაჩვენებელი 0.5%-ს (0.4% - 0.6%) შეადგენს. სპექტრუმის ბოლო შეფასების თანახმად, ქვეყანაში 15 წელზე მეტი ასაკის დაახლოებით 11,000 (8,700 – 14,000) აივ პოზიტიური ადამიანია (1). 2018 წლის 2 აპრილის მონაცემებით 1989 წლიდან, როდესაც საქართველოში აივ ინფექციის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა, ქვეყანაში სულ რეგისტრირებულია ინფიცირების 6,942 შემთხვევა (5,197 - მამაკაცი და 1,745 - ქალი), პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდეა. მათგან 3,354-ს განუვითარდა შიდსი, ხოლო 1,154 გარდაიცვალა (2). 2016 წლამდე აღინიშნებოდა ახლად დიაგნოსტირებული შემთხვევების რაოდენობის ზრდის ტენდენცია, რაც 2017 წელს შეიცვალა. 2014 წლამდე წელიწადში დაახლოებით 500 შემთხვევა რეგისტრირდებოდა, 2015-16 წლებში დაახლოებით 700, ხოლო 2017 წელს 631 შემთხვევა დაფიქსირდა. 2018 წლის 2 აპრილის მდგომარეობით ქვეყანაში დაფიქსირებულია 180 ახალი შემთხვევა (2). საქართველოში აივ ეპიდემიის გავრცელების დღიდან 2012 წლამდე ინექციური ნარკოტიკების მოხმარება აივ ინფექციის გადაცემის უპირატეს გზას წარმოადგენდა (3). შემდგომ, 2016 წელს გამოვლენილ შემთხვევათა შორის ჰეტეროსექსუალური კონტაქტი იყო ინფექციის გადაცემის მთავარი გზა (51.5%). ჰომოსექსუალური კონტაქტების გზით გადაცემის წილი მზარდია და 2016 წლის მონაცემებით შეადგინა 16.8% (4).

ცნობილია, რომ მაღალი რისკის ჯგუფებში ქცევაზე ზედამხედველობის კვლევები იძლევა სარწმუნო ინფორმაციას ქცევითი მახასიათებლების და იმ ძირითადი ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს აივ ინფექცია/შიდსის გავრცელებას; ქცევაზე ზედამხედველობის კვლევები წარმოადგენს პრაქტიკულ ინსტრუმენტს ამ ფაქტორების ცვლილებებზე დროში დასაკვირვებლად; ზომავს ქცევის ცვლილებასა და დაავადების გავრცელებაზე პრევენციული ღონისძიებების ზეგავლენას, აფასებს პრევენციული ინტერვენციების ეფექტურობას და ახდენს შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის ინფორმირებას. პროგრამული ინტერვენციების დასაგეგმად ასევე მნიშვნელოვანია სარწმუნო ინფორმაცია მაღალი რისკის ჯგუფის ზომაზე.

საქართველოში აივ ინფექციის მაღალი რისკის შემცველ სამიზნე ჯგუფში - მამაკაცები რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან (მსმ), სარისკო ქცევაზე ზედამხედველობის და აივ ინფექციის გავრცელების ტენდენციის შესწავლის მიზნით ბიომარკერული/ქცევაზე ზედამხედველობის კვლევები 2007 წლიდან ხორციელდება, ხოლო პოპულაციის ზომის შეფასების კვლევა ტარდება 2010 წლიდან.

2015 წელს მსმ-ებში ჩატარებულმა ქცევაზე ზედამხედველობის კვლევამ ბიომარკერის კომპონენტით თბილისსა და ბათუმში გამოავლინა ამ ჯგუფში აივ ინფექციის გავრცელების მაღალი მაჩვენებელი - 25.1% და 22.3%, შესაბამისად (5). აღნიშნული ჯგუფი ხასიათდება მრავლობითი სქესობრივი პარტნიორებისა და დაუცველი სქესობრივი

კონტაქტების მაღალი მაჩვენებლით, რაც მსმ პოპულაციაში და ასევე მათ ქალ პარტნიორებში აივ ინფექციის შემდგომი გავრცელების საშიშროებას ქმნის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სგგი-ს გავრცლება მსმ პოპულაციაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება მსოფლიოში(6) (7)(8)(9)(10) . 2016 წელს მომზადებული სისტემატური მიმოხილვის მიხედვით 2004 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში სიფილისის გავრცელება მკვეთრი ზრდის ტენდენციით ხასიათდება მსმ-ებში. განსაკუთრებით კი ახალგაზრდა (20-29 წლის) და აივ პოზიტიური სტატუსის მსმ-ებში(10) . რაც შეეხება სგგი-ის გავრცელების ზრდის განმაპირობებელ მიზეზებს აღნიშნულია, რომ მსგავსი მიზეზები შესწავლილი არ არის. თუმცა ზრდის ტენდენდიის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის მიჩნეულია პარტნიორების რიცხვის ზრდა, კონდომის გამოყენების შემცირება, მობილური- და ვებ-აპლიკაციების გამოყენების სიხშირე, რომელიც ხელს უწყობს შემთხვევით და ანონიმურ პარტნიორებთან კავშირებს(11) (12)(13). რაც შეეხება ქცევის ცვლილებას - კონდომის გამოყენების სიხშირის შემცირებას სქესობრივი კონტაქტის დროს მიჩნეულია, რომ პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკა კონდომის გამოყენებას ამცირებს მსმ-ებში(11)(14).

შესაბამისად, ამ ჯგუფში აივ ეპიდემიაზე და სარისკო ქცევით ფაქტორებზე დაკვირვება კრიტიკულია ადეკვატური პრევენციული პროგრამების განხორციელებისთვის . ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს მსმ პოპულაციის ზომის შეფასების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოში მსმ პოპულაციის ზომა დაახლოებით 17,200 (11,700 – 27,600) -ით შეფასდა .

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უაღრესად მნიშვნელოვნია ქვეყანაში მაღალი რისკის ჯგუფებზე ბიო-ქცევითი ზედამხედველობის და პოპულაციის სავარაუდო ზომის შეფასების კვლევების ჩატარება განმეორებითად, მეთოდოლოგიური თანმიმდევრულობის დაცვით, რაც ეპიდემიის დინამიკაზე დაკვირვების და ადეკვატური პასუხის დაგეგმვის საშუალებას მოგვცემს.

## პროექტის მიზანი და ამოცანები

მიმდინარე პროექტი მიზნად ისახავს ქვეყანაში მსმ პოპულაციის სავარაუდო რაოდენობაზე, აივ-თან მიმართებაში მათ ქცევით თავისებურებებსა და აივ-ის, C ჰეპატიტისა და სგგი გავრცელებაზე სარწმუნო ინფორმაციის გენერირებას. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება აივ/ შიდსის ეროვნული პასუხის შესაფასებლად და ადეკვატური ეროვნული პროგრამის დასაგეგმად.

პროექტის ამოცანებია:

- მსმ-ებში ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის ჩატარება ბიომარკერის კომპონენტით საქართველოს სამ ქალაქში: თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში; ბიომარკერული ტესტირება აივ ინფექციაზე, C ჰეპატიტსა და სგგი-ზე (სიფილისი, ქლამიდია, გონორეა).

- საქართველოს 3 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) მსმ-ების პოპულაციის სავარაუდო ზომის შეფასება და ამ მონაცემების საფუძველზე მსმ-ების სავარაუდო ზომის გაანგარიშება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

## პროექტის პარტნიორები

ქცევაზე ზედამხედველობისა და პოპულაციის ზომის შეფასების კვლევებს განახორციელებს საერთაშორისო ფონდი კურაციო საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრ თანადგომასთან პარტნიორობით. პროექტის ბიომარკერული კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი.

ქვემომოყვანილ ცხრილში მოცემულია პროექტის განმახორციელებელი და პარტნიორი ორგანიზაციების როლები და ფუნქციები.

**ცხრილი : პარტნიორი ორგანიზაციების ფუნქციები**

| ორგანიზაცია | როლი |
|---|---|
| **საერთაშორისო ფონდი კურაციო** | პროექტის მართვა, კვლევების დაგეგმვა, კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება, კვლევის კითხვარების მოდიფიცირება, ელექტრონული კითხვარის მოდიფიცირება, ინტერვიუერების ტრეინინგი, PSE კომპონენტის ნაწილში შინამეურეობების კვლევის ველის დაგეგმვა და განხორციელება, IBBS და PSE ველის გარე ხარისხის კონტროლი, მონაცემთა ბაზის შემუშავება, მონაცემთა შეყვანა, დამუშავება, ანალიზი, მონაცემთა ინტერპრეტაცია, ტრიანგულაცია ანგარიშის მომზადება, რეკომენდაციების შემუშავება, შედეგების წარდგენა. შემსყიდველის წარმომადგენელთა ტრენინგი როგორც სამიზნე ჯგუფებში სარისკო ქცევის შესწავლის, ისე პოპულაციის ზომის შეფასების კვლევის მეთოდოლოგიაზე, კვლევის მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზზე. ტრენინგის შედეგად მომზადებული ადამიანების ჩართვა აღნიშნულ პროცესებში. |
| **საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“** | მსმ პოპულაციაში IBBS და PSE კვლევების ველის დაგეგმვა, საველე სამუშაოების ჩატარება, მონაცემთა შეგროვება, ველის შიდა ხარისხის კონტროლი, მონაცემთა ინტერპრეტაცია, ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა, შედეგების წარდგენა. ასევე აივ-ზე და C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევების ჩატარება, სგგი ინფექციებზე ნიმუშების აღება და ტრანსპორტირება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიებში. |

| ორგანიზაცია | როლი |
|---|---|
| **რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი** | აივ-ზე, C ჰეპატიტზე და სიფილისზე კონფირმაციული კვლევის ჩატარება გონორეაზე და ქლამიდიაზე კვლევების განხორციელება. |

## დაგეგმილი აქტივობები და მათი განხორციელების მეთოდები

### აქტივობა 1: კვლევის დეტალური დიზაინის და შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა

### ქცევაზე ზედამხედველობის და ბიომარკერული კვლევა

აივ ინფექციის მაღალი რისკის შემცველ სამიზნე ჯგუფებში - მამაკაცები, რომლებსაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან, ჩატარდება ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა ბიომარკერული კომპონენტით, შემდგომში IBBS.

მსმ-ებში (მამაკაცები, რომლებსაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან) კვლევა ჩატარდება საქართველოს 3 ქალაქში: თბილისი, ბათუმი და ქუთაისი. შერჩევისთვის, ისევე როგორც წინა ტალღებში გამოყენებულ იქნება ალბათურ შერჩევასთან მიახლოებული მეთოდი- რესპონდენტზე ორიენტირებულ შერჩევა (Respondent-Driven Sampling), რომელიც "თოვლის გუნდის" შერჩევის სახესხვაობას წარმოადგენს.

მსმ-ები ფარულ პოპულაციას მიეკუთვნებიან. ფარული პოპულაციის კვლევები ki ტრადიციულად სირთულეებთან არის დაკავშირებული. ბოლო ათწლეულების მანძილზე ამ ჯგუფებისთვის შერჩევისთვის სხვადასხვა მეთოდები გამოიყენებოდა, მაგ.: შერჩევა დროისა და ადგილის მიხედვით, ფოკუსირებული შერჩევა და შერჩევა „თოვლის გუნდის" პრინციპით; ყველა ამ მეთოდს გარკვეული ნაკლოვანება და შეზღუდვა ახასიათებს (15). ამ შეზღუდვების თავიდან ასაცილებლად, შემუშავდა რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის მეთოდოლოგია (RDS), რომელიც პირველად 1997 წელს იქნა გამოყენებულ Heckathorn-ის მიერ(16). წლების განმავლობაში მეთოდოლოგია დაიხვეწა და უკვე ფართოდ გამოიყენება მსმ და სხვა ფარული პოპულაციების საკვლევად. RDS ემყარება პრინციპს, რომ თავად ფარული პოპულაციის წევრებს ყველაზე ადვილად შეუძლიათ მიაღწიონ თავიანთ თანასწორებამდე და, მათი დაინტერესების შემთხვევაში, ისინი შეძლებენ, მოიზიდონ თემის მრავალფეროვანი წარმომადგენლები. RDS წარმოადგენს ჯაჭვურ-კასკადურ მეთოდს: საწყისი სუბიექტების, ე.წ. "მარცვლების" შერჩევის შემდეგ, თავად ისინი უკეთებენ გენერირებას შენარჩევს. ანალიზის დროს გამოყენებულია მათემატიკური შეწონვა, რაც არარანდომული შერჩევის კომპენსაციის საშუალებას იძლევა.

ტრადიციული „თოვლის გუნდის" პრინციპით შერჩევისაგან RDS სამი თვალსაზრისით განსხვავდება:

- გულისხმობს ფარული პოპულაციის წევრების მიერ მათი თანასწორების უშუალო რეკრუტირებას
- რეკრუტირებულთა რაოდენობის შეზღუდვას (მაგ.: თითოეულ მონაწილეს მხოლოდ სამი ადამიანის რეკრუტირება შეუძლია)
- იყენებს ორმაგ წამახალისებელ სისტემას – ჯილდო კვლევაში მონაწილეობისათვის და მეორადი ჯილდო კვლევაში სხვა პირების რეკრუტირებისათვის (16)(17)(18)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში 2010 წლიდან IBBS კვლევები მსმ-ებში RDS მეთოდოლოგიით ტარდება და სპეციალური სტატისტიკური პროგრამა - RDSAT-ის

(16) გამოყენებით გამოითვლება პოპულაციაზე შეწონილი პრევალენტობა სარწმუნოობის ინტერვალებით. ზემოაღნიშნული კვლევის უახლესი ტალღა 2015 წელს ჩატარდა საქართველოს ორ ქალაქში: თბილისსა და ბათუმში, სადაც მონაცემების გაანალიზება მოხდა როგორც RDSAT , ისე RDS-Analyst / Gile's SS (19) შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით, რაც ასევე პოპულაციაზე გაანგარიშეებულ შეწონილ მონაცემებს აგენერირებს.

ანალიზის პროცესში ხდება კვლევაში არათანაბარი ალბათობით ჩართვის ხარვეზის გასწორება მონაწილეთა განსხვავებული სოციალური ქსელის და მახასიათებლების მსგავსების გამო. პოპულაციაზე შეწონილი პრევალენტობის თუ ქცევითი ინდიკატორების არსებობა საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მაჩვენებლების ცვლილებას დროში.

შერჩევის ზომა თითოეული ქალაქისთვის მოწოდებულია დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ (იხ. )

**ცხრილი 1. მსმ-ების შერჩევის ზომა IBBS კვლევებისთვის**

| ქალაქი | შერჩევის ზომა (მარცვლების ჩათვლით) |
|---|---|
| თბილისი | 300 |
| ბათუმი | 200 |
| ქუთაისი | 150 |
| **სულ** | **650** |

მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინება, რომ შენარჩევმა წამყვან ინდიკატორებზე, როგორიცაა ასაკი, განათლება, აივ ტესტირება უნდა მიაღწიოს წონასწორობას (equilibrium), რაც მანიშნებელია იმისა, რომ შერჩევა აღარ არის დამოკიდებული საწყისი მარცვლების მახასიათებლებზე. კვლევის პროცესში მოხდება ინდიკატორებზე დაკვირვება, რათა განისაზღვროს მიაღწია თუ არა შენარჩევმა წონასწორობას.

კვლევაში ჩასართავად რესპონდენტები შეირჩევა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1. ბიოლოგიური სქესი - მამრობითი;
2. აქვს/ჰქონია სქესობრივი (როგორც პასიური, ისე აქტიური) კონტაქტი (ანალური ან ორალური) სხვა მამაკაცთან უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში;
3. სრულწლოვანი (18 ან მეტი წლის) კვლევაში ჩართვის მომენტისათვის;
4. არის საქართველოს მოქალაქე;
5. ცხოვრობს ან მუშაობს საქართველოში.

კვლევაში არჩართვის კრიტერიუმებია:

1. ინფორმირებული თანხმობის გაცხადების უუნარობა;
2. ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, რაც ხელს უშლის ინტერვიუს;
3. მიმდინარე კვლევაში უკვე მონაწილეობა;
4. მოქმედი კუპონის არ ქონა.

კვლევის განხორციელების პირველ ეტაპს წარმოადგენს საწყისი რესპონდენტების, ე.წ. „მარცვლების" შერჩევა. შეძლებისდაგვარად განსხვავებული მახასიათებლების (ასაკი, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, დასაქმება, განათლება, ქალაქის სხვადასხვა უბნის მაცხოვრებელი) მქონე „მარცვლები" შეირჩევა პარტნიორი ორგანიზაციის- საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა"-ს მიერ, რომლებსაც ამ საკვანძო პოპულაციასთან მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნია და თემის წარმომადგენლებში ნდობით სარგებლობს. კვლევის ველი ჩატარდება "თანადგომას" ოფისებში. მარცვლების შერჩევა და RDS მეთოდოლოგია უზრუნველყოფს კვლევის ჩატარების ადგილებით გამოწვეულ შესაძლო ცდომილების მინიმიზაციას.

თითოეულ ქალაქში შეირჩევა 5-10 მარცვალი. ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, „მარცვლები" მიიღებენ მონაწილეობას გამოკითხვაში სპეციალური სტრუქტურიზებული კითხვარით, რომლის დასრულების შემდეგ ჩატარდება სისხლის სინჯის აღება აივ ინფექციის, C ჰეპატიტსა და სიფილისზე, ხოლო შარდის შეგროვება გონორეასა და ქლამიდიაზე სკრინინგული და საჭიროების შემთხვევაში კონფირმაციული ტესტების ჩატარების მიზნით. ამ პროცედურების დასრულების შემდეგ, მათ გადაეცემათ უნიკალური კოდის მქონე სამი კუპონი, რათა მოახდინონ თავისი სამი თანასწორის რეკრუტირება კვლევაში მონაწილეობისათვის. „მარცვლები" მიიღებენ ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა მოიზიდონ კვლევისთვის გამოსადეგი პოტენციური რესპონდენტები. ყოველ კუპონზე დატანილი იქნება სერიული ნომერი, კვლევის ადგილმდებარეობა (რუკის სახით) და ინფორმაცია ფულადი წახალისების შესახებ. იმ ადამიანებს, ვინც მოვა კვლევის ჩატარების ადგილას რეკრუტირების კუპონით და დააკმაყოფილებს კვლევაში ჩართვის კრიტერიუმებს ჩაუტარდებათ ინტერვიუ, რის სანაცვლოდაც ყველა ეს მონაწილე მიიღებს სამ კუპონს თავისი თანასწორების რეკრუტირებისათვის. ყოველ მონაწილეს გადაეცემა ფულადი ჯილდო (25 ლარი) და დამატებით ფულადი წახალისება (5 ლარი) მათ მიერ ყოველი შესაბამისი რეკრუტირებული პირისათვის.

**ეთიკური პრინციპები.** კვლევაში მონაწილეობა იქნება ნებაყოფლობითი. ინტერვიუს დაწყების წინ მოხდება რესპონდენტის ინფორმირება კვლევის შესახებ და მის უფლებებზე წინასწარ შემუშავებული ფორმის შესაბამისად, ცალ-ცალკე იქნება მიღებული თანხმობა ქცევით და ბიომარკერულ კომპონენტებზე. ინფორმირებული თანხმობის ფორმაზე დასტური მოხდება ინტერვიუერის ხელმოწერით. უზრუნველყოფილი იქნება რესპონდენტების ანონიმურობა: კვლევაში არ დაფიქსირდება პიროვნების საიდენტიფიკაციო მონაცემები. კვლევით დოკუმენტაციაში მიეთითება მხოლოდ რესპონდენტის უნიკალური კოდი. ინტერვიუერები წინასწარ იქნებიან მომზადებული

სენსიტიური საკითხების, კონფიდენციალობის და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე სასაუბროდ.

### ბიომარკერის კვლევა

აივ-ზე და C ჰეპატიტზე სკრინინგისთვის გამოყენებული იქნება სწრაფი მარტივი ტესტი კვლევის ადგილას, აივ-ის კონფირმაციისთვის გამოყენებულ იქნება პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქცია, C ჰეპატიტის კონფირმაციისთვის გამოყენებულ იქნება პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (PCR), კორ-ანტიგენის (HCVcAg) ან GeneXpert აპარატის ტესტი. სიფილისზე სისხლის ნიმუშები ტესტირებული იქნება SYPH IgM Elisa ტესტის ან TP RT/PRP და TPHA ტესტების მეშვეობით.

გონორეაზე და ქლამიდიაზე შარდის ნიმუშების კვლევა განხორციელდება პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (PCR) ან GeneXpert აპარატის ტესტის საშუალებით.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტს მიეწოდება ინფორმაცია ბიომარკერულ კვლევაზე ინფორმირებული თანხმობის მიღების ეტაპზე. თანხმობის შემთხვევაში ჩატარდება სისხლის და შარდის ნიმუშის აღება. ნიმუშის აღების წესი და მარკირება იხ. დანართ 1-ში.

გამომდინარე იქიდან, რომ აივ-ზე და C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევისთვის სწრაფი მარტივი მეთოდის გამოყენების გათვალისწინებით, სინჯის აღების შეთავაზება მოხდება ინტერვიურების პროცესში, ხოლო სწრაფი ტესტირების პასუხის მიცემა მოხდება ინტერვიუს დასრულების შემდეგ.

თუ სწრაფი ტესტის პასუხი დადებითია, რესპონდენტს ჩაუტარდება პოსტ-ტესტ კონსულტირება, ახსნილი იქნება ტესტირების პასუხის მნიშვნელობა და შემდგომი სადიაგნოსტიკო ნაბიჯები.

რესპონდენტს კვლევის ველის კოორდინატორი გადასცემს ბარათს, კვლევის კითხვარის ნომრის და საკონსულტაციო ცენტრების მისამართების მითითებით. მას განემარტება, რომ კვლევის შედეგების მისაღებად, ინტერვიუს ადგილზე მისვლისას თან უნდა იქონიოს ეს ბარათი, რადგან მისი სახელი აღნიშნული არ იქნება.

თუ კვლევაში მონაწილე პირი აივ ინფიცირებული აღმოჩნდება, მას მიეცემა რჩევა შეატყობინოს ამის შესახებ სქესობრივ პარტნიორ(ებ)ს, ხოლო მკურნალობისთვის გაიგზავნება ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში. იმ რესპონდენტს, რომელსაც C ჰეპატიტზე, სიფილისზე, გონორეასა და ქლამიდიაზე დადებითი პასუხი აღმოაჩნდება, ასევე მიეცემა რჩევა შეატყობინოს სქესობრივ პარტნიორ(ებ)ს და შემდგომი გამოკვლევისა და მკურნალობის მიზნით გაიგზავნება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში.

### პოპულაციის სავარაუდო ზომის შეფასება

მაღალი რისკის პოპულაციების ზომის შეფასების „ოქროს" მეთოდი არ არსებობს, ამიტომ მიჩნეულია, რომ რამდენიმე მეთოდის ერთად გამოყენება ამცირებს ცალკეული მეთოდისთვის დამახასიათებელი უზუსტობების მოხდენის ალბათობას და ზრდის მიღებული შედეგების სანდოობას. მსმ პოპულაციის ზომის შეფასების კვლევის წინა ტალღა ჩატარდა 2014 წელს თბილისსა და ბათუმში. მიმდინარე პროექტის ფარგლებში კვლევა ასევე ჩატარდება ქ. ქუთაისში. შეფასებისთვის გამოვიყენებთ 7 სხვადასხვა მეთოდის კომბინაციას. სამ ქალაქში მიღებული მონაცემების გამოყენებით ტრიანგულაციის საფუძველზე მოხდება მონაცემთა გადათვლა ქვეყნის მასშტაბით. ქვემოთ მოცემულია იმ მეთოდების აღწერა, რომელსაც კვლევაში გამოვიყენებთ.

#### *ქსელის ზომის განსაზღვრის მეთოდი (NSU)*

ქსელის ზომის განსაზღვრის მეთოდი პოპულაციის ზომის განსაზღვრის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მეთოდია, რომელიც ზოგადი პოპულაციიდან შეგროვებულ მონაცემებს ემყარება. კვლევაში მონაწილეობს 18 წელს ზემოთ ასაკის ორივე სქესის ზოგადი პოპულაცია. ეს მეთოდი სათავეს იღებს ანთროპოლოგიიდან და სოციალური ქსელის ანალიზიდან. ის ეფუძნება ზოგად კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ერთი ადამიანის სანაცნობო წრე გარკვეულწილად ასახავს მთელი საზოგადოების (თემის) მახასიათებლებს. მეთოდის დროს სპეციალური კითხვების მეშვეობით ვადგენთ რესპონდენტის სანაცნობო ქსელს (Personal Network Size). კითხვები მოიცავს სხვადასხვა ტიპის ნაცნობების შესახებ ინფორმაციას და მათ შორის საკვლევი პოპულაციის შესახებ. შესაბამისად, ზოგადი მოსახლეობის მიერ ხდება თავიანთი ნაცნობების რაოდენობის დასახელება.

ზოგად პოპულაციაში ინტერვიუს დროს რესპონდენტებთან მათი ნაცნობების და არა საკუთრივ მათთვის დამახასიათებელ ქცევებზე კითხვების დასმით მეთოდი უზრუნველყოფს ანონიმურობის გარკვეული დონის მიღწევას. აღნიშნული საშუალებას იძლევა, რომ რესპონდენტისგან მიღებული პასუხები იყოს გულწრფელი და სტიგმისგან-ან იმ სხვა ნეგატიური შედეგებისგან თავისუფალი, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს თავად რესპონდენტისგან სარისკო ქცევის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას.

კითხვარი შედგენილია იმ ტიპის კითხვებით ადამიანთა სანაცნობო ჯგუფების შესახებ, რომელზეც არსებობს სტატისტიკური ინფორმაცია (Known Population). ამასთანავე, კონკრეტული სუბპოპულაციური ჯგუფების ზომის თანაფარდობა ზოგად პოპულაციასთან მიმართებაში მერყეობს 0.1% - 0.4%-ის ინტერვალში, მოწოდებული რეკომენდაციის შესაბამისად.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია თბილისსა (1000 შინამეურნეობა) და ბათუმში (500 შინამეურნეობა) ზოგადი მოსახლეობის გამოკითხვა 1500 შინამეურნეობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოტიკის ინექციური გზით მომხმარებელი (ნიმ) პოპულაციის ქსელის ზომის განსაზღვრის მიზნით 2017 წელს ჩატარდა ზოგადი მოსახლეობის გამოკითხვა ქუთაისის 500 შინამეურნეობაში. ვინაიდან აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა, ერთდროულად მოხდეს რამდენიმე რისკის პოპულაციის ზომის შეფასება,

კითხვარში საკვლევად შეტანილი იქნა მსმ-ების და კომერციული სექსის მუშაკების ჯგუფიც. შესაბამისად, ამ მონაცემებს გამოვიყენებთ მიმდინარე პროექტისთვის ქუთაისში მსმ პოპულაციის სავარუდო ზომის დადგენის მიზნით.

სამი ქალაქის შინამეურნეობების მონაცემი საშუალებას მოგვცემს გამოვითვალოთ სამივე ქალაქის მსმ პოპულაციის ზომა და გარკვეულ დაშვებებზე დაყრდნობით გადავითვალოთ საშუალო მაჩვენებელი ქვეყნისთვის.

მიუხედავად გამოპასუხების მაღალი მაჩვენებლისა, ქსელის ზომის განსაზღვრის მეთოდს აქვს ცდომილებები, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია "ინფორმაციის გადაცემის ეფექტი ანუ ტრანსმისიის ცდომილება" და "პოპულარობის ინდექსი"(20). ტრანსმისიის ცდომილება შეიძლება გასწორდეს საკვანძო პოპულაციის რანდომული ჯგუფის გამოკითხვით იმის შესახებ, თუ მათი ნაცნობებიდან (ცნობილი პოპულაციის ჯგუფიდან) რამდენმა იცის რესპონდენტის სარისკო ქცევის შესახებ. პოპულარობის ინდექსი აფასებს, თუ რამდენად განსხვავებულია მაღალი რისკის ჯგუფის და ზოგადი პოპულაციის ქსელის ზომები.

მსმ-ებში IBBS კვლევა გამოყენებულ იქნება ქსელის ზომის განსაზღვრის მეთოდის ცდომილებების (ტრანსმისიის ცდომილება და პოპულარობის ინდექსი) გასასწორებლად. დემოგრაფიული მონაცემების გარდა (ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, შემოსავალი) გამოყენებული იქნება „კონტაქტის თამაშის" მოკლე ვერსია(21). იგი გულისხმობს კვლევაში მონაწილე მსმ-ისთვის კითხვის დასმას, თუ რამდენ ადამიანს იცნობს ის „ცნობილი პოპულაციების" ჯგუფებიდან და მათ შორის რამდენს რომელიც ნარკოტიკის ინექციური გზით მომხმარებელია.

*მრავლობითი კოეფიციენტების მეთოდი*

აღნიშნული მეთოდი პოპულაციის ზომის შეფასების პირდაპირ მეთოდს მიეკუთვნება. მეთოდი დაფუძნებულია ინფორმაციის მოპოვებაზე ორი სხვადასხვა წყაროდან, რომლებიც გარკვეულწილად გადაფარავენ ერთმანეთს. მაგალითად, პროგრამული მონაცემები თუ რამდენმა ადამიანმა მიმართა კლინიკას ტესტირებისთვის. ეს არის ეგრეთ წოდებული კოეფიციენტი (Multiplier). მეორე კი არის თავად სარისკო პოპულაცია, მაგალითად, ამ პოპულაციის რეპრეზენტატიული კვლევა. შესაბამისად,

- პირველ წყაროს წარმოადგენს პროგრამული მონაცემები იმ პოპულაციის შესახებ, რომლის ზომაც ფასდება (დაწესებულება ან სერვისი, რომელთანაც კონტაქტი აქვს ფარული პოპულაციის წარმომადგენელს). მსმ-ებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეკრება მოხდება შემდეგი ინფორმაციის წყაროებიდან:
    - „ჯანმრთელობის კაბინეტის" სერვისის მოხმარების მონაცემები;
    - მსმ პოპულაციის მიერ ხშირად გამოყენებადი მობ/ ვებ აპლიკაციების მოხმარების მაჩვენებლები;
    - მსმ პოპულაციაში IBBS კვლევის დაწყებამდე დარიგებული უნიკალური ნივთის (მაგ. სამაჯური, გასაღების საკიდი, სანთებელა) მონაცემები.

- მეორე წყარო იქნება 3 ქალაქში IBBS კვლევა, სადაც  დაზუსტდება პირველი წყაროდან მიღებულ მონაცემთა საკვანძო პოპულაციის წევრებში გამოყენების სიხშირე.  მაგ. რამდენმა მათგანმა ისარგებლა კონკრეტული სერვისით, მიუღო უნიკალური ნივთი დროის გარკვეულ მონაკვეთში და ა.შ.

ამ მეთოდით გამოანგარიშებული ზომის შეფასება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პირველ წყაროში არსებული მონაცემების სიზუსტესა და სანდოობაზე. ასევე წყაროებს შორის ნათელი და მკაფიო განსაზღვრებების არსებობაზე (პოპულაციის განსაზღვრება, დროის პერიოდის, შესადარებელი პოპულაციების ასაკის და გეოგრაფიული არეალის განსაზღვრებები).

მრავლობითი კოეფიციენტების მეთოდის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- „ჯანმრთელობის კაბინეტი" თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ინახავს მომხმარებელთა მონაცემებს უნიკალური კოდების მიხედვით. ამ დაწესებულებიდან მოვიპოვებთ ინფორმაციას იმ მსმ-ების რაოდენობაზე, რომლებმაც ბოლო 6 თვის განმავლობაში ისარგებლეს აღნიშნული სერვისით.
- სულ მცირე ორი მობ / ვებ აპლიკაციის, გამოყენებით,  რომლებიც ყველაზე პოპულარულია ამ ჯგუფში, კოეფიციენტის მეთოდის ჩასატარებლად მოხდება აღნიშნული აპლიკაციების მონიტორინგი IBBS კვლევის დაწყებიდან 2 კვირით ადრე და კვლევის ველის მიმდინარეობის პერიოდში, რომლის დროსაც განვსაზღვრავთ აპლიკაციების მომხმარებელი უნიკალური (არადუბლირებული) მსმ-ების რაოდენობას.
- უნიკალური მეთოდის გამოყენებით კოეფიციენტის მეთოდის ჩასატარებლად დაითვლება იმ უნიკალური მსმ-ების რაოდენობა, რომლებიც IBBS კვლევის დაწყებამდე 2 კვირით ადრე დაურიგდებათ უნიკალური ნივთები.  მონაცემთა სიზუსტისათვის მსმ-ებს, რომლებსაც დაურიგდებათ სამახსოვრო ნივთები, მიეცემათ რეკომენდაცია, რომ არ გადასცენ მიღებული ნივთი სხვას და შეინახონ ის სულ მცირე 4 თვის განმავლობაში.

კოეფიციენტის მეთოდი საკმაოდ მოქნილია და მისი გამოყენება რეკომენდებულია მრავალ გარემოებაში. ალბათური შერჩევის კვლევებთან კომბინაციაში კოეფიციენტის მეთოდი პოტენციურად მძლავრი ინსტრუმენტია პოპულაციის ზომის შეფასებისთვის.

კოეფიციენტების მეთოდით შეგროვებული მონაცემების ანალიზისთვის გამოითვლება სარწმუნოობის ინტერვალი ტეილორის მეთოდით (22), რათა თავიდან ავირიდოთ გარკვეული უზუსტობა იმ ინდივიდების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც სარგებლობდნენ მობილური/ვებ აპლიკაციებით. ამ უზუსტობის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნება ნორმალური განაწილება, რომელიც როგორც წესი მიახლოებულია პუასონის განაწილებასთან.

*ჩაჭერა-უკუჩაჭერის მოდიფიცირებული მეთოდი*

მეთოდი წარმოადგენს ჩაჭერა-უკუჩაჭერის მოდიფიცირებულ ვარიანტს, რომელიც დომბროვსკის მიერ იყო მოწოდებული 2012 წელს (23). მეთოდი პასუხობს იმ სირთულეებს, რაც ახასიათებს ზოგადად ჩაჭერა-უკუჩაჭერის მეთოდს:

- საჭიროა პოპულაციის 2 ერთმანეთისგან დამოუკიდებელი შერჩევის არსებობა
- ანონიმურობის პრინციპის დაცვა, რადგანაც საქმე ეხება სტიგმატიზებულ ჯგუფებს (როგორიცაა მსმ)

მეთოდი IBBS კვლევაში ჩართულ რესპონდენტებისგან შეაგროვებს შემდეგი სახის პერსონალურ ინფორმაციას: სიმაღლე, წონა, თმის ფერი, თვალის ფერი, ეთნიკურობა, რომელიც მონაწილეობს სპეციალური კოდის „telefunken code" შედგენაში. კოდის შედგენისთვის ასევე გროვდება ინფორმაცია რესპონდენტთა მობილური ტელეფონის ნომრის ბოლო 4 ციფრზე - ლუწია თუ კენტი და დაბალია თუ მაღალი შემდეგი დაშვებების გათვალისწინებით: 0-4 აღინიშნება როგორც დაბალი, ხოლო 5-9 მაღალი). მაგალითად, თუ ბოლო 4 ციფრი არის 1234, მონიშვნა მოხდება, როგორც კენტი-ლუწი-კენტი-ლუწი-დაბალი-დაბალი-დაბალი-დაბალი, თუ რიცხვებია 7412 - კენტი-ლუწი-კენტი-ლუწი-მაღალი-დაბალი-დაბალი-დაბალი. ასეთი სპეციალური კოდი შედგება თითოეულ რესპონდენტზე, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კვლევაში. ამგვარად შეგროვებული მონაცემები ჩაითვლება „ჩაჭერად" ამ კონკრეტული მეთოდისთვის. „ მეორე ჩაჭერისთვის" მონაცემთა შეგროვების მიზნით კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს ვთხოვთ მოგვაწოდონ ინფორმაცია 5 მსმ-ზე, რომელთა საკონტაქტო ნომრებიც მოეპოვებათ სატელეფონო წიგნაკში.

თუ რესპონდენტს ჩაწერილი აქვს 5 ან ნაკლები მსმ კონტაქტი მობილურში, მაშინ telefunken კოდი შედგება ყველა მათგანზე, ხოლო თუ ასეთი კონტაქტების რაოდენობა იქნება ბევრი, მაშინ გამოვიყენებთ რანდომულ შერჩევა ანბანის მიხედვით. Telefunken კოდის შედგენისთვის რესპონდენტები იხელმძღვანელებენ იმავე მახასიათებლებით, რომლების მეშვეობითაც მათ საკუთარ თავზე შეადგინეს მსგავსი კოდი. (სიმაღლე, წონა, თმის ფერი და ეთნიკური კუთვნილება და ტელეფონის ბოლო 4 ციფრის მახასიათებელი: ლუწი ან კენტი, მაღალი ან დაბალი)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოპულაციის ზომის შესაფასებლად კვლევის მონაწილე განიხილება, როგორც „ჩაჭერა", მონაწილეთა მიერ დასახელებული ნაცნობები - „მეორე ჩაჭერა", ხოლო დასახელებულ ნაცნობებში დამთხვევათა რაოდენობა განიხილება, როგორც „უკუჩაჭერა". მიღებული მონაცემების საფუძველზე სპეციალური ფორმულების მეშვეობით მოხდება მსმ-პოპულაციის ზომის გაანგარიშება.

ანონიმურობის პრინციპების დაცვის მიზნით კვლევა არ შეაგროვებს ზუსტ სახელებს და სრულ ნომრებს იმ კონტაქტებისა, რომლებსაც მოგვაწვდიან კვლევის მონაწილეები. აღნიშნული ართულებს ჩაჭერისა და უკუჩაჭერის მონაცემების შესატყვისობას (დამთხვევას) და ბადებს გარკვეულ ცდომილებებს ზომის შეფასების პროცესში. ანალიზის ეტაპზე, განისაზღვრება დამთხვევათა შესაძლო ცდომილებების დიაპაზონი და სენსიტიური ანალიზის საფუძველზე გამოითვლება მსმ პოპულაციის ზომა.

*ჯგუფის ცოდნის მეთოდი*

მეთოდი ითვალისწინებს IBBS კვლევის მონაწილეების პირად მოსაზრებებს მსმ-პოპულაციის რაოდენობასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, კვლევაში მოსულ რესპონდენტს ვეკითხებით რა რაოდენობის მსმ შეიძლება ცხოვრობდეს თბილისში ჯილის შეფასების შკალის გამოყენებით (RDS ანალიზის სისტემის შემადგენელი ნაწილი) და კვლევის მონაწილეთა პასუხზე დაყრდნობით, მოხდება მსმ-პოპულაციის ზომის საშუალო სიდიდის, ასევე, მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობების გაანგარიშება.

*ჰენდკოკის RDS-ზე დაფუძნებული მეთოდი*

ეს მეთოდი დაფუძნებულია თანმიმდევრული შერჩევის მიახლოვებაზე RDS-თან, რათა მოხდეს ინფორმაციის ორგანიზება ადამიანის პირადი ქსელის ზომის რიგითობის შესაბამისად. ის მონაწილეები, რომელთაც უფრო მეტი სოციალური კონტაქტები აქვთ ანუ უფრო დიდი სანაცნობო წრე აქვთ, იძლევა კვლევაში მონაწილის უფრო ადრე მოხვედრის დიდ ალბათობას, იმათთან შედარებით, რომლებსაც უფრო მცირე სანაცნობო წრე აქვთ. ვესტმა (24) შემოგვთავაზა მიდგომა რომლის საშუალებით ინფორმაცია ლაგდება შერჩეული ერთეულების კლებადი რაოდენობებით (RDS-ში ამას ჰქვია სოციალური კავშირები ან ხარისხი) და გვაძლევს დროთა განმავლობაში ინფორმაციას პოპულაციის ზომის შესახებ (25). გაანგარიშებისათვის გამოყენებული იქნება კომპიუტერული პროგრამა RDSAT.

აქტივობაში ჩართული იქნება მიმწოდებლის წარმომადგენლები.

## აქტივობა 2: კვლევის ინსტრუმენტის გადახედვა/განახლება, სტრუქტურიზებული კითხვარების შემუშავება / მოდიფიკაცია

IBBS კვლევის კითხვარი მოიცავს როგორც დემოგრაფიული მახასიათებლების, სარისკო ქცევის, აივ ინფექცია/შიდსთან დაკავშირებული ცოდნის, პრევენციული პროგრამებით მოცვის, ინდივიდუალური ქსელის ზომის განსაზღვრის კითხვებს. PSE კითხვარი მოიცავს შესაბამის კითხვებს კოეფიციენტის, ჩაჭერა-უკუჩაჭერის, ქსელის ზომის განსაზღვრის მეთოდის ცდომილებების შესწორების კითხვებს.

ინსტრემენტის შემუშავებისას გათვალისწინებულია 2010 წელს გლობალური ფონდის მეექვსე რაუნდის პროექტის ფარგლებში შემუშავებულია ბიო-ქცევითი ზედამხედველობის კვლევის სტანდარტული მეთოდოლოგია, რაც მოიცავს ძირითადი ინდიკატორების ჩამონათვალს, მათ პასპორტებს, სტანდარტიზებულ ინსტუმენტებს და ცხრილებს მონაცემთა ანალიზისათვის.[1]

IBBS კვლევების სხვადასხვა რაუნდის მოსამზადებელ ეტაპებზე ექსპერტთა მონაწილეობით კითხვარმა განიცადა მოდიფიცირება. მიმდინარე კვლევისთვისაც მოხდება კვლევის ინსტრუმენტის განხილვა და მოდიფიკაცია სამუშაო ჯგუფის მიერ,

[1] მაღალი რისკის ჯგუფების ქცევაზე ზედამხედველობის კვლევების სტანდარტული მეთოდური სახელმძღვანელო. დეკემბერი 2010

რაც გაითვალისწინებს GAM (Global AIDS Monitoring) ანგარიშგების ინსტრუმენტის ინდიკატორებს.

2015 წელს Ms Access-ში შეიქმნა მსმ-ების კითხვარის ელექტრონული ვერსია, იგი ითვალისწინებს ალგორითმებს, რაც მინიმუმდე ამცირებს ინტერვიუერის მიერ კითხვის გამოტოვების/ არასწორი გადასვლის ალბათობას და შეყვანის შეცდომას. მონამცეთა შეყვანა ხდება ინტერვიუერის მიერ დროის რეალურ რეჟიმში. Ms Access-დან მონაცემთა ექსპორტი ხდება ექსელის პროგრამაში, შემდეგ მკვლევარს გადააქვს მონაცემები წინასწარ შემუშავებულ SPSS-ის ბაზაში. IBBS კითხვარის მცირე რაოდენობა იქნება ნაბეჭდი სახით, რათა თავიდან ავიცილოთ გაუთვალისწინებელი ტექნიკური ხარვეზებით (ელექტროენერგიის გათიშვა, კომპიუტერის დაზიანება, და სხვ.) საველე სამუშაოების შეფერხება. ინსტრუმენტის ცვლილებები შესაბამისად აისახება Ms Access-ის ელექტრონულ ვერსიაში.

PSE კითხვარი მოიცავს შესაბამის კითხვებს კოეფიციენტის, ჩაჭერა-უკუჩაჭერის, ქსელის ზომის განსაზღვრის მეთოდის ცდომილებების შესწორებისთვის.

PSE კითხვარის ჩაჭერა-უკუჩაჭერის ნაწილი იქნება ბეჭდური, ვინაიდან იგი გულისხმობს რესპონდენტის უშუალო მუშაობას კითხვართან.

## აქტივობა 3: კვლევის პროტოკოლის შემუშავება და დამტკიცება ბიოეთიკის საბჭოს მიერ

კვლევის პროტოკოლი აღწერს კვლევის მეთოდოლოგიას. დოკუმენტში ასევე იქნება აღწერილი მოცემული კვლევის მიზნები და ამოცანები, ისეთი დეტალები მეთოდოლოგიის შესახებ, როგორიცაა: შერჩეული სამიზნე მოსახლეობა, ადგილები და შერჩევის ჩარჩო თითოეული ქვე-პოპულაციისთვის, ეთიკური პრინციპების დაცვის პროცედურები.

კვლევის პროტოკოლები და ინსტრუმენტები დასამტკიცებლად წარედგინება ეროვნულ ბიოეთიკის საბჭოს.

## აქტივობა 4: ინტერვიუერების ტრენინგი და კითხვარის პილოტირება

კვლევის ველის დაწყებამდე, როგორც IBBS, ასევე PSE კვლევებისთვის ჩატარდება ინტერვიუერთა ტრეინინგი. საველე სამუშაოებში მონაწილეობას მიიღებენ წინა კვლევებში გამოცდილი ინტერვიუერები. ტრეინინგის დროს ყურადღება გამახვილდება მოდიფიცირებულ კითხვებზე და ზომის შეფასების მეთოდოლოგიაზე. სწავლებას ჩაატარებს საერთაშორისო ფონდ კურაციოს წარმომადგენელი.

შემდგომ ჩატარდება IBBS კვლევის ინსტრუმენტების პილოტირება მსმ-ებში. მოხდება პილოტირების შედეგების განხილვა და კითხვარის შესაბამისი რევიზია. ჩატარდება ელექტრონული კითხვარების ტესტირება.

### აქტივობა 5: შემსყიდველის მიერ ნომინირებული წარმომადგენლების ტრენინგი კვლევის მეთოდოლოგიებსა და ველის ჩატარებაზე; ტრენინგი მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზზე

შემსყიდველის მიერ ნომინირებულ წარმომადგენლებს კურაციოს მკვლევარი ჩაუტერებს ტრენინგს და მიაწვდის დამატებით მასალებს კვლევების მეთოდოლოგიის შესწავლის მიზნით. მეორე ტრენინგი მონაცემთა დამუშავების და ანალიზის თემაზე ჩატარდება მას შემდეგ რაც დასრულდება ერთი ქალაქის საველე სამუშაოები მაინც. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს მიეცემათა პრაქტიკული სამუშაოები, რომლებსაც ისინი მკვლევარის ზედამხედველობით შეასრულებენ. პრაქტიკული სამუშაოებით ვუზრუნველყოფთ მათი ანალიტიკური უნარების ჩამოყალიბება/გაუმჯობესებას.

### აქტივობა 6: ქცევებისა და ბიომარკერული კვლევის ველის განხორციელება

IBBS / PSE კვლევის საველე სამუშაოები დაიწყება მას შემდეგ, რაც დასრულდება ყველა ზემოაღნიშნული ეტაპი. ქცევებისა და ბიომარკერული კვლევა განხორციელდება საქართველოს სამ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) “თანადგომას” ოფისებში. ველის მიმდინარეობისას მსმ-ებს ჩაუტარდებათ პირისპირ ინტერვიუები და შეგროვდება ინფორმაცია წინასწარ განახლებულ და ტესტირებული სტრუქტურიზებული კითხვარით.

ბიომარკერული კომპონენტი გულისხმობს ბიოლოგიური ნიმუშის ტესტირებას შემდეგ გამომწვევებზე ქვემოჩამოთვლილი მეთოდებით:

| ბიომარკერი | სინჯი | მეთოდი |
|---|---|---|
| აივ | სისხლი | სკრინინგი- სწრაფი მარტივი ტესტი |
| აივ | სისხლი | კონფირმაცია - პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (PCR) |
| C ჰეპატიტი | სისხლი | სკრინინგი- სწრაფი მარტივი ტესტი |
| C ჰეპატიტი | სისხლი | კონფირმაცია - პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (PCR), ან კორ-ანტიგენის (HCVcAg) ან GeneXpert აპარატის ტესტი |
| სიფილისი | სისხლი | SYPH IgM Elisa ტესტის ან TP RT/PRP და TPHA ტესტების |
| ქლამიდია | შარდი | პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (PCR) ტესტი ან GeneXpert აპარატის ტესტი |
| გონორეა | შარდი | პოლიმერაზული ჯაჭვური სადეტექციო ტესტი |

დანართი 1 აღწერს სინჯის აღების და ტრანსპორტირების პროცედურებს.

სისხლის და შარდის ნიმუშების კვლევა ჩატარდება რიჩარდ ლუგარის სახელობის ცენტრისა და საზოგადოებრივ ლაბორატორიებში კვლევის გეოგრაფიული არეალის შესაბამისად.

შემსყიდველის წარმომადგენლებს მიეცემათ საშუალება დაესწრონ საველე სამუშაოებს თბილისში. დაახლოებით ინტერვიუების 10% (30 ინტერვიუ) ჩატარდება შემსყიდველის წარმომადგენლის თანადასწრებით რესპონდენდიტს თანხმობის შემთხვევაში.

### აქტივობა 7: მონაცემთა შეგროვება და შიდა და გარე ხარისხის კონტროლი

ჩატარდება პირისპირი ინდივიდუალური ინტერვიუები. განხორციელდება კვლევის ველის შიდა და გარე ხარისხის კონტროლი. შიდა კონტროლი გულისხმობს პარტნიორი ორგანიზაციისს ("თანადგომა") ველის ზედამხედველის მიერ ინტერვიუერების მიერ გაწეული სამუშაოს ხარისხის მუდმივ მეთვალყურეობას, ელექტრონული და ნაბეჭდი კითხვარების გადახედვას და შემოწმებას შევსების სისრულეზე და აკურატულობაზე. მოხდება ყველა შევსებული კითხვარის / ფორმის გადახედვა. ველის ზედამხედველი ასევე პასუხისმგებელია დახმარება გაუწიოს ინტერვიუერს ნებისმიერი წარმოქმნილი სირთულის დროს. ხარისხის გარე კონტროლი გულისხმობს საერთაშორისო ფონდ კურაციოს მხრიდან საველე სამუშაოების ინტენსიურ მონიტორინგს. ჩატარდება ვიზიტები ყველა ქალაქში, უფრო მაღალი ინტენსივობით საველე სამუშაოების დასაწყისში, რათა დროულად გამოვლინდეს ხარვეზები და მიღებულ იქნას მაკორექტირებელი ზომები. მონიტორინგის ვიზიტის დროს მოხდება შერჩევის პრინციპების დაცვის შემოწმება, კითხვარების გადახედვა რანდომული პრინციპით და ხარისხის კონტროლის სტანდარტული ფორმის შესაბამისად ინფორმაციის შეგროვება, ყოველი მონიტორინგის ვიზიტის შედეგები განხილული იქნება ინტერვიუერებთან.

მსმ-ების პოპულაციის სავარაუდო ზომის შეფასებისათვის (სერვისის მოხმარების კოეფიციენტის მეთოდი) მოხდება მონაცემების მოძიება „ჯანმრთელობის კაბინეტიდან". კერძოდ, გამოვითხოვთ ინფორმაციას თუ რამდენმა მსმ-მა ისარგებლა კაბინეტის მომსახურებით 2018 წლის პირველ ნახევარში (6 თვის მონაცემი).

ქსელის ზომის შეფასებისათვის მოხდება საჭირო ინფორმაციის მოძიება სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან, იუსტიციის სამინისტროდან, დკსჯეც-დან.

### აქტივობა 8: ელექტრონულ ბაზაში მონაცემების შეტანა და ვალიდაცია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონაცემთა ნაწილი საჭიროების შემთხვევაში, შეგროვდება ნაბეჭდი კითხვარის საშუალებით, და მოგვიანებით დაიწყება ამ მონაცემების შეყვანა SPSS-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. PSE მონაცემთა მაგ: ჩაჭერა-უკუჩაჭერა მეთოდის შეყვანა მოხდება შესაბამის Ms. Excel მონაცემთა ბაზებში. შეყვანის შემდგომ მოხდება მონაცემთა შემოწმება შესაბამისობასა და ნაკლოვანებებზე (ბაზის გაწმენდა).

დაცული იქნება მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპები, რაც გულისხმობს, რომ მონაცემებთან წვდომა ექნება მხოლოდ მკვლევართა გუნდს, მონაცემები დაცული იქნება ნებადაურთავი წვდომისგან და გამოყენებისგან. ვინაიდან კვლევის მონაცემები არ შეიცავს პერსონალურ იდენტიფიკატორებს მონაცემთა კონფიდენციალობის დარღვევის საშიშროება არ არსებობს.

მონაცემები გამოყენებული იქნება პირველადი და მეორადი ანალიზისთვის, მეთოდოლოგიური ასპექტების განვითარებისთვის. დამფინანსებელი ორგანიზაციის წვლილი იქნება შესაბამისად აღნიშნული.

## აქტივობა 9: მონაცემთა ანალიზი, სინთეზი, ტრიანგულაცია

კვლევის მონაცემთა ანალიზი ჩატარდება სტანდარტული ანალიზის ჩარჩოს მიხედვით. განხორციელდება ძირითადი (ეროვნული და GAM) ინდიკატორების ტენდენციის ანალიზი.

IBBS მონაცემები გაანალიზდება სტატისტიკური ანალიზის პროგრამაში SPSS (Version 18.0) RDS-Analyst (version 0.42 ). ეს უკანასკნელი მოწოდებულია RDS შერჩევის მეთოდის გამოყენებით მიღებული მონაცემების ანალიზისთვის და პოპულაციაზე შეწონილ პრევალენტობას საწრმუნოობის ინტერვალებით. მიღებული მონაცემები შესაძლებელია ექსპორტირებულ იქნეს სხვა სტატისტიკურ პროგრამაში შემდგომი ანალიზისთვის. მსმ-ების სოციალური ქსელების სტრუქტურები და რეკრუტირების მონაცემები გაანალიზდება ქსელების ვიზუალიზაციის სპეციალური პროგრამის (NetDraw 2.081) გამოყენებით.

PSE მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებული იქნება მეთოდის შესაბამისი მიდგომები (20)(26)(27). დაცული იქნება მეთოდოლოგიური თანმიმდევრობა წინა ტალღის კვლევებთან, რათა უზურუნველყოფილ იქნას მონაცემთა შესადარისობა. ქალაქების შედეგების საფუძველზე მოვახდენთ მონაცემების ექსტრაპოლაციას ქვეყნის მასშტაბით.

სხვადასხვა PSE მეთოდების გამოყენებისას მიიღება პოპულაციის ზომის განსხვავებული მაჩვენებლები. თითოეულ მონაცემს როგორც წესი გააჩნია მინიმალური და მაქსიმალური საზღვრები (plausibility bounds), რომლის ფარგლებშიც შეიძლება ვარირებდეს მიღებული სიმრავლე. სხვადასხვა მეთოდებით მიღებული მონაცემების საფუძველზე ერთი შეჯერებული სიმრავლის გამოსაყვანად აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს მონაცემების ვალიდაცია სხვა მონაცემებთან (მაგ. სხვა კვლევის ან ადმინისტრაციული მონაცემები) და მონაცემთა ტრიანგულაცია დარგის ექსპერტებთან, რომლისთვისაც სპეციალური შეხვედრა დაინიშნიშნება პროექტის დასკვნით ეტაპზე (იხ. აქტივობა 10).

## აქტივობა 10: პოპულაციის სავარაუდო ზომის შეფასების მონაცემების განხილვა კონსენსუს შეხვედრაზე

სადღეისოდ პოპულაციის ზომის შეფასების მეთოდები ხასიათდება სხვადასხვა ძლიერი და სუსტი მხარეებით, შესაბამისად მოწოდებულია მეთოდების კომბინაცია და მიღებული გათვლების ტრიანგულაცია. მსგავსი მიდგომა მიღებული შედეგების ვალიდაციას და რეალობასთან მიახლოებულ სიზუსტეს უზრუნველყოფს. შედეგების განხილვა მოხდება კონსენსუს შეხვედრაზე, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები. შეხვედრა ხელს შეუწყობს მონაცემთა ირგვლივ არსებულ კითხვებზე სიცხადის შეტანას, გარდა ამისა კონსენსუს შეხვედრა არის მონაცემთა ვალიდაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

### აქტივობა 11: კვლევის ანგარიშის მომზადება და დისემინაცია

მონაცემთა განხილვის შემდეგ, მომზადდება IBBS და PSE კვლევების ანგარიშები ქართულ და ინგლისურ ენებზე. დაიბეჭდება ანგარიშების ქართული და ინგლისური ვერსიების 100-100 ეგზემპლიარი. კვლევის საბოლოო შედეგები მოხსენდება გაფართოებულ შეხვედრაზე. საბოლოო ანგარიშები (ქართული და ინგლისური) გავრცელდება დაინტერესებულ მხარეებს შორის. ანგარიშების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება საერთაშორისო ფონდ კურაციოს და პარტნიორ ორგანიზაციების ვებ გვერდებზე.

### წარმოდგენილი პროექტის შეფასების ინდიკატორებია:

1. მსმ-ების IBSS კვლევის კითხვარი მოდიფიცირებულია და ტესტირებულია
2. მსმ-ების PSE კვლევის კითხვარი მოდიფიცირებულია და ტესტირებულია
3. IBSS და PSE კვლევის პროტოკოლი დამტკიცებულია ეთიკური საბჭოს მიერ
4. მსმ-ების კითხვარის ელექტრონული ვერსია მომზადებულია და ტესტირებულია
5. ინტერვიურები ტრენირებულია
6. თბილისის ველი ჩატარებულია 300 მსმ-ში
7. ქუთაისის ველი ჩატარებულია 150 მსმ-ში
8. ბათუმის გორის ველი ჩატარებულია 200 მსმ-ში
9. IBBS კვლევის პირველადი მონაცემები წარმოდგენილია
10. PSE კვლევის მონაცემები წარმოდგენილია კონსენსუს შეხვედრაზე
11. IBBS კვლევის საბოლოო ანგარიშები წარმოდგენილია
12. PSE კვლევის საბოლოო ანგარიშები წარმოდგენილია

### წარმოსადგენი შუალედერი და საბოლოო ანგარიშები/ მიღწეული შედეგების ვალიდაციის დოკუმენტები/ ვადები

ცხრილი 2 გვიჩვენებს ანგარიშების/დოკუმენტების წარმოდგენის ვადებს..

ცხრილი 2. შუალედური და საბოლოო ანგარიშების/დოკუმენტების ვადები

| N | კვლევის დასახელება | ფორმატი | ვადები |
|---|---|---|---|
| 1. | მსმ-ების IBBS კვლევის წინასწარი მონაცემები | 1.1 ცხრილები (ინგლისური) | 2019 წლის 21 იანვარი |
| 2. | მსმ-ების PSE კვლევის წინასწარი შედეგები კონსენსუს შეხვედრისთვის | 2.1 პრეზენტაცია (ქართული) | 2019 წლის 21 იანვარი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3. | მსმ-ების IBBS კვლევის ანგარიში | 3.1 საბოლოო ანგარიში (ინგლისური) | 2019 წლის 25 თებერვალი |
| | | 3.2. საბოლოო ანგარიში (ქართული) | 2019 წლის 25 თებერვალი |
| 4. | მსმ-ების PSE კვლევის ანგარიში | 4.1 საბოლოო ანგარიში (ინგლისური) | 2019 წლის 25 თებერვალი |
| | | 4.2 საბოლოო ანგარიში (ქართული) | 2019 წლის 25 თებერვალი |

## კვლევასთან დაკავშირებული რისკები

წარმოდგენილი IBBS კვლევის გეგმა, განსაკუთრებით საველე სამუშაოების დაგეგმვა ეფუძნება შემსყიდველის მიერ წარმოდგენილ ვადებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზაფხულის პერიოდში საველე სამუშაოების ჩატარება დაკავშირებულია რისკთან, რომ შერჩევის ზომა ქალაქებში არ იქნება მიღწეული. ამის მიზეზი რამდენიმეა:

- კვლევის პოპულაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასაკობრივი ჯგუფი არის 24 წლამდე მსმ-ები. ივნისი-ივლისი ემთხვევა საგამოცდო პერიოდს, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეაფერხოს კვლევაში რესპონდენტების მოზიდვა
- ზაფხულის პერიოდში ბევრი დროებით იცვლის ადგილმდებარეობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მიემგზავრება ქვეყნის გარეთ. ამ ფაქტორმაც შესაძლოა იმოქმედოს რეკრუტირების პროცესზე.
- ტესტირება აივზე და სხვა ინფექციებზე წარმოადგენს ერთ-ერთ მოტივატორს კვლევაში ჩართვისთვის. ზაფხულის პერიოდში „თანადგომა", ასევე სხვა პრევენციული პროგრამები ატარებენ სხვადასხვა აქციებს ტესტირებაზე, რამაც შესაძლოა შეამციროს ტესტირების სურვილის გამო კვლევაში მომსვლელთა რაოდენობა.

## დანართი 1 ნიმუშის აღების წესი და მარკირება

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთან, ნებაოფლობითი თანხმობის შემთხვევაში, ინტერვიურების პროცესში მოხდება სისხლის და შარდის ნიმუშების აღება. სისხლის ნიმუშის აღება ექთნის მიერ მოხდება შესაბამისი ტესტ-სისტემების მოთხოვნების შესაბამისად (ვენური სინჯი, ან ვენური და კაპილარული სინჯი).

სინჯარების მარკირება მოხდება შემდეგნაირად: ტესტ-სისტემაზე დაიწერება ის უნიკალური კოდი, რომელიც მიენიჭა რესპონდენტს კითხვარის შევსებისას. კოდი შედგება შემდეგი სიმბოლოებისგან: პირველი სიმბოლო (ლათინური შრიფტით) აღნიშნავს კვლევის ადგილმდებარეობას - ქალაქის დასახელების პირველი ასო; მეორე სიმბოლო აღნიშნავს რიგითობას კვლევაში მონაწილეობისა და ნუმერირებულია (მაგალითად, თბილისში T001, ქუთაისში K013, ან ბათუმში B084).

თუ სწრაფი ტესტის პასუხი დადებითია, რესპონდენტს ჩაუტარდება პოსტ-ტესტ კონსულტირება, ახსნილი იქნება ტესტირების პასუხის მნიშვნელობა და შემდგომი სადიაგნოსტიკო ნაბიჯები.

სისხლის აღება მოხდება ვენიდან ასეპტიკის და უსაფრთხოების წესების დაცვით, ერთჯერადი ნემსის საშუალებით, 3-5 მლ რაოდენობით. ვენაპუნქცია სრულდება ტექნიკით „ნემსის კვეთა ზევით“. აღებული სისხლი მოთავსდება სტერილურ, მშრალ სინჯარაში. შპრიცს უნდა მოშორდეს ნემსი, შპრიცი უნდა ჩაიდოს სინჯარაში და ნელა (დაბალი წნევით) უნდა ჩაისხას ეტიკეტირებულ სინჯარაში. ნემსი და გამოყენებული შპრიცი მოთავსებული უნდა იყოს ე.წ უსაფრთხოების ყუთში „Safe box“-ში. სისხლის აღების შემთხვევაში რეკომენდებულია სისხლის ნიმუშის გადატანა თავსახურიან, სტერილურ სინჯარაში. თითოეული სინჯარა მარკირდება იგივე კოდის გამოყენებით, რაც იყო შესაბამისი რესპონდენტის ტესტ-სისტემაზე. სტერილური სინჯარები მასალით მოთავსდება თავსახურიან კონტეინერებში სპეციალური ტემპერატურული რეჟიმის დაცვით (2-8 გრადუსი). ტემპერატურის შენარჩუნებისათვის გამოყენებული იქნება ყინულის პაკეტები. სამუშაოს დამთავრების შემდეგ სისხლის აღების ადგილი კარგად უნდა იყოს დამუშავებული სადეზინფექციო ხსნარებით, მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად.

ცენტრიფუგირების შემთხვევაში სინჯარაში გამოსაკვლევი სისხლის დაყოვნება მოხდება ოთახის ტემპერატურაზე კოლტის წარმოქმნამდე და შემდეგ მაცივარში 2-8 C 24 საათის განმავლობაში. შრატის/ პლაზმის გამოყოფა მოხდება შემდეგნაირად: ვენიდან აღებული 3-5 მლ სისხლი, რომელიც ჩასხმულია ცენტრიფუგის სინჯარაში, 15-30 წთ-ის განმავლობაში დაყოვნდება ოთახის ტემპერატურაზე (18- 25 C). სისხლის შედედების შემდეგ ერთჯერადი წკირის გამოყენებით სისხლის კოლტი მოიხსნება სინჯარის კედლიდან და მოხდება მისი ცენტრიფუგირება 1000-1500 ბრ/წთ-ში 5-10 წთ-ის განმავლობაში.

შრატის/პლაზმის ნიმუშის ტერიტორიულად დაშორებულ ლაბორატორიაში გადატანისას, გამოყენებულ იქნება ჰერმეტულად თავდახურული სინჯარები (ეპენდორფის სინჯარა), ეტიკეტირებული იგივე კოდით, რაც აღებული სისხლის ნიმუში. ჯანდაცვის მსოფლიო

ორგანიზაციის და საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია მასალების შეფუთვის საერთაშორისო რეკომენდაციები:

1. სინჯარა მოთავსებული უნდა იყოს წყალგაუმტარ, თავსახურიან კონტეინერში ტემპერატურული რეჟიმის დაცვით

2. კონტეინერი უნდა შეიფუთოს მყიფე მასალაში, რომელსაც აქვს დაღვრილი მასალის შეწოვის უნარი

3. ეს ყველაფერი უნდა მოთავსდეს მეორე წყალგაუმტარ თავსახურიან კონტეინერში და დაილუქოს (შესაძლებელია თვითმწებავი პაკეტების გამოყენებაც).

4. თანმხლები დოკუმენტაცია ჩაიდოს ცალკე თვითმწებავ ან დალუქულ პაკეტში, რომელიც მიემაგრება მე-3 პუნქტში აღწერილ კონტეინერს.

5. კონტეინერის გარეთა შეფუთვის ეტიკეტი უნდა აჩვენებდეს, რომ კონტეინერში მოთავსებულია პათოლოგიური მასალა.

6. გზავნილს გარედან უნდა მიეთითოს გამომგზავნი დაწესებულების დასახელება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ასევე მიმღები დაწესებულების დასახელება, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

7. კონტეინერის გადატანისას არ უნდა მოხდეს მისი ფიზიკური დაზიანება პათოლოგიური მასალის შემცველი პაკეტის გახსნა შეუძლია მხოლოდ ლაბორატორიის მუშაკს.

შარდის ნიმუშის აღება (პირველი ულუფა 20-30 მლ) სტერილური პლასტიკურ კონტეინერში. შარდის ნიმუშის ტრანსპორტირება მოხდება პირველი 24 სთ-ის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში თუ მოხდა მასალის დაღვრა (რომელიც სწორად შეფუთვისას მხოლოდ შიგნით დარჩება) მოხდება კონტეინერის დეზინფიცირება, შემდეგ დაღვრილი მასალის მოშორება და გარეცხვა.

ბიოლოგიური მასალის გადატანა მოხდება ლუგარის ლაბორატორიებში კვლევის ველის გეოგრაფიული ლოკაციის შესაბამისად.

## ბიბლიოგრაფია:


1. UNAIDS DATA - Country factsheets 2016. UNAIDS DATA - Country factsheets 2016 [Internet]. [cited 2018 Apr 23]. Available from: http://www.unaids.org/en/regionscountries/countries/georgia

2. Infectious Diseases, AIDS & Clinical Immunology Research Center. Available from: http://aidscenter.ge/epidsituation_eng.html

3. Global AIDS Response Progress Report, GEORGIA, Country Progress Report [Internet]. 2015. Available from: http://www.unaids.org/sites/default/files/country/documents/GEO_narrative_report_2015.pdf

4. MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA, NATIONAL CENTRE FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH. HEALTH CARE STATISTICAL YEARBOOK 2016 GEORGIA [Internet]. Available from: http://ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=31eee2a3-9bf5-4558-959b-a4b92f600555

5. Curatio International Foundation, Center for Information and Counselling on Reproductive Health – Tanadgoma. HIV risk and prevention behavior among Men who have Sex with Men in Tbilisi and Batumi, Georgia [Internet]. 2015. Available from: http://curatiofoundation.org/wp-content/uploads/2016/04/MSM-BBS-Report-15-04-2016-ENG.pdf

6. Remis RS, Liu J, Loutfy MR, Tharao W, Rebbapragada A, Huibner S, et al. Prevalence of Sexually Transmitted Viral and Bacterial Infections in HIV-Positive and HIV-Negative Men Who Have Sex with Men in Toronto. PLoS ONE [Internet]. 2016 Jul 8;11(7). Available from: https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4938580/

7. Mohammed H, Mitchell H, Sile B, Duffell S, Nardone A, Hughes G. Increase in Sexually Transmitted Infections among Men Who Have Sex with Men, England, 2014. Emerg Infect Dis. 2016 Jan;22(1):88–91.

8. Keshinro B, Crowell TA, Nowak RG, Adebajo S, Peel S, Gaydos CA, et al. High prevalence of HIV, chlamydia and gonorrhoea among men who have sex with men and transgender women attending trusted community centres in Abuja and Lagos, Nigeria. J Int AIDS Soc [Internet]. 2016 Dec 7;19(1). Available from: https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5146323/

9. Jansen K, Schmidt AJ, Drewes J, Bremer V, Marcus U. Increased incidence of syphilis in men who have sex with men and risk management strategies, Germany, 2015. Eurosurveillance [Internet]. 2016 Oct 27;21(43). Available from: https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5114722/

10. Abara WE, Hess KL, Neblett Fanfair R, Bernstein KT, Paz-Bailey G. Syphilis Trends among Men Who Have Sex with Men in the United States and Western Europe: A Systematic Review of Trend Studies Published between 2004 and 2015. PLoS ONE [Internet]. 2016 Jul 22;11(7). Available from: https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4957774/

11. Kojima N, Davey DJ, Klausner JD. Pre-exposure prophylaxis for HIV infection and new sexually transmitted infections among men who have sex with men. AIDS Lond Engl. 2016 Sep 10;30(14):2251–2.

12. Paz-Bailey G, Hall HI, Wolitski RJ, Prejean J, Van Handel MM, Le B, et al. HIV Testing and Risk Behaviors Among Gay, Bisexual, and Other Men Who Have Sex with Men — United States. MMWR Morb Mortal Wkly Rep. 2013 Nov 29;62(47):958–62.

13. Paz-Bailey G, Mendoza MCB, Finlayson T, Wejnert C, Le B, Rose C, et al. Trends in condom use among MSM in the United States: the role of antiretroviral therapy and seroadaptive strategies. AIDS Lond Engl. 2016 Jul 31;30(12):1985–90.

14. Nguyen V-K, Greenwald ZR, Trottier H, Cadieux M, Goyette A, Beauchemin M, et al. Incidence of sexually transmitted infections before and after preexposure prophylaxis for HIV. AIDS Lond Engl. 2018 Feb 20;32(4):523–30.

15. Abdul-Quader AS, Heckathorn DD, McKnight C, Bramson H, Nemeth C, Sabin K, et al. Effectiveness of Respondent-Driven Sampling for Recruiting Drug Users in New York City: Findings from a Pilot Study. J Urban Health Bull N Y Acad Med. 2006 May;83(3):459–76.

16. Heckathorn DD. Respondent-Driven Sampling: A New Approach to the Study of Hidden Populations. Soc Probl. 1997 May 1;44(2):174–99.

17. Heckathorn DD. Respondent-Driven Sampling II: Deriving Valid Population Estimates from Chain-Referral Samples of Hidden Populations. Soc Probl. 2002 Feb 1;49(1):11–34.

18. Semaan S, Lauby J, Liebman J. Street and network sampling in evaluation studies of HIV risk-reduction interventions. AIDS Rev. 2002 Dec;4(4):213–23.

19. Johnston LG, McLaughlin KR, El Rhilani H, Latifi A, Toufik A, Bennani A, et al. Estimating the Size of Hidden Populations Using Respondent-driven Sampling Data: Case Examples from Morocco. Epidemiol Camb Mass. 2015 Nov;26(6):846–52.

20. UNAIDS. Consultation on Network scale-up and other size estimation methods from general population surveys. New York; 2012 Mar.

21. Salganik MJ, Mello MB, Abdo AH, Bertoni N, Fazito D, Bastos FI. The Game of Contacts: Estimating the Social Visibility of Groups. Soc Netw. 2011 Jan 1;33(1):70–8.

22. Johnston LG, Prybylski D, Raymond HF, Mirzazadeh A, Manopaiboon C, McFarland W. Incorporating the service multiplier method in respondent-driven sampling surveys to estimate the size of hidden and hard-to-reach populations: case studies from around the world. Sex Transm Dis. 2013 Apr;40(4):304–10.

23. Dombrowski K, Khan B, Wendel T, McLean K, Misshula E, Curtis R. Estimating the Size of the Methamphetamine-Using Population in New York City Using Network Sampling Techniques. Adv Appl Sociol. 2012 Dec 1;2(4):245–52.

24. MikeWest. Inference in successive sampling discovery models. Journal of Econometrics. 1996 Nov;75(1):217–38.

25. Handcock, M. S., Fellows, I. E., & Gile, K. J. RDS Analyst:Software for the Analysis of Respondent-Driven Sampling Data. 2014.

26. World Health Organization. Guidelines on Estimating the Size of Populations Most at Risk to HIV.

27. Regional Knowledge Hub for HIV/AIDS Surveillance World Health Organization Collaboration Center Kerman University of Medical Sciences. Network Scale-up Method Workshop Manual. Kerman, Iran; 2013 May.

პროექტის განხორციელების საორიენტაციო გეგმა გრაფიკი დანართი 6

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება/ხელშეკრულების ნომერი: | „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ GEO-H-NCDC |
| ხელშეკრულება N: | |
| პროექტის დასახელება: | აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება |
| მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება: | ააიპ "საერთაშორისო ფონდი კურაციო" |
| პროექტის დაწყების და დასრულების ვადები: | 2018 წლის ივნისი 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით. |

| N | მოდული | ინტერვენცია | ღონისძიება | ღონისძიების ჩატარების ადგილი | ღონისძიების განმახორციელებელი | ღონისძიების გახორციელების გარფიკული ვადები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | თვე | | | | | | | |
| | | | | | | | 2018 | | | | | | 2019 | |
| | | | | | | | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 1 | 2 |
| 1.1 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | კითხვარის მოდიფიკაცია, ტესტირება, პროტოკოლის შემუშავება | თბილისი | კურაციო, თანადგომა | | x | | | | | | | | |
| 1.2 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | ველის მოსამზადებელი სამუშაო | თბილისი | კურაციო, თანადგომა | | x | | | | | | | | |
| 1.3 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | თბილისის ველი (300 მსმ) | თბილისი | თანადგომა | | | x | x | x | x | | | | |
| 1.4 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | ბათუმის ველი (200 მსმ) | ბათუმი | თანადგომა | | | x | x | x | x | | | | |
| 1.5 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | ქუთაისი ველი (150 მსმ) | ქუთაისი | თანადგომა | | | | | x | x | | | | |

Curatio International Foundation * „საერთაშორისო ფონდი კურაციო“ * C.I.F. 203834716

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.6 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | მონაცემთა ბაზის გაწმენდა | თბილისი | კურაციო | | | | | | | x | x | | |
| 1.7 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | IBBS მონაცემების ანალიზი | თბილისი | კურაციო | | | | | | | | x | x | |
| 1.8 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | IBBS პირველადი მონაცემების წარდგენა (ძირითადი ინდიკატორბის ცხრილები) | თბილისი | კურაციო | | | | | | | | | x | |
| 1.1 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | IBBS საბოლოო ანგარიშის მომზადება (ინგლისური) | თბილისი | კურაციო, თანადგომა | | | | | | | | | | x |
| 1.2 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | IBBS საბოლოო ანგარიშის მომზადება (ქართული) | თბილისი | კურაციო, თანადგომა | | | | | | | | | | x |
| 2.1 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | PSE კვლევა შინამეურნეობებში | შერჩევის განსაზღვრა | თბილისი | კურაციო | | | x | | | | | | | |
| 2.2 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | PSE კვლევა შინამეურნეობებში | ველის მოსამზადებელი სამუშაო | თბილისი | კურაციო | | | x | | | | | | | |
| 2.3 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | PSE კვლევა შინამეურნეობებში | თბილისი ველი (1000 შინამეურნეობა) | თბილისი | კურაციო | | | x | x | | | | | | |
| 2.4 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | PSE კვლევა შინამეურნეობებში | ბათუმის ველი (500 შინამეურნეობა) | ბათუმი | კურაციო | | | | x | x | | | | | |
| 2.5 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | PSE კვლევა შინამეურნეობებში | მონაცემთა ბაზის გაწმენდა | თბილისი | კურაციო | | | | | | x | | | | |

Curatio International Foundation

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.6 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | PSE კვლევა შინამეურნეობებში | მონაცემების ანალიზი | თბილისი | კურაციო | | | | | | | x | | | |
| 1.10 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | PSE მონაცემების მოძიება ადმინისტ. წყაროებიდან | თბილისი | კურაციო | | | | | | | x | | | |
| 1.1 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | PSE მონაცემების ანალიზი | თბილისი | კურაციო | | | | | | | | x | x | |
| 1.1 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | კონსენსუს შეხვედრა PSE შედეგებზე | თბილისი | კურაციო, თანადგომა | | | | | | | | | x | |
| 1.1 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | PSE ანგარიშის მომზადება (ინგლისური) | თბილისი | კურაციო, თანადგომა | | | | | | | | | | x |
| 1.1 | HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება | IBBS/PSE კვლევები მსმ-ებში | PSE ანგარიშის მომზადება (ქართული) | თბილისი | კურაციო, თანადგომა | | | | | | | | | | x |

პასუხისმგებელი პირის (დირექტორის) ხელმოწერა

ბ.ა

შენიშვნა: გეგმა-გრაფიკში ცვლილება დასაშვებია შემსყიდველთან შეთანხმებით

Curatio International Foundation * „კურაციო" საერთაშორისო ფონდი * C.I.F. 203834716

დანართი 7

შესასყიდი აქტივები
საწვავის მოთხოვნის ფორმა

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება/ნომერი: | „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა" GEO-H-NCDC |
| ხელშეკრულება N: | |
| პროექტის დასახელება: | აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება |
| მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება: | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| პროექტის დაწყების და დასრულების ვადები: | |

| N | ჩამონათვალი | ერთეულის განზომილება | ვარგისიანობის ვადა | ერთეულის ფასი | შესასყიდი რაოდენობა | საერთო ფასი | ბიუჯეტის კატეგორია (budget category) | სერვისის მიწოდების არე (SDA | პროგრამული ინდიკატორი (Program Indicator |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არასამედიცინო სახარჯი მასალა - საწვავი | | | | | | | | |
| 1 | ბენზინი | ლიტრი | | | 860 | 0 | PA | | |
| 2 | | | | | | 0 | | | |
| | სულ შესყიდვები | | | | | 0 | | | |

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

დანართი 8

პროგრამის განხორციელებაში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების ნუსხა და ინფორმაცია საწვავის საშუალო თვიური ხარჯვის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება/გრანტის ნომერი: | „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა" GEO-H-NCDC |
| ხელშეკრულება N: | |
| პროექტის დასახელება: | აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება |
| მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება: | საერთაშორისო ფონდი კურაციო |
| პროექტის დაწყების და დასრულების ვადები: | |

| # | დასახელება (მარკა, მოდელი) | გამოშვების წელი | სახელმწიფო ნომერი | ძრავის მოცულობა | VIN ნომერი | საწვავის საშუალო თვიური ხარჯვა (ლიტრი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | TOYOTA CAMRY 2,4 HYBRID | 2006 | DZ 279 ZD | 2.4 | JTNBB46K373004311 | 80 |
| 2 | VOLKSWAGEN PASSAT | 2003 | YIY-928 | 1.8 | WVWPD63B24E215312 | 25 |
| 3 | CHEVROLET AVEO | 2010 | HTH-626 | 1.2 | KL1SF69DJAB142661 | 80 |
| 4 | HONDA CR-V | 2002 | GB 838 BG | 2.4 | JHLD78802C092164 | 30 |

პასუხისმგებელი პირის (დირექტორის) ხელმოწერა

ბ.ა

Curatio International Foundation * „საერთაშორისო ფონდი კურაციო" * C.I.F. 203834716

დანართი №9

The Global Fund
To Fight AIDS, Tuberculosis and Malaria

# გრანტების შესახებ მარეგულირებელი ნორმები (2014)

მოქმედებს შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ გაცემული გრანტების მიმართ

Curatio International Foundation * „საერთაშორისო ფონდი კურაციო" * C.I.F. 203834716

შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან
ბრძოლის გლობალური ფონდი
გრანტების შესახებ მარეგულირებელი ნორმები (2014)

სარჩევი

გვერდი

მუხლი 1 მიზანი; გრანტების წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებათა გამოყენება 1

ნაწილი 1.1 მიზანი ........ 1
ნაწილი 1.2 გამოყენება ........ 1
ნაწილი 1.3 შეუსაბამობა გრანტის ხელშეკრულებასთან........ 1

მუხლი 2 განმარტება; ინტერპრეტაცია ........ 1

ნაწილი 2.1 მოკლე დასახელება ........ 1
ნაწილი 2.2 განმარტებები ........ 1
ნაწილი 2.3 აკრონიმები ........ 4
ნაწილი 2.4 ინტერპრეტაცია ........ 4

მუხლი 3 გრანტის ფულადი საშუალებები........ 4

ნაწილი 3.1 გრანტის ფულადი საშუალებების გამოყენება ........ 4
ნაწილი 3.2 ფინანსური ვალდებულებები ........ 4
ნაწილი 3.3 ანაზღაურება ........ 5
ნაწილი 3.4 გრანტის ფულადი საშუალებების მართვა........ 5
ნაწილი 3.5 გადასახადებისგან გატავისუფლება ........ 6
ნაწილი 3.6 ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა..... 7

მუხლი 4 პროგრამის განხორციელებაში ჩართული იურიდიული პირები............ 8

ნაწილი 4.1 CCM; RCM; RO ........ 8
ნაწილი 4.2 ძირითადი მიმღები........ 8
ნაწილი 4.3 ქვემიმღებები........ 8
ნაწილი 4.4 LFA ........ 9
ნაწილი 4.5 დამატებითი ძირითადი მიმღებები........ 9

მუხლი 5 შესყიდვებისა და მიწოდების მართვა ........ 10

ნაწილი 5.1 ხელშეკრულებები საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე .... 10

ნაწილი 5.2 ფარმაცევტული და სხვა ჯანდაცვის პროდუქტები ........ 10

მუხლი 6 შესრულება........ 11

ნაწილი 6.1 საერთო დებულებები ........ 11
ნაწილი 6.2 ანგარიშები სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ ........ 12
ნაწილი 6.3 მონიტორინგი და შეფასება ........ 12
ნაწილი 6.4 დაზღვევა; ვალდებულებები ზარალის, ქურდობის ან ზიანის შემთხვევაში 13
ნაწილი 6.5 გლობალური ფონდის ლოგოების ან სავაჭრო ნიშნების გამოყენება......... 13
ნაწილი 6.6 კორუფციასთან ბრძოლა ........ 13
ნაწილი 6.7 პროგრამის აქტივები ........ 14
ნაწილი 6.8 სამსახურებრივი წერილი ........ 14
მუხლი 7 წიგნები და ჩანაწერები; აუდიტები........ 14

ნაწილი 7.1 პროგრამის წიგნები და ჩანაწერები........ 14
ნაწილი 7.2 ძირითადი მიმღებისა და ქვემიმღების აუდიტები ........ 14
ნაწილი 7.3 დამოუკიდებელი აუდიტორი ........ 15
ნაწილი 7.4 აუდიტის ანგარიშები ........ 15
ნაწილი 7.5 გლობალური ფონდის მიერ ჩატარებული აუდიტი ........ 15

ნაწილი 7.6 დაშვების უფლება ........ 15
ნაწილი 7.7 შეტყობინება ........ 15

მუხლი 8 გრანტის მიმღების წარმომადგენლობა ........ 16

ნაწილი 8.1 ქმედუნარიანობა ........ 16
ნაწილი 8.2 აუცილებელი უფლებამოსილება ........ 16
ნაწილი 8.3 ვალდებულებათა აუცილებელი ბუნება ........ 16
ნაწილი 8.4 კანონებთან შესაბამისობა ........ 16
ნაწილი 8.5 პრეტენზიების წარუდგენლობა ........ 16
ნაწილი 8.6 ურთიერთდამატება ........ 16
ნაწილი 8.7 ორმაგი დაფინანსების დაუშვებლობა ........ 17

მუხლი 9 გრანტის მიმღების შეთანხმებები ........ 17

ნაწილი 9.1 უფლებამოსილება ........ 17
ნაწილი 9.2 შეტყობინება არსებითი მოვლენების შესახებ ........ 17
ნაწილი 9.3 ბიზნესის წარმოება ........ 17
ნაწილი 9.4 შესაბამისობა კანონებთან ........ 17
ნაწილი 9.5 ურთიერთდამატება ........ 17
ნაწილი 9.6 შეტყობინება დამატებითი დაფინანსების შესახებ ........ 17
ნაწილი 9.7 პროგრამის მართვა ........ 17

მუხლი 10 ძირითადი მიმღების შეცვლა; შეჩერება; შეწყვეტა; პროგრამის შესრულების პერიოდის ვადის ამოწურვა ........ 18

ნაწილი 10.1 ძირითადი მიმღების შეცვლა ........ 18
ნაწილი 10.2 შეჩერება და შეწყვეტა ........ 18
ნაწილი 10.3 შესრულების პერიოდის ვადის ამოწურვის ან ვადამდელი შეწყვეტის პროცედურები ........ 18
ნაწილი 10.4 პროგრამის აქტივების გადაცემა ........ 19

მუხლი 11 ფულადი საშუალებების დაბრუნება; ვალდებულებათა შეზღუდვა; ზარალის ანაზღაურების გარანტია ........ 19

ნაწილი 11.1 ფულადი საშუალებების დაბრუნების მოთხოვნის უფლება ........ 19
ნაწილი 11.2 გლობალური ფონდის ვალდებულებათა შეზღუდვა ........ 19
ნაწილი 11.3 ზარალის ანაზღაურების გარანტია ........ 20

მუხლი 12 სხვადასხვა ........ 20

ნაწილი 12.1 ნდობით აღჭურვილი პირი ........ 20
ნაწილი 12.2 პრივილეგიები და იმუნიტეტები ........ 20
ნაწილი 12.3 ცვლილებები ან დამატებები ........ 20
ნაწილი 12.4 ინფორმაციის გავრცელება ........ 21
ნაწილი 12.5 უფლებების გამოუყენებლობა ........ 21
ნაწილი 12.6 კანონმემკვიდრეები და უფლებამონაცვლეები ........ 21
ნაწილი 12.7 არბიტრაჟი ........ 21

## მუხლი 1
## მიზანი; გრანტების გამოყენების შესახებ ხელშეკრულებათა გამოყენება

1.1 **მიზანი.** გრანტების შესახებ მარეგულირებელი ნორმების მიზანია შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "გლობალური ფონდი") მიერ გაცემული გრანტების მიღებისა და გამოყენებისთვის გარკვეული პირობების განსაზღვრა.

1.2 **გამოყენება.** გლობალური ფონდის მიერ წარმოდგენილი გრანტისთვის პროგრამასთან დაკავშირებით (რამდენადაც ასეთი პირობა განსაზღვრულია ქვემოთ მოცემულ ნაწილ 2.2-ში), წინამდებარე მარეგულირებელი ნორმები გრანტების შესახებ გამოიყენება შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად (როგორც ეს მოცემულია ნაწილ 2.2-ში) ასეთი გრანტისთვის.

1.3 **შეუსაბამობა გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებასთან.** იმ შემთხვევაში, თუ გრანტის შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება ეწინააღმდეგება წინამდებარე მარეგულირებელ ნორმებს გრანტების შესახებ, უპირატესობა მიენიჭება გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების დებულებას.

## მუხლი 2 განმარტებები;
## ინტერპრეტაცია

2.1 **მოკლე დასახელება.** წინამდებარე მარეგულირებელი ნორმები გრანტების შესახებ - "გლობალური ფონდის გრანტების შესახებ მარეგულირებელი ნორმები (2014)".

2.2 **განმარტებები.** გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონტექსტი სხვაგვარად მოითხოვს, გრანტების შესახებ მარეგულირებელ ნორმებში ან გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**აუდიტის პრინციპები** - ნიშნავს გლობალური ფონდის "გლობალური ფონდის მიერ წარმოდგენილი გრანტის პროგრამის ფინანსური ანგარიშის ყოველწლიური აუდიტის პრინციპები" (2014) (რომელშიც შესაძლოა დროდადრო შევიდეს ცვლილებები), ხელმისაწვდომია გლობალური ფონდის ინტერნეტ საიტზე;

**CCM** - ნიშნავს ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმს მასპინძელ ქვეყანაში (როგორც ეს ქვემოთაა განსაზღვრული), რაც წარმოადგენს ქვეყნის დონეზე საჯარო-კერძო პარტნიორობას და რომლის როლი სხვა ფუნქციებს შორის მოიცავს შემდეგს: (1) კონცეპტუალური პროექტ(ებ)ის კოორდინირება (როგორც ეს ქვემოთაა განსაზღვრული) გლობალურ ფონდთან შესაბამისი პროგრამ(ებ)ისთვის პრიორიტეტულ საჭიროებათა საფუძველზე ეროვნულ დონეზე და (2) პროგრამის საქმიანობის განხორციელების კონტროლი (როგორც ეს ქვემოთაა განსაზღვრული);

**მიმღებთა ქცევის კოდექსი** - ნიშნავს გლობალური ფონდის "გლობალური ფონდის რესურსების მიმღებთა ქცევის კოდექსი" (2012) (რომელშიც შესაძლოა დროდადრო შევიდეს ცვლილებები), ხელმისაწვდომია გლობალური ფონდის ინტერნეტ-საიტზე;

**მომწოდებლების ქცევის კოდექსი** ნიშნავს გლობალური ფონდის "მომწოდებელთა ქცევის კოდექსს" (2009) (რომელშიც შესაძლოა დროდადრო შევიდეს ცვლილებები), ხელმისაწვდომია გლობალური ფონდის ინტერნეტ-საიტზე;

**კონცეფციის პროექტი** ნიშნავს პროგრამისთვის ან პროგრამებისთვის მომზადებულ წერილობით შეთავაზებას გლობალური ფონდის მოტხოვნების შესაბამისად;

**ანაზღაურება** - გრანტის ფინანსური საშუალებების სპეციფიკურ ტრანშთან დაკავშირებით (როგორც ეს ქვემოთაა მოცემული) პროგრამისთვის, ნიშნავს გლობალური ფონდის მოქმედებას ტრანშის თანხის მთლიანად ან ნაწილობრივ გადარიცხვის განსახორციელებლად ძირითადი მიმღების ან მესამე მხარის განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე (რომელიც შესაძლოა შეიცვალოს დროდადრო), შესაბამისი გრანტის მიღების შესახებ ხელშეკრულების თანახმად;

**ჩარჩო ხელშეკრულება** ნიშნავს გლობალურ ფონდსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებულ ჩარჩო ხელშეკრულებას (როგორც ეს ქვემოთაა განსაზღვრული), რომლის ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე მარეგულირებელი ნორმები გრანტის შესახებ და რომლის ფარგლებშიც გრანტის მიმღები და გლობალური ფონდი გააფორმებენ გრანტის

მიღების დამადასტურებელ დოკუმენტებს (როგორც ეს ქვემოთაა განსაზღვრული), პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის;

**სახელმწიფო დაწესებულებები** - მასპინძელ ქვეყანასთან დაკავშირებით, ნიშნავს მასპინძელი ქვეყნის ფილიალს, სამინისტროს, განყოფილებას, დეპარტამენტს, ერთეულსა თუ სააგენტოს, სახელმწიფო დაწესებულებას ნებისმიერ დონეზე, ან ნებისმიერ იურიდიულ პირსა თუ ორგანიზაციას, რომელშიც ასეთი მასპინძელი ქვეყნის მთავრობა ნებისმიერ დონეზე წარმოადგენს აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელს, რომლის ოპერაციებს აკონტროლებს ასეთი მასპინძელი ქვეყნის მთავრობა, ან რომელზედაც მასპინძელი ქვეყნის მთავრობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს;

**გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულება** - პროგრამასთან დაკავშირებით ნიშნავს ჩარჩო ხელშეკრულებას, გრანტების დამადასტურებელ დოკუმენტებს და ნებისმიერ და ყველა დამატებებსა თუ ცვლილებებს ჩარჩო ხელშეკრულებაში და/ან გრანტების დამადასტურებელ დოკუმენტებში;

**გრანტის მიმღები** - ნიშავს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რომელიც გლობალურ ფონდთან გააფორმებს (ხელს მოაწერს) ჩარჩო ხელშეკრულებას;

**გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტი** - ნიშნავს წერილობით დადასტურებას, რომელიც მოიცავს დეტალური შესრულების გეგმას და ბიუჯეტს პროგრამისთვის და მომზადდა, აიცა და სათანადოდ იქნა გაფორმებული გლობალური ფონდისა და გრანტის მიმღების შესაბამისი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ (რომელიც მოქმედებს უშუალოდ ან შესაბამისი ძირიტადი მიმღების მეშვეობით) ჩარჩო ხელშეკრულების პირობების თანახმად;

**გრანტის ფულადი საშუალებები** - ნიშნავს გრანტების დამადასტურებელ დოკუმენტებში მითითებულ ფულად საშუალებებს, რომელთაც გლობალური ფონდი, გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, წარუდგენს გრანტის მიმღებს (ან გრანტის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ გრანტის მიმღების ძირითად მიმღებს) გრანტის ფორმით შესაბამისი პროგრამის განხორციელებისთვის;

**ჰანდაცვის პროდუქტები** - ატარებს იმავე მნიშვნელობას, რომელიც მითითებულია ჯანდაცვის პროდუქტთა ინსტრუქციაში (როგორც ეს ქვემოთაა განსაზღვრული);
**ჯანდაცვის პროდუქტების ინსტრუქცია** - ნიშნავს გლობალური ფონდის "გლობალური ფონდის ჯანდაცვის პროდუქტების შესყიდვისა და მიწოდების პოლიტიკა" (2012) (რომელიც შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს), რაც ხელმისაწვდომია გლობალური ფონდის ინტერნეტ-საიტზე;

**მასპინძელი ქვეყანა** - ნიშნავს ქვეყანას ან ეკონომიკურ ტერიტორიას, რომელშიც ხორციელდება სპეციფიკური პროგრამა;

**შესრულების პერიოდი** - პროგრამასთან მიმართებაში ნიშნავს დროის პერიოდს, რომლის განმავლობაშიც დაგეგმილია შესაბამისი პროგრამის აქტივობების განხორციელება;

**LFA** - პროგრამასთან მიმართებაში ნიშნავს ადგლიობრივი ფონდის აგენტს, რომელიც მოწვეულია გლობალური ფონდისმიერ გლობალური ფონდისთვის კონტროლის, გამოვლენისა და/ან ანგარიშგების მომსახურების პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებით შესაბამის მასპინძელ ქვეყანაში;

**ძირითადი მიღები** - პროგრამასთან მიმართებაში ნიშნავს შესაბამისი CCM, RCM (როგორც ეს ქვემოთაა განსაზღვრული) ან RO (როგორც ეს ქვემოთაა განსაზღვრული) მიერ პროგრამის განსახორციელებლად დანიშნულ იურიდიულ პირს გრანტის წარმოდგენის შესახებ შესაბამისი; ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში თითოეული გაფორმებული გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტისთვის განსაზღვრული ძირითადი მიმღები მიეკუთვნება, წარმოადგენს ნაწილს, არის შვილობილი კომპანია/სუბსიდიარი ან სხვაგვარად ექვემდებარება გრანტის მიმღებს;

**პროგრამა** - ნიშნავს გრანტის ფულადის საშუალებების გამოყენებით დაგეგმილ პროგრამას იმუნოდეფიციტთან/შიდსთან, ტუბერკულოზთან და/ან მალარიასთან ბრძოლის მიზნით, მათ შორის დაკავშირებული ჯანდაცვის სისტემების გასაძლიერებლად მასპინძელ ქვეყანაში ან მასპინძელ ქვეყნებში;

**პროგრამის საქმიანობა/აქტივობები** - პროგრამასთან მიმართებაში ნიშნავს საქმიანობას/აქტივობებს, რაც უშუალოდ უჭერს მხარს ან უკავშირდება პროგრამის განხორციელებას ან სხვაგვარად არის დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი გრანტის ფულადი საშუალებებით;

**პროგრამის აქტივები** - პროგრამასთან მიმართებაში ნიშნავს ერთობლივად ყველა საქონელს ან სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ქონებას, რომლის შეძენა მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება გრანტის ფულადი სახსრების გამოყენებით, მათ შორის და არა მარტო ნებისმიერი აქტივი, რომლის ღირებულება არ არის სრულად ანაზღაურებული ასეთი პროგრამის ფარგლებში;

**პროგრამის წიგნები და ჩანაწერები** - პროგრამასთან მიმართებაში ნიშნავს ნებისმიერ და ყველა პროგრამულ ან საღრიცხვო წიგნს, ჩანაწერებს და სხვა მტკიცებულებებს გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა ადეკვატურად აჩვენებდეს, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, პროგრამისთვის გაწეულ ყველა ხარჯს და პროგრამის ფარგლებში მიღებულ ყველა შემოსავალს, აგრეთვე პროგრამის განხორციელების მიმდინარეობასა და პროგრესს;

**RCM** - ნიშნავს რეგიონული კოორდინირების მექანიზმს, რომელიც წარმოადგენს მრავალი ქვეყნის რეგიონულ დონეზე საჯარო-კერძო პარტნიორობას და რომლის როლი მოიცავს შემდეგ ფუნქციებს: (1) კონცეფციის პროექტ(ებ)ის შემუშავების კოორდინირება გლობალურ ფონდთან შესაბამისი პროგრამ(ებ)ისთვის, პრიორიტეტული საჭიროებების საფუძველზე რეგიონულ დონეზე და (2) პროგრამის საქმიანობის/აქტივობების განხორციელების კონტროლს;

**RO** - ნიშავს რეგიონულ ორგანიზაციას, რომელიც არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელიც არ წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანოს ან მრავალმხრივ თუ ორმხრივ ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია ფართო რეგიონული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა და ჩართულობა მსხვილი რეგიონული მონაწილის სახით, მათ შორის და არა მარტო, შესაბამის პროგრამაში ჩართული ქვეყნების შესაბამისი CCM მხარდაჭერა და რომლის როლი მოიცავს შემდეგ ფუნქციებს: (1) კონცეფციის პროექტ(ებ)ის შემუშავების კოორდინირება გლობალურ ფონდთან შესაბამისი პროგრამ(ებ)ისთვის, პრიორიტეტული საჭიროებების საფუძველზე რეგიონულ დონეზე და (2) პროგრამის საქმიანობის/აქტივობების განხორციელების კონტროლი;

**ქვემიმღები** - პროგრამასთან მიმართებაში ნიშნავს მიმღებს, რომელიც იღებს გრანტის ფულად სახსრებს პირდაპირ ან არაპირდაპირ ძირითადი მიმღებისგან და იღებს ვალდებულებას აწარმოოს პროგრამის გარკვეული საქმიანობა/აქტივობები;

**მომწოდებლები** - ნიშნავს ერთობლივად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ყველა ტენდერში მონაწილეს, მომწოდებლებს, წარმომადგენლებს/აგენტებს, შუამდგომლებს, კონსულტანტებს და კონტრაქტორებს, რომლებიც არ არიან ძირითადი მიმღებ(ებ)ი ან ქვემიმღებ(ებ)ი, არამედ ახორციელებენ საქონლის მიწოდებას და/ან მომსახურების გაწევას პროგრამის ფარგლებში; და

**სამიზნე/ნდობით აღჭურვილი ფონდი** - ნიშნავს გლობალური ფონდის მიერ მსოფლიო ბანკთან ერთად დაფუძნებულ "შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდისთვის წარმოდგენილ სამიზნე/ნდობით აღჭურვილ ფონდს".

2.3 **აკრონიმები.** გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე დოკუმენტში სხვაგვარადაა განსაზღვრული, ნებისმიერ ხელშეკრულებაში გრანტის წარმოდგენის შესახებ გამოყენებული აკრონიმები უნდა ატარებდნენ შესაბამის მნიშვნელობას, როგორც ეს აღწერილია "გლობალური ფონდის ხშირად გამოყენებული ტერმინოლოგიის ჩამონათვალში" (რომელიც შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს), ხელმისაწვდომია გლობალური ფონდის ინტერნეტ-საიტზე.

2.4 **ინტერპრეტაცია.** გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონტექსტში სხვაგვარადაა მოცემული, (1) წინამდებარე გრანტების შესახებ მარეგულირებელ ნორმებში იმ მუხლებსა თუ ნაწილებზე მითითება გულისხმობს წინამდებარე გრანტების შესახებ მარეგულირებელი ნორმების მუხლებსა და ნაწილებს; (2) მუხლებისა და ნაწილების სათაურები და სარჩევი წარმოდგენილია მხოლოდ მოხერხებულობისთვის და არ მოახდენს გავლენას ნებისმიერი ფორმით მოცემული გრანტების შესახებ მარეგულირებელი ნორმების მნიშვნელობასა თუ ინტერპრეტაციაზე; (3) მხოლობითი რიცხვი მოიცავს მრავლობით რიცხვს და პირიქით; და (4) ნებისმიერ სქესზე მითითება გულისხმობს მეორე სქესსაც.



ი. [signature]

## მუხლი 3 გრანტის ფულადი საშუალებები

3.1. **გრანტის ფულადი საშუალებების გამოყენება.** თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს და უნდა დაავალოს ძირითად მიმღებსა და მის ქვემიმღებებს უზრუნველყოს შემდეგი:

(1) შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით გადახდილი გრანტის ფულადი საშუალებები გონივრულად და სათანადოდ უნდა იქნეს მართული და გამოიყენება მხოლოდ შესაბამისი პროგრამის საქმიანობისთვის და შეესაბამება შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების პირობებს; და

(2) გრანტის ფულადი საშუალებებით შესყიდული ყველა საქონელი, მომსახურება და განხორციელებული საქმიანობა/აქტივობა, ქვემიმღებების მიერ შესყიდული საქონლისა და მომსახურების და განხორციელებული საქმიანობის/აქტივობების ჩათვლით, უნდა იქნეს მიმართული მხოლოდ პროგრამის მიზნებისთვის.

3.2. **ფინანსური ვალდებულებები.** თითოეული პროგრამისთვის გამოყოფილი საერთო თანხა, რომელსაც გლობალური ფონდი წარმოადგენს და ხელმისაწვდომს ხდის შესაბამისი გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ყოველწლიურად უნდა იქნეს გადახდილი ტრანშებად გლობალური ფონდის მიერ. თითოეული ასეთი ყოველწლიური ტრანშის ოდენობა უნდა განისაზღვროს გლობალური ფონდის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ; იმის გათვალისწინებით, რომ (1) პირველი ყოველწლიური ტრანში უნდა განისაზღვროს და მიჩნეულ იქნეს გადახდილად შესაბამისი გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტის ხელმოწერისთანავე და (2) წერილობითი შეტყობინება ყოველი მომდევნო წლის ტრანშის შესახებ მისი ოდენობის განსაზღვრისთანავე, უნდა გაეგზავნოს გლობალური ფონდის მიერ გრანტის მიმღებს ან გრანტის მიმღების მხრიდან მოქმედ ძირითად მიმღებს.

3.3. **ანაზღაურება.**

(1) პროგრამის ფარგლებში გლობალური ფონდის მიერ გადახდილი გრანტის ფულადი საშალებების თითოეული ტრანშისთვის ნაწილი 3.2-ის შესაბამისად, გლობალურმა ფონდმა უნდა მოახდინოს შესაბამისი გრანტის ფულადი საშუალებების ანაზღაურება ერთი ან მეტი ფულადი გადახდის გზით, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და პროგრამის შესრულების საჭიროებათა მხედველობაში მიღებით; იმის გათვალისწინებით, რომ მიუხედავად ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისა, რომელიც გლობალურმა ფონდმა განახორციელა ნაწილი 3.2-ის შესაბამისად ან ნებისმიერი წინასწარ განსაზღვრული ანაზღაურების გრაფიკის მიუხედავად, რომელიც შესაძლოა მოცემულ იქნეს გრანტის დამადასტურებელ დოკუმენტში, მოქმედებს შემდეგი პირობები:

(a) გლობალური ფონდის მიერ გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტის თანახმად განხორციელებული ნებისმიერი ანაზღაურება უნდა განისაზღვროს გლობალური ფონდის მიერ მისი შეხედულებისამებრ, გლობალურ ფონდში მისი დონორების მხრიდან შესაბამისი, დაფინანსების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე;

(b) თითოეული ანაზღაურების დრო და თანხა უნდა განისაზღვროს გლობალური ფონდის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და პროგრამის შესრულების საჭიროებათა მხედველობაში მიღებით; და

(c) დაუშვებელია გლობალური ფონდის მიერ გრანტის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული ანაზღაურების განხორციელება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე დოკუმენტში და გრანტის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული ყველა მოთხოვნა შესრულდა ან სხვაგვარად უარყოფილ იქნა გლობალური ფონდის მიერ წერილობით.

(2) თითოეული პროგრამისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გლობალური ფონდის მიერ გრანტის მიმღებისთვის ან გრანტის მიმღების სახელით მოქმედი ძირითადი მიმღებისთვის სხვაგვარადაა განსაზღვრული წერილობით, გლობალურმა ფონდმა არ უნდა მოახდინოს გავლენა ნებისმიერ ანაზღაურებაზე ან სხვაგვარად არ უნდა განახორციელოს ანაზღაურების ავტორიზაცია პროგრამის შესრულების პერიოდის დასრულებისთანავე, როგორც ეს მითითებულია შესაბამისი გრანტის დამადასტურებელ დოკუმენტში.

(3) თითოეული პროგრამისთვის გლობალურ ფონდს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია გააუქმოს საკუთარი ვალდებულება მთლიანად ან ნაწილობრივ შესაბამისი გრანტის ფულად საშუალებებთან მიმართებებში (გლობალური ფონდის მიერ ნაწილი 3.2-ის თანახმად აღებული ვალდებულების თანახმად, რომლის ანაზღაურებაც არგანხორციელდა ძირითადი მიმღების სასარგებლოდ) პროგრამის შესრულების პერიოდის დასრულებისთანავე, რისთვისაც შესაბამისი გრანტის ფულადი საშუალებები იქნა წარმოდგენილი, ან სხვაგვარად მიჩნეულ იქნა მიზანშეწონილად გლობალური ფონდის მიერ პროგრამის შესრულების პერიოდის განმავლობაში.

3.4. გრანტის ფულადი საშუალებების მართვა.

(1) **საბანკო ანგარიში** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს და უნდა დაავალოს ძირითად მიმღებსა და მის ქვემიმღებებს უზრუნველყოს შემდეგი:

(a) შესაბამისი გრანტის ფულადი საშუალებები უნდა განთავსდეს ბანკში, ხოლო ანგარიშის გახსნა და მასზე ოპერაციების წარმოება მთლიანად შეესაბამება ყველა მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო საბანკო სტანდარტს და მარეგულირებელ ნორმებს, მათ შორის და არა მარტო, ძირითადი კაპიტალის საკმარისობის მოთხოვნებს;

(b) ძირითადი მიმღების ან ნებისმიერი ქვემიმღების კუთვნილი, მათ განკარგულებაში არსებულიthe შესაბამისი გრანტის ფულადი საშუალებები უნდა დარჩეს საბანკო ანგარიშზე, რომელსაც დაერიცხება შესაბამის მასპინძელ ქვეყანაში დადგენილი სათანადო კომერციული საპროცენტო განაკვეთი ამ ფულადი საშუალებების პროგრამისთვის დახარჯვამდე;

(c) შესაბამისი გრანტის ფულადი საშუალებები უნდა იქნეს განთავსებული ისე, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყოს მათი სრულად გატანა მოთხოვნისამებრ; და

(d) გრანტის ფულადი საშუალებები არ უნდა შეერიოს სხვა ფულად საშუალებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს წერილობითაა შეთანხმებული გლობალური ფონდის მიერ.

(2) **საპროცენტო სარგებელი** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს და უნდა დაავალოს ძირითად მიმღებსა და მის ქვემიმღებებს უზრუნველყოს, რომ გრანტის ფულად საშუალებებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი უნდა იქნეს აღრიცხული და გლობალურ ფონდს უნდა წარედგინოს შესაბამისი ანგარიშები სამუშაოთა შესრულების შესახებ, როგორც ეს ნაწილ 6.2-ში არის მითითებული. ამგვარად დარიცხული ნებისმიერი საპროცენტო სარგებელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისთვის, გლობალური ფონდის მიერ წერილობითი დადასტურების შემთხვევაში.

(3) **შემოსავლები** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს და უნდა დაავალოს ძირითად მიმღებსა და მის ქვემიმღებებს უზრუნველყოს, რომ ძირითადი მიმღების ან ქვემიმღებების მიერ პროგრამის საქმიანობის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსავალი (მათ შორის და არა მარტო, გრანტის ფულადი საშუალებების გამოყენებით განხორციელებული ე.წ. "სოციალური მარკეტინგის" აქტივობების შედეგად მიღებული შემოსავლები, მომწოდებლების მიერ ფულადი საშუალებების დაბრუნება ან ფასდაკლება და სოციალური უზრუნველყოფის გადახდები ძირითადი მიმღების ან ნებისმიერი ქვემიმღების თანამშრომლებთან დაკავშირებით, რომელთა ხელფასის გადახდა ხდება გრანტის ფულადი საშუალებებიდან) გლობალური ფონდისთვის უნდა აღირიცხოს და წარმოდგენილ იქნეს ნაწილ 6.2-ში მითითებული სამუშაოთა მიმდინარეობის ანგარიშები ან ცალკეული ანგარიშები გლობალური ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმითა და შინაარსით. ნებისმიერი ასეთი შემოსავალი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისთვის, გლობალური ფონდის წინასწარი წერილობითი დადასტურების მიღებისთანავე.

3.5. **გადასახადებისგან გათავისუფლება.**

(1) **ზოგადი პრინციპი** - თითოეული პროგრამისთვის გრანტის ფულადი საშუალებები ხელმისაწვდომია გლობალური ფონდის მიერ შესაბამისი პროგრამის საქმიანობის განხორციელების მიზნებისთვის, ამასთან, გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულება და ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების შესყიდვა და/ან იმპორტი გრანტის ფულადი საშუალებების გამოყენებით უნდა გათავისუფლდეს შესაბამის მასპინძელ ქვეყანაში მოქმედი გადასახადებით დაბეგვრისგან, მათ შორის და არა მარტო: (a) საბაჟო მოსაკრებლები, იმპორტის გადასახადები, გადასახადები და მასპინძელ

ქვეყანაში იმპორტირებული ჯანდაცვის პროდუქტების მიმართ მოქმედი საგადასახადო მოსაკრებლები გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ან ნებისმიერი დაკავშირებული ქვემიმღებისა თუ მომწოდებლის კონტრაქტის თანახმად და (b) საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიმართ მოქმედი დამატებითი ღირებულების გადასახადი გრანტის ფულადი სახსრების გამოყენებით.

(2) **ვალდებულებები -**

(a) გლობალური ფონდის მიერ მასპინძელ ქვეყანასთან სხვაგვარად შეთანხმებული შესრულების ნებისმიერი დეტალური ღონისძიების შესაბამისად, შესაბამის მასპინძელ ქვეყანას მოეთხოვება გრანტის ფულადი საშუალებების გადასახადებისგან გათავისუფლების უზრუნველყოფა მოცემული ნაწილის ქვეპარაგრაფ (1)-ში მოცემული პრინციპის თანახმად. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, მასპინძელი ქვეყნის ვალდებულება ამასთან დაკავშირებით აგრეთვე ვრცელდება ნებისმიერი ძირითადი მიმღების ან ქვემიმღების მიერ ნაწილობრივ ან მთლიანად შესრულებული პროგრამების მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ძირითადი მიმღები ან ქვემიმღები არ წარმოადგენს სახელისუფლებო ორგანოს.

(b) იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები არ არის მარპინძელი ქვეყანა, გრანტის მიმღებმა (რომელიც მოქმედებს პირდაპირ ან ძირითადი მიმღების მეშვეობით პროგრამისთვის) უნდა მიმართოს ყველა შესაძლო ზომას, წინამდებარე ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის წარმოდგენის შესახებ ნებისმიერი ხელშეკრულების მხარდასაჭერად და საქონლისა და მომსახურების შესყიდვისა და/ან იმპორტის განსახორციელებლად გრანტის ფულადი საშუალებების გამოყენებით გადასახადებისგან გათავისუფლებულ რეჟიმში მოცემული ნაწილის ქვეპარაგრაფ (1)-ში მოცემული პრინციპის თანახმად.

(c) თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღების მხრიდან მოქმედი ძირითარი მიმღები რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს გლობალურ ფონდს იმ ფორმით და შინაარსით, რომელსაც მოითხოვს გლობალური ფონდი, გადასახადებისგან გათავისუფლების სტატუსი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.

(3) **გადასახადების დაბრუნება.**

(a) მასპინძელ ქვეყანაში განხორციელებული ნებისმიერი პროგრამისთვის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ძირითადი მიმღები ან ქვემიმღები სახელისუფლებო ორგანო:

(i) გრანტის ფულადი საშუალებებიდან ნებისმიერი ძირითადი მიმღების ან ქვემიმღების მიერ გადასახადების ამოღებისა და გადახდის შემთხვევაში, მასპინძელმა ქვეყანამ უნდა დაუბრუნოს ასეთი გადასახადები გლობალურ ფონდს გლობალური ფონდისთვის მისაღებ ფორმაში; და

(ii) მიუხედავად გლობალური ფონდის მოთხოვნისა, იმ შემთხვევაში, თუ მასპინძელი ქვეყანა ვერ აანაზღაურებს ყველა ასეთ ამოღებულ ან შეგროვებულ გადასახადს, გლობალური ფონდი უფლებამოსილი იქნება: (x) შეაჩეროს შემდგომი ანაზღაურება/გადახდები ასეთ მასპინძელ ქვეყანაში განხორციელებული პროგრამებისთვის იქამდე, ვიდრე არ მოხდება ასეთი გადასახადების დაბრუნება სრულად გლობალური ფონდისთვის მისაღები ფორმით და/ან (y) გამოქვითოს პროგრამისთვის გამოყოფილი ანაზღაურებისთვის/გადახდებისთვის დაწესებული გადასახადების ორმაგი ოდენობა შესაბამის მასპინძელ ქვეყანაში. (b) ნებისმიერი პროგრამისთვის, რომელთან დაკავშირებით გრანტის მიმღები არის ნებისმიერი იურიდიული პირი, გარდა მასპინძელი ქვეყნისა,

(i) მიუხედავად მასპინძელ ქვეყანაში პროგრამის გადასახადებისგან გათავისუფლებისა, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გადასახადების ამოღება და გადახდა გრანტის ფულადი საშუალებებიდან ასეთი გრანტის მიმღებისგან ნებისმიერი ძირითადი მიმღების ან ქვემიმღების მიერ, გრანტის მიმღები ვალდებულია და პასუხს აგებს დროულად ამოიღოს ფულადი საშუალებები შესაბამისი საგადასახადო უფლებამოსილი ორგანოებისგან მასპინძელ ქვეყანაში
და დაუბრუნოს ასეთი გადასახადების ოდენობა გლობალურ ფონდს გლობალური ფონდისთვის მისაღები ფორმით; და

(ii) მიუხედავად გლობალური ფონდის მოთხოვნისა, იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები ვერ ამოიღებს ასეთ ამოღებულ ან გადახდილ

გადასახადებს სრულად, გლობალური ფონდი უფლებამოსილი იქნება შეწყვიტოს გრანტის მიღების შესახებ ხელშეკრულება, ხოლო ასეთი შეწყვეტა არ უნდა ახდენდეს გავლენას შესაბამისი გრანტის მიმღების ვალდებულებაზე გლობალური ფონდისთვის შესაბამისი გადასახადების ოდენობის დაბრუნებისთვის.

3.6. **ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა.**

(1) **ზოგადი პრინციპი** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა მიმართოს ყველა შესაძლო გონივრულ ზომას, რათა უზრუნველყოს ან აიძულოს ძირითად მიმღებს და თითოეულ შესაბამის ქვემიმღებს უზრუნველყონ, რომ გრანტის ფულადი საშალებები არ გამოიყენება ძირითადი მიმღების ან მისი რომელიმე ქვემიმღების მიერ ძალადობის მხარდაჭერისა და რეკლამირებისთვის, ტერორისტების ან ტერორისტული საქმიანობის მხარდასაჭერად, ფულის გათეთრების საქმიანობის წარმოებისთვის ან ორგანიზაციების თუ ინდივიდების დაფინანსებისთვის, რომლებიც როგორც ცნობილია მხარს უჭერენ ტერორიზმს ან ჩართულნი არიან ფულის გათეთრების საქმიანობაში.

(2) **მოთხოვნები** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღები აღიარებს და თანახმაა, ასევე აიძულებს ძირითად მიმღებს და მის თითოეულ ქვემომღებს აღიაროს და დათანხმდეს, რომ გლობალური ფონდის ვალდებულებების შესაბამისად აწარმოოს ფულის გათეთრების საქმიანობისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია:

(a) ნებისმიერი ტრანზაქცია გრანტის საშუალებების გადარიცხვის, ანაზღაურების/გადახდის ან გაცვლის მიზნით (საბანკო გადარიცხვებისა და ვალუტის გაცვლის ჩათვლით) უნდა განხორციელდეს ძირითადი მიმღების ან გარკვეულ შემთხვევებში შესაბამისი ქვემიმღების საბანკო ანგარიშზე, რომელზეც ხდება გრანტის ფულადი საშუალებების გადახდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გლობალური ფონდის მიერ წერილობით სხვაგვარადაა ავტორიზებული შესაბამისი ტრანზაქციის განხორციელებამდე;

(b) გრანტის ფულადი საშუალებების ყველა ტრანზაქციის ჩართვა, რაც ხორციელდება საბანკო გადარიცხვით ან ვალუტის გაცვლით, უნდა იქნეს სათანადოდ დაფიქსირებული შესაბამისი აუდიტის მოთხოვნების მიხედვით;

(c) გრანტის ფულადი საშუალებების ყველა ვალუტის გაცვლა უნდა განხორციელდეს არსებული და მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ვალუტის გასვლის ოპერაციები, რომლებიც არ განხორციელდება ასეთი არსებული და მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ, არ მიიჩნევა განხორციელებულად პროგრამის მიზნებისთვის; და

(d) გრანტის ფულადი საშუალებების ნებისმიერი გადარიცხვა, ანაზღაურება, გადახდა ან გაცვლა, ნებისმიერი საშუალებებით, (i) მესამე მხარეების მიმართ, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული პროგრამის შესრულებასთან და შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესხებ ხელშეკრულებასთან ან (ii) ნებისმიერი საქმიანობისთვის, რაც არ წარმოადგენს პროგრამის საქმიანობას, მკაცრადაა აკრძალული.

(3) **სამართლებრივი დაცვის საშუალებები და პასუხისმგებლობა** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღები აღიარებს და თანახმაა, ასევე აიძულებს ძირითად მიმღებს და მის თითოეულ ქვემომღებს აღიაროს და დათანხმდეს, რომ გლობალურს ფონდს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი უფლება შეწყვიტოს შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულება ან დააწესოს გარკვეული შეზღუდვები შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების მიმართ ძირითადი მიმღების მიერ ან ნებისმიერი ქვემიმღებების მიერ ნებისმიერი ტრანზაქციის განხორციელებისთანავე გრანტის ფულადი საშუალებების ჩართვით არ არღვევს წინამდებარე მუხლის დებულებებს, ხოლო გრანტის მიმღები ატარებს ერთპირენულ და საბოლოო პასუხისმგებლობას, ფინანსურსა თუ სხვას, ნებისმიერი ზარალისა და დანაკარგებისთვის, რაც გამომდინარეობს ზემოთ მითითებული ტრანზაქციებიდან და უნდა აუნაზღაუროს გლობალურ ფონდს შესაბამისად დამდგარი ზარალისა და დანაკარგების ოდენობა.

## მუხლი 4

## პროგრამის განხორციელებაში ჩართული იურიდიული პირები

თითოეული პროგრამისთვის, პროგრამის საქმიანობის განხორციელებაში ჩართული იურიდიული პირები მოიცავს შემდეგს:

4.1 CCM; RCM; RO.

(1) გრანტის მიღები აღიარებს და აიძულებს ძირითად მიმღებს აღიაროს, რომ თითოეული პროგრამისთვის CCM შესაბამის მასპინძელ ქვეყანაში ან იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა წარმოდგენს რეგიონულ ინტერვენციას, შესაბამისი RCM ან RO კოორდინაციას გაუწევს შესაბამისი კონცეფციის პროექტ(ებ)ის წარდგენას გლობალური ფონდისთვის (და გააკონტროლოს პროგრამის საქმიანობის შესრულება შესაბამის მასპინძელ ქვეყანასა თუ რეგიონში.

(2) თითოეული პროგრამის შესრულებისას, გრანტის მიმღებმა უნდა მიმართოს ყველა სათანადო და აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ უზრუნველყოს პროგრამის მიღების მიერ შემდეგი მოქმედებების განხორციელება:

(a) ითანამშრომლოს გლობალურ ფონდთან და CCM ან გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამის RCM ან RO;

(b) რეგულარულად შეხვდეს CCM ან გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამის RCM ან RO გეგმების განსახილველად, ინფორმაციის გაზიარებისა და კომუნიკაციის საკითხებზე პროგრამასთან მიმართებაში;

(c) წარუდგინოს CCM ან გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამის RCM ან RO ანგარიშებისა და პროგრამასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მასალების ასლები ინფორმაციული მიზნებისთვის; და

(d) აღიაროს და აცნობიერებდეს გლობალური ფონდის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ ინფორმაციის გაზიარების ესაძლებლობას პროგრამასთან დაკავშირებით CCM ი ან გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამის RCM ან RO და/ან სხვა შესაბამისი პროგრამის მონაწილეებთან.

4.2 **ძირითადი მიმღები.** თითოეული პროგრამისთვის, CCM, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში RCM ან RO დასახელებულმა ძირითადმა მიმღებმა შესაბამის მასპინძელ ქვეყანაში, შესაბამის რეგიონში უნდა იმოქმედოს გრანტის მიმღების მხრიდან და მისი სახელით პროგრამის განხორციელებისას გრანტის მიმღების ვალდებულებების განხორციელებით შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად; იმის გათვალისწინებით, რომ:
(1) შესაბამისი ძირითადი მიმღები უნდა იქნეს მითითებული შესაბამისი გრანტის მიღების დამადასტურებელ დოკუმენტში, და
(2) გრანტის მიმღები ერთობლივად და ცალ-ცალკე უნდა აგებდეს პასუხს შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, მიუხედავად მის მიერ ასეთი ძირიტად მიმღების დანიშვნისა.

4.3 **ქვემიმღებები.** თითოეული პროგრამისთვის, ძირითადმა მიმღებმა გრანტის მიმღების მხრიდან და მისი სახელით უნდა წარუდგინოს გრანტის ფულადი საშუალებები ერთ ან მეტ ქვემიმღებს პროგრამის საქმიანობის წარმოდებისთვის; იმის გათვალისწინებით, რომ გრანტის მიმღები მიიღებს ყველა სათანადო და აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიმღების მიერ შემდეგი მოქმედებების განხორციელება:

(1) შეაფასოს თითოეული ქვემიღების მიერ პროგრამის საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის და არა მარტო, თითოეული ქვემიმღების უნარი და შიდა კონტროლის მექანიზმი ადეკვატურად მართოს გრანტის ფულადი საშუალებები მოთხოვნისამებრ; წარუდგინოს გლობალურ ფონდს ასეთი შეფასებები მოთხოვნისამებრ; შეარჩიოს თითოეული ქვემიმღები გამჭვირვალე და კარგად დოკუმენტირებულ რეჟიმში;

(2) გააფორმოს წერილობითი ხელშეკრულება თითოეულ ქვემიმღებთან შესაბამისი ქვემიმღების ვალდებულებათა დაწესებით ძირითადი მიმღებისთვის შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, მათ შორის და არა მარტო, ნაწილებში 3.1, 3.6, 5.1, 5.2 და 6.6 წარმოდგენილი ვალდებულებები, აგრეთვე, შეადგინოს თითოეული ასეთ ქვემიმღებთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი და მიაწოდოს გლობალურ ფონდს მოთხოვნისამებრ;

(3) შექმნას და დაიცვას ქვემიმღებების პროგრამული და ფინანსური შესრულების მონიტორინგის სისტემა და უზრუნველყოს რეგულარული ანგარიშგება შესაბამისი გრანტის წარმოდგენის ხელშეკრულების პირობების თანახმად; და

(4) იმ შემთხვევაში, თუ ქვემიმღებების რაიმე მოქმედება ან უმოქმედობა გლობალური ფონდის მიერ მიჩნეულია შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების დარღვევად, ის სრულად აგებს პასუხს ყველა მოქმედებისა თუ უმოქმედობისთვის, თუ ასეთი მოქმედებები და უმოქმედობა გამოწვეულია ძირითად მიღების ბრალეულობით, მათ შორის და არა მარტო,

პროგრამული შესრულება და ანგარიშგება გრანტის ფულადი სამუალებების გამოყენებისთვის.

4.4 LFA.

(1) **LFA დანიშნა** - თითოეული პროგრამისთვის, გლობალური ფონდი უფლებამოსილია დანიშოს LFA გარკვეული ფუნქციების შესრულების მიზნით გლობალური ფონდის მხრიდან და მისი სახელით, მათ შორის და არა მარტო:

(a) ძირითადი მიმღების და ქვემიმღებების შესაძლებლობების შეფასება შესაბამისი პროგრამის საქმიანობის განსახორციელებლად და გრანტის ფულადი სამუალებების სამართავად; და

(b) ძირითადი მიმღების მიერ პროგრესის დადგენა პროგრამის მიზნებისთვის, გრანტის ფულადი საშუალებების გამოყენება და შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების პირობების დაცვა.

(2) **თანამშრომლობა** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიღების, ყველა ქვემიმღებების და მომწოდებლების მიერ LFA თანამშრომლობა იმისათვის, რომ საშუალება მისცეს LFA შეასრულოს საკუთარი ფუნქციები. ამ მიზნით, გრანტის მიღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიღების მიერ შემდეგი მოქმედებების განხორციელება:

(a) წარუდგინოს გლობალურ ფონდს ყველა ანგარიში, ანაზღაურების მოთხოვნა და სხვა კომუნიკაცია, რაც აუცილებელია შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომელთა ასლებს გაუგზავნის LFA გლობალური ფონდის მოთხოვნისამებრ;

(b) წარუდგინოს ყველა აუდიტის ანგარიშის ასლი LFA;

(c) მხარი დაუჭიროს კომუნიკაციას ნაწილ 7.3-ში მითითებულ აუდიტორსა და LFA შორის, მათ შორის და არა მარტო LFA ჩართვა აუდიტის განხორციელებასა და ფინალურ შეხვედრებში;

(d) ნება დართოს LFA განახორციელოს სპეციალური ადგილის ვიზიტები სამუშაო საათების განმავლობაში გონივრულ ვადაში LFA წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით;

(e) ნება დართოს LFA განიხილოს პროგრამის წიგნები და ჩანაწერები სამუშაო საათების განმავლობაში LFA წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით;

(f) ნება დართოს LFA გამოკითხოს მისი პერსონალი და ქვემიმღებების პერსონალი სამუშაო საათების განმავლობაში LFA წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით;

(g) ითანამშრომლოს LFA დამატებითი ტრენინგების იდენტიფიცირების და შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, რაც შესაძლოა აუცილებელი გახდეს ძირითადი მიმღებისა და ქვემიმღებებისთვის პროგრამის განხორციელებისას; და

(h) ითანამშრომლოს LFA სხვაგვარად, როგორც ამას მოითხოვს გლობალური ფონდი.

4.5 **დამატებითი ძირითადი მიღებები.** გრანტის მიმღები აღიარებს, რომ გლობალურ ფონდს შეუძლია დროდადრო გამოყოს გრანტები სხვა იურიდიული პირებისთვის სხვა პროგრამების განსახორციელებლად იმავე მასპინძელ ქვეყანაში ან რეგიონში. გრანტის მიმღები ითანამშრომლებს და მიიღებს ყველა სათანადო და აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ აიძულოს ძირითად მიმღებ(ებ)ს ითანამშრომლონ ასეთ პირებთან გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ყველა პროგრამის სარგებლის რეალიზაციისთვის შესაბამის მასპინძელ ქვეყანაში ან რეგიონში.

## მუხლი 5
## შესყიდვისა და მიწოდების მართვა

5.1 **ხელშეკრულებები საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე.**

(1) **შესყიდვების საქმიანობა** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიმღების მიერ გლობალური ფონდისთვის ინფორმაციის მიწოდება უწყვეტ რეჟიმში პოლიტიკისა და პრაქტიკების შესახებ, რომელთაც ძირითადი მიმღები იყენებს ხელშეკრულების გასაფორმებლად საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად. სულ მცირე, პოლიტიკა და

პროცედურები, რომლებიც მართავს შესყიდვებს შესაბამისი პროგრამის ფარგლებში, უნდა შეესაბამებოდეს (a)-(h) ჩამონათვალში მითითებულ მოთხოვნებს, ხოლო ჯანდაცვის პროდუქტების შესყიდვების შემთხვევაში, ნაწილ 5.2 -ში მითითებულ მოთხოვნებს. გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს და უნდა აიძულოს ძირითად მიმღებს ასეთი პოლიტიკისა და პროცედურების შესრულება ნებისმიერ დროს.

(a) კონტრაქტები უნდა გაფორმდეს გამჭვირვალე რეჟიმში და უნდა იქნეს გათვალისწინებული მხოლოდ გლობალური ფონდის მიერ დადგენილი გამონაკლისები შესყიდვების წერილობითი პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაბამისად, კონკურენციის საფუძველზე on;

(b) ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მოწვევა უნდა გაეგზავნოს ტენდერში ყველა შესაბამის მონაწილეს, დროის საკმარისი პერიოდის წარმოდგენით ასეთ მოწვევაზე რეაგირების მიზნით;

(c) მოწვევა საქონლისა და მომსახურებისთვის უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რაც აუცილებელია ტენდერში მონაწილეებისთვის სატენდერო წინადადების მოსამზადებლად, უნდა ემყარებოდეს ხელშეკრულების პირობებისა და დებულებების და საქონლისა და მომსახურების აღწერილობას;

(d) ტენდერში მონაწილეობის პირობები უნდა იქნეს შეზღუდული მონაწილის უნარით განახორციელოს განსახილველი კონტრაქტი შეესაბამებოდეს მასპინძელი ქვეყნის შესაბამისი შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნებს;

(e) კონტრაქტები უნდა გაფორმდეს მხოლოდ იმ კონტრაქტორებთან, რომლებსაც შეუძლიათ კონტრაქტების წარმატებით შესრულება;

(f) დაუშვებელია გონივრული ფასის გარდა სხვა თანხების გადახდა საქონლისა და მომსახურების ანაზღაურებისთვის (როგორც ეს განსაზღვრულია, მაგ., ფასთან ქვოტირების და საბაზრო ფასების შედარებით);

(g) ძირითადმა მიმღებმა და მისმა წარმომადგენლებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა და არ უნდა ჩაერთონ ნებისმიერი პრაქტიკაში, რაც დაარღვევს მიღებთათვის და მომწოდებლებისთვის განსაზღვრულ ქცევის კოდექსებს ასეთ შესყიდვებთან დაკავშირებით; and

(h) ძირითადმა მიმღებმა დოკუმენტების სახით უნდა დააფიქსიროს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილი მოსაწვევის დეტალები საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისთვის გრანტის ფულადი სახსრების გამოყენებით, რაც წარმოადგენს შესაბამისი კონტრაქტების და შეკვეთების გაფორმების და შესყიდული საქონლისა და მომსახურების მიღების საფუძველს.

(2) **მიწოდების ქსელი** - გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიღების მიერ ყველა ძალისხმევის გაწევა გრანტის ფულადი საშუალებებით შესყიდული ყველა პროდუქტის მიწოდების ქსელთან დაკავშირებით, გლობალური ფონდის მიერ დამტკიცებული შესაბამისი შესყიდვებისა და მიწოდების მართვის ღონისძიებათა თანახმად.

(3) **ქვემიღებების შესაბამისობა** - იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი ქვემიმღები განახორციელებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვას შესაბამისი პროგრამის ფარგლებში, გრანტის მიმღებმა (რომელიც მოქმედებს პირდაპირ ან ძირითადი მიღების მეშვეობით) უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ქვემიმღებების მიერ წინამდებარე მუხლის მოთხოვნებთან.

5.2 **ფარმაცევტული და სხვა ჯანდაცვის პროდუქტები.**

(1) თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა აიძულოს ძირითად მიმღებს და თითოეულ ქვემიმღებს უზრუნველყოს ყველა ჯანდაცვის პროდუქტის დაფინანსება გრანტის ფულადი საშუალებებით და შესყიდვა წინამდებარე მუხლის შესაბამისად და ჯანდაცვის პროდუქტების ინსტრუქციის გაფორმებული კონტრაქტების მეშვეობით. ჯანდაცვის პროდუქტების ინსტრუქციის ყველა დებულება მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში სრული იურიდიული ძალით.

(2) თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღები აღიარებს და თანხმდება, აგრეთვე აიძულებს ძირითად მიმღებს აღიაროს და დათანხმდეს, გლობალური ფონდისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი სხვა სამართლებრივი დაცვის ინსტრუმენტის უგულვებელყოფის გარეშე შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ან კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ გლობალური ფონდი საკუთარი შეხედულებისამებრ დაადგენს, რომ

ძირითადმა მიმღებმა ან ქვემიმღებებმა არ შეასრულეს შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულება, ჯანდაცვის პროდუქტების ინსტრუქცია, გლობალური ფონდის მიერ დამტკიცებული შესყიდვებისა და მიწოდების მართვის ღონისძიებები (მათ შორის და არა მარტო, ჯანდაცვის პროდუქტების ჩამონათვალი, მათი რაოდენობისა და ღრებულების მითითებით), ან ჯანდაცვის პროდუქტების ინსტრუქციაში ჩართული ნებისმიერი სხვა დოკუმენტები, გლობალურ ფონდს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ, მოითხოვოს ან განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

(a) მოსთხოვოს გრანტის მიმღებს ან გრანტის მიღების მხრიდან მოქმედ ძირითად მიმღებს დაუყოვნებლივ დაუბრუნოს გლობალურ ფონდს მიღებული ფულადი საშუალებები ნაწილი 11.1-ის შესაბამისად, კონტრაქტების თანახმად გადახდილი თანხები მთლიანად ან ნაწილობრივ შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, ჯანდაცვის პროდუქტების ინსტრუქციის დებულებები, გლობალური ფონდის მიერ დამტკიცებული შესყიდვებისა და მიწოდების მართვის ღონისძიებები (მათ შორის და არა მარტო, ჯანდაცვის პროდუქტების ჩამონათვალი, მათი რაოდენობისა და ღრებულების მითითებით), ან ჯანდაცვის პროდუქტების ინსტრუქციაში ჩართული ნებისმიერი სხვა დოკუმენტები;

(b) მოსთხოვოს ძირითად მიღებს და მის ქვემიმღებებს აუცილებელი ჯანდაცვის პროდუქტების მიწოდება შესყიდვების წარმომადგენლისგან ან სხვა მომწოდებლისგან, რომელიც მისაღები იქნება გლობალური ფონდისთვის, იმ პერიოდისთვის, რომელსაც სათანადოდ და მიზანშეწონილად მიიჩნევს გლობალური ფონდი; და

(c) უზრუნველყოს და განახორციელოს შესაბამისი გრანტის ფულადი საშუალებების პირდაპირი ანაზღაურება შესყიდვების წარმომადგენლებისა თუ გლობალური ფონდისთვის მისაღები სხვა მომწოდებლისთვის.

## მუხლი 6
## შესრულება

6.1 **საერთო დებულებები.**

(1) თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელება გრანტის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული დეტალების შესაბამისად.

(2) **ადამიანის უფლებების პატივისცემა -**

(a) გრანტის მიმღები აღიარებს, რომ გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ყველა პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ პირობებს:

(i) მიანიჭოს არადისკრიმინაციული დაშვება მომსახურებასთან ყველასთვის, მათ შორის პატიმრობაში მყოფი პირებისთვის;

(ii) მიმართოს მხოლოდ მეცნიერულად გამართლებულ და დამტკიცებულ სამედიცინო პრეპარატებს ან განახორციელოს ასეთი სამედიცინო პრაქტიკა;

(iii) არ გამოიყენოს მეთოდები, რომლებიც გულისხმობს წამებას ან არის სასტიკი, არაჰუმანური ან დეგრადირებადი;

(iv) პატივი სცეს და დაიცვას ინფორმირებული თანხმობა, კონფიდენციალობა და პრივატულობის უფლება სამედიცინო შემოწმებასთან, მკურნალობასა თუ ჯანდაცვის მომსახურებასთან მიმართებაში; და

(v) მოერიდოს სამედიცინო დაკავებას და არანებაყოფლობით იზოლირებას, რაც მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილი შესაბამისი ინსტრუქციის თანახმად უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს და უნდა მოითხოვოს თითოეული ძირითადი მიმღებისგან ზემოთ მითითებული სტანდარტების დაცვა და სათანადოდ ასახვა ძირითადი მიმღების ხელშეკრულებაში ან შეატყობინოს წერილობით თითოეულ ქვემიმღებსა და მომწოდებელს ამის შესახებ.

(b) თითოეული პროგრამის განხორციელებისას, გრანტის მიმღებმა უნდა მიმართოს ყველა აუცილებელ ზომას და უზრუნველყოს, რომ

თითოეულმა ძირითადმა მიმღებმა დროულად შეატყობინოს გლობალურ ფონდს მოცემული ნაწილის ქვეპარაგრაფ (2)(a)-ში მითითებული სტანდარტების ნებისმიერი სახით ფაქტობრივი და პოტენციური დარღვევის შესახებ. გლობალური ფონდის მოთხოვნის შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა და/ან შესაბამისმა ძირითადმა მიმღებმა უნდა ითანამშრომლონ გლობალურ ფონდთან და მის წარმომადგენლებთან გამოვლენილი დარღვევების შესახებ ფაქტების დადასტურების მიზნით.

(c) იმ შემთხვევაში, თუ გლობალური ფონდი, მიღებული ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს, რომ პროგრამა არ შეესაბამება მოცემული ნაწილის ქვეპარაგრაფ (2)(a)-ში მითითებულ სტანდარტებს, მან შესაძლოა მოსთოხოვს გრანტის მიმღებს და/ან შესაბამის ძირითად მიმღებებს სამუშაო გეგმის შედგენა, რომელსაც დაამტკიცებს გლობალური ფონდი ასეთი შეუსაბამონის აღმოფხვრის მიზნით. გლობალურ ფონდს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებ დამატებით გადაწყვიტოს გრანტის ფულადი საშუალებების შეზღუდვა პროგრამის შეუსაბამო საქმიანობის დაფინანსებისთვის.

6.2 **ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.**

(1) **პერიოდული და სპეციალური ანგარიშები** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს შემდეგი:

(a) ძირითადმა მიმღებმა, გრანტის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული თითოეული ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომ არაუგვიანეს 45 დღის განმავლობაში, უნდა წარმოადგინოს ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ პროგრამის მიზნების მისაღწევად, როგორც ეს განსაზღვრულია გრანტის დამადასტურებელ დოკუმენტში შესაბამისი ანგარიშგების პერიოდისთვის. ძირითადმა მიმღებმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ანგარიში ქვეყნის შდა ფულადი საშუალებების ბალანსის თაობაზე;

(b) ძირითადმა მიმღებმა უნდა წარმოადგინოს პერიოდული ანგარიშები გლობალური ფონდის მიერ მოთხოვნილი ფორმით და მოიცავდეს გლობალური ფონდისთვის საკმარის არსს. განსახილველი ანგარიშგების პერიოდისთვის ძირითადმა მიმღებმა უნდა ახსნას ანგარიშში ნებისმიერი ცვლილება დაგეგმილ და ფაქტობრივ მიღწევებს შორის და დაგეგმილ და ფაქტობრივ ხარჯებს შორის; და

(c) ძირითადმა მიმღებმა უნდა წარუდგინოს გლობალურ ფონდს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია და სპეციალური ანგარიშები გლობალური ფონდის მოთხოვნისამებრ დროდადრო, წერილობითი ფორმით. ძირითადმა მიმღებმა უნდა მიაწოდოს CCM ან გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამის RCM და RO ყველა ანგარიშის ასლები, რომელთაც ძირითადი მიმღები წარუდგენს გლობალურ ფონდს მოცემული მუხლის შესაბამისად.

(2) **ანგარიშების გამოყენება** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღები აღიარებს და თანხმდება, აგრეთვე აიძულებს ძირითად მიმღებს აღიაროს და დათანხმდეს შემდეგზე:

(a) გლობალურ ფონდს შეუძლია წარუდგინოს საჯარო საზოგადოებას მთლიანად ან ნაწილობრივ ანგარიშები, დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილ იქნა ძირითადი მიმღების მიერ გლობალური ფონდისთვის ან LFA შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად; და

(b) გლობალურ ფონდს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს, მოახდინოს რეპროდუცირება, შეცვალოს და/ან განახორციელოს ასეთ ანგარიშებში ნებისმიერი მიზეზით მოცემული ინფორმაციისა და სხვა მონაცემების ადაპტირება.

6.3 **მონიტორინგი და შეფასება.**

(1) **საერთო დებულებები** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღები მიიღებს ყველა სათანადო და აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიმღების მიერ პროგრამის ფარგლებში სამუშაოთა განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წარმოება პროგრამის მიზნების მისაღწევად, ქვემიმღებების მიერ განხორციელებული მოქმედებების ჩათვლით, გლობალურ ფონდთან შეთანხმებული მონიტორინგისა და შეფასების გეგმის თანახმად. გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა და უზრუნველყოს ძირითადი მიმღების მიერ ხარისხის შესახებ მონაცემების

მიღება სამუშაოთა შესრულებასთან დაკავშირებით და პროგრამის შედეგების ამსახველი ზუსტი ანგარიშების მიღება.

(2) **შეფასება გლობალური ფონდის მიერ** - თითოეული პროგრამისთვის, გლობალურმა ფონდმა საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა შეასრულოს ან მოახდინოს პროგრამის შეფასების ავტორიზაცია პროგრამის სპეციფიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, პროგრამის სტრუქტურების ან საკთხების განხორციელებასთან მიმართებაში. შეფასების გრაფიკი და შესრულების პირობები უნდა შედგეს გლობალური ფონდის შეხედულებისამებრ. გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითად მიმღების და ყველა ქვემიმღების მიერ ასეთი შეფასების მხარდაჭერა. გლობალური ფონდის მიერ ან უფლების გამოყენება არ ათავისუფლებს ძირითად მიმღებს საკუთარი ვალდებულებებისგან მოცემული ნაწილის ქვეპარაგრაფი (1)-ის შესაბამისად პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად.

6.4 **დაზღვევა; ვალდებულებები ზარალის, ქურდობის ან ზიანის შემთხვევაში.**

(1) **დაზღვევა** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა და უზრუნველყოს ძირითადი მიმღების მიერ გონივრული ხარჯებისა და საკუთრების რისკების დაზღვევა პროგრამის აქტივებთან მიმართებაში და საკუთარ თავზე აიღოს კომპლექსური საერთო ვალდებულებები დაზღვევასთან დაკავშირებით ფინანსურად სოლიდური რეპუტაციის მქონე სადაზღვევო კომპანიებთან. სადაზღვევო პაკეტი უნდა შეესაბამებოდეს მსგავს საქმიანობაში ჩართული იურიდიული პირებისთვის წარმოდგენილ დაზღვევას. იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი პროგრამის აქტივები ეკუთვნის ქვემიმღებს, გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა და უზრუნველყოს ძირითადი მიმღების მიერ ზემოთ მითითებული სადაზღვევო პაკეტის მოთხოვნა ქვემიმღებებისგან.

(2) **ვალდებულებები ზარალის, ქურდობის ან ზიანის შემთხვევაში** -

(a) გრანტის მიმღები იღებს ვალდებულებას ნებისმიერი პროგრამის აქტივებისთვის მიყენებული ზიანის, ქურდობის ან ზარალისთვის (ქვემიმღებების მფლობელობაში არსებული აქტივების ჩათვლით), და დაუყოვნებლივ, ნებისმიერი ასეთი ზარალის, ქურდობის ან ზიანის დადგომის შემთხვევაში, ჩაანაცვლებს ასეთ ნივთებს იმავე ოდენობის და ხარისხის მსგავსი აქტივებით საკუთარი ხარჯებით.

(b) ამას გარდა, გრანტის მიმღები ვალდებულია და პასუხს აგებს ძირითადი მიმღების ან ნებისმიერი წარმომადგენლების თუ ქვემიმღებების მფლობელობაში არსებული ნაღდი ფულის სახით წარმოდგენილი გრანტის ფულადი საშუალებების ზარალისა თუ ქურდობის შემთხვევაში.

6.5 **გლობალური ფონდის ლოგოებისა და სავაჭრო ნიშნების გამოყენება.** გრანტის მიმღებმა არ უნდა დაუშვას და უნდა მიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიმღების და ყველა ქვემიმღებების მიერ არ დაუშვან გლობალური ფონდის სახელის, ლოგოს ან სავაჭრო ნიშნების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გამოყენება სათანადოდ პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ლიცენზირებული გლობალური ფონდის მიერ.

6.6 **კორუფციასთან ბრძოლა.**

(1) **ქცევის კოდექსი მიმღებთათვის** - თითოეული პროგრამისთვის გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიმღების მიერ მიმღებთათვის განსაზღვრული ქცევის კოდექსის დაცვა, რომლის ყველა დებულება უნდა იქნეს მოცემული/ნაგულისხმევი წინამდებარე დოკუმენტში სრული იურიდიული ძალით. გრანტის მიმღებმა აგრეთვე უნდა მიმართოს ყველა სათანადო და აუცილებელ ზომას მიმღებთათვის განსაზღვრული ქცევის კოდექსის წარმოდგენის უზრუნველსაყოფად ქვემიმღებებისთვის, მიმღებთათვის განსაზღვრული ქცევის კოდექსზე მიმართვის ჩათვლით თითოეული ქვემიმღების ხელშეკრულებაში, რომელსაც გააფორმებს ძირითადი მიმღები.

(2) **ქცევის კოდექსი მომწოდებლებისთვის** - თითოეული პროგრამისთვის გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიმღების მიერ მომწოდებლებისთვის განსაზღვრული ქცევის კოდექსის დაცვა, რომლის ყველა დებულება უნდა იქნეს მოცემული/ნაგულისხმევი წინამდებარე დოკუმენტში სრული იურიდიული ძალით. გრანტის მიმღებმა აგრეთვე უნდა მიმართოს ყველა

სათანადო და აუცილებელ ზომას მომწოდებლებისთვის განსაზღვრული ქცევის კოდექსის წარმოდგენის უზრუნველსაყოფად ყველა მომწოდებლისთვის. გრანტის მიმღები აღიარებს და ტანახმაა, აგრეთვე აიძულებს ძირითად მიმღებს აღიაროს და დათანხმდეს, რომ მომწოდებლებისთვის განსაზღვრული ქცევის კოდექსის შეუსრულებლობის შემთხვევაში, განისაზღვროს გლობალური ფონდის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ, გლობალური ფონდის უფლებამოსილი იქნება (a) შეზღუდოს შესაბამისი გრანტის ფულადი საშუალებების გამოყენება ისე, რომ არ დააფინანსოს ხელშეკრულება ძირითად მიმღებს (ან გარკვეულ შემთხვევებში, ქვემიმღებს) და განსახილველ მომწოდებელს შორის, ან (b) მოითხოვოს გრანტის მიმღებისგან ფულადი საშუალებების დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუ გადახდა უკვე განხორციელდა განსახილველი მომწოდებლის მიმართ.

(3) ***ქცევის სტანდარტების შესრულების იძულება*** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიმღების და ყველა ქვემიმღებების მიერ ქცევის სტანდარტების დაცვა და შესრულება ძირითადი მიმღების ან მისი ქვემიმღებების შვილობრილი პირების (მათ შორის და არა მარტო დირექტორების, წარმომადგენლებისა და თანამშრომლების) შესრულების სამართავად, რომლებიც ჩართულნი არიან გრანტების გამოყოფის, კონტრაქტების გაფორმებასა და მართვაში, ან სხვა სარგებლის განკარგვის თვალსაზრისით გრანტის ფულადი სამუალებების გამოყენებით იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი პირები არ არიან ჩართულნი ნებისმიერ ისეთ საქმიანობაში, რაც არღვევს მიმღებთა და მომწოდებლების ქცევის კოდექსებს.

6.7 **პროგრამის აქტივები.**

(1) ***საკუთრების უფლება*** - პროგრამის შესრულების პერიოდის განმავლობაში, შესაბამისი პროგრამის აქტივების საკუთრების უფლება ენიჭება ძირითად მიმღებს ან ქვემიმღებებს, ან ნებისმიერ პირს, რომელსაც დაამტკიცებს გრანტის მიმღები ან გრანტის მიმღების მხრიდან მოქმედი ძირითადი მიმღები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გლობალური ფონდი დაადგენს, რომ საკუთრების უფლება გადაცემულ იქნა ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ, გლობალური ფონდისთვის ან გლობალური ფონდის მიერ დასახელებული ნებისმიერი სხვა იურიდიული პირისთვის.

(2) ***ძირითადი საშუალებების რეესტრი*** - თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სატანადო და აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიმღების და თითოეული ქვემიმღებების მიერ ყველა გრანტის ფულადი საშუალებებით მიღებული ძირითადი საშუალების სათანადო ჩანაწერების წარმოება.

6.8 **სამსახურებრივი წერილი.** გრანტის მიმღებისთვის და ძირითადი მიმღებისთვის პროგრამების განხორციელებისას დახმარების აღმოჩენის დროს, გლობალურმა ფონდმა დროდადრო უნდა გასცეს სამსახურებრივი წერილები დამატებითი ინფორმაციის და ინსტრუქციის წარმოდგენის მიზნით შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებაში მითითებულ საკითხებთან მიმართებაში ან პროგრამასთან სხვაგვარად დაკავშირებით.

## მუხლი 7 წიგნები და ჩანაწერები; აუდიტები

7.1 **პროგრამის წიგნები და ჩანაწერები.** თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღები მიიღებს ყველა სათანადო და აუცილებელ ზომას და უზრუნველყოფს ძირიტადი მიმღების და ყველა ქვემიმღებების მიერ შესაბამისი პროგრამის წიგნების და ჩანაწერების წარმოებას მასპინძელი ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული სააღრიცხვო სტანდარტების თანახმად, ამასთან, ასეთი პროგრამის წიგნები და ჩანაწერები სათანადოდ უნდა მიუთითებდეს ბენეფიციარის/მოსარგებლის სახელს და თითოეული გადახდის დანიშნულებას და შესაძლებელს ხდიდეს ხარჯების სრულ შესაბამისობას სათანადო მხარდამჭერი დოკუმენტების თანხლებით. პროგრამის წიგნები და ჩანაწერები უნდა იყოს შენახული სულ მცირე შვიდი წლის განმავლობაში უკანასკნელი გადახდის დღის შემდეგ გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ან კიდევ უფრო ხანგრძლივი პერიოდით, როგორც ამას შესაძლოა მოიტხოვდეს გლობალური ფონდი.

7.2 **ძირითადი მიმღებისა და ქვემიმღების აუდიტები.** თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი და სათანადო ზომა და აგრეთვე უნდა ურუნველყოს, რომ ძირითადმა მიმღებმა და ქვემიმღებებმა

განახორციელონ შესაბამისი ყოველწლიური ფინანსური აუდიტები პროგრამის შემოსავლებთან და ხარჯებთან მიმართებაში, რომელთაც ჩაატარებენ დამოუკიდებელი აუდიტორები აუდიტის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა ყველა დებულება უნდა იქნეს ჩართული წინამდებარე დოკუმენტში სრული იურიდიული ძალით.

7.3 **დამოუკიდებელი აუდიტორი.** თითოეული პროგრამისთვის, ნაწილ 7.2-ში მითითებული დამოუკიდებელი აუდიტორ(ებ)ი უნდა იქნენ შერჩეული სამი თვის განმავლობაში შესაბამისი გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტის ამოქმედების დღიდან. ასეთი დამოუკიდებელი აუდიტორ(ებ)ი უნდა იქნეს შერჩეული და დამტკიცებული გლობალური ფონდის მიერ შესაბამისი პირობების თანახმად.

7.4 **აუდიტის ანგარიშები.** თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა და უზრუნველყოს, რომ ძირითადმა მიმღებმა წარუდგინოს გლობალურ ფონდს აუდიტის ანგარიშები გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში აუდიტის ინსტრუქციის მოტხოვნების შესაბამისად.

7.5 **გლობალური ფონდის მიერ ჩატარებული აუდიტი.** თითოეული პროგრამისთვის, გლობალური ფონდი იტოვებს უფლებას, დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით (გრანტის ფულადი საშუალებების ან ამ მიზნისთვის განკუთვნილი სხვა რესურსების გამოყენებით), აუდიტების ჩასატარებლად, როგორც ამას მოითხოვს შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულება და/ან ჩაატაროს ფინანსური მიმოხილვა, სასამართლო აუდიტი ან შეფასება ან მიიღოს ნებისმიერი სხვა ზომა, რაც აუცილებლადაა მიჩნეული ძირითადი მიმღების და ქვემიმღებების ანგარიშგების უზრუნველსაყოფად გრანტის ფულად საშუალებებთან მიმართებაში და გრანტის მიმღების და ძირითადი მიმღების მიერ შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისთვის. გრანტის მიმღებმა უნდა ითანამშრომლოს და ყველა სათანადო და აუცილებელ ზომას უნდა მიმართოს, რათა აიძულოს ძირითად მიმღებს, ქვემიმღებებს და მომწოდებლებს ითანამშრომლონ გლობალურ ფონდთან და მის წარმომადგენლებთან ასეთი შეფასების, განხილვის, აუდიტის, ინსპექციის, დადასტურების, თაღლითობის საწინააღდეგო მოქმედებების, გამოძიების ან სხვა მოქმედებების განხორციელების მიზნით.

7.6 **დაშვების უფლება.** თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძირითადი მიმღები და ყველა ქვემიმღებები, აგრეთვე ყველა შესაბამისი მესამე მხარეები ნებას დართავენ გლობალური ფონდის უფლებამოსილ წარმომადგენლებს, გენერალური ინსპექტორის ოფისის, გლობალური ფონდის წარმომადგენლების და გლობალური ფონდის მიერ დანიშნული სხვა მესამე პირების ჩათვლით, ჰქონდეთ შეუზღუდავი წვდომა ნებისმიერ დროს შემდეგთან: (1) პროგრამის წიგნებთან და ჩანაწერებთან და პროგრამასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დოკუმენტებთან, მათ შორის და არა მარტო ელექტრონული ფოსტის კორესპონდენციასთან საფოსტო სერვერებთან წვდომის გზით, დუბლიკატებთან და საარქივო საშუალებებთან და სააღრიცხვო ინფორმაციის წარმოდგენასთან, პაროლებსა და კოდებთან; (2) ძირითადი მიმღების და მისი ქვემიმღებების ტერიტორია/სათავსოები, სადაც ინახება პროგრამის წიგნები და ჩანაწერები ან ხორციელდება პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული საქმიანობა; (3) სხვა ადგილები, სადაც ინახება პროგრამასტან დაკავშირებული დოკუმენტები ან ხორციელდება პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული საქმიანობა; (4) ძირითადი მიმღების და ყველა ქვემიმღების პერსონალი; და (5) ყველა კომპიუტერი და შემნახველი მედია საშუალებები, რომლებიც გამოიყენება (a) პროგრამასთან დაკავშირებული პროგრამული მონაცემების ან (b) პროგრამის წიგნებისა და ჩანაწერების დამუშავებისა და შენახვისას, სააღრიცხვო ინფორმაციის, პაროლების და კოდების წარმოდგენის ჩათვლით. თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა და უზრუნველყოს, რომ პროგრამის მიმღების მიერ გაფორმებული თითოეული ქვემიმღების ხელშეკრულება მოიცავდეს წინამდებარე ნაწილში განსაზღვრული შეუზღუდავი დაშვების უფლებას. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე ნაწილში მოცემული შეუზღუდავი დაშვების უფლებაზე უარის თქმა, მათ შორის და არა მარტო, გენერალური ინსპექტორის ოფისის შეუზღუდავი დაშვების უფლებაზე უარის თქმა წარმოადგენს და განიხილება, როგორც შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების დარღვევა. თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა დამატებით უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძირითადი მიმღების მიერ მესამე

მხარესთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულება არ ზღუდავდეს, კონფიდენციალურობის ვალდებულების მეშვეობით ან სხვაგვარად, გლობალურ ფონდს წინამდებარე ნაწილში მოცემული უფლებების სრულად განხორციელებისას, ხოლო გრანტის მიმღები ან ძირითადი მიმღები შეატყობინებენ გლობალურ ფონდს დაუყოვნებლივ ასეთი შეზღუდვის აღმოცენების შემთხვევაში.

7.7 **შეტყობინება.** თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღებმა ან გრანტის მიმღების მხრიდან მოქმედმა ძირითადმა მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ გლობალურ ფონდს წერილობით ძირითადი მიმღების ან მისი ქვემიმღებების თუ მომწოდებლების ოპერაციების ნებისმიერი აუდიტის, გამოძიების, პრობაციის, მოთხოვნის/სარჩელის ან საქმეთწარმოების შესახებ.

## მუხლი 8
## გრანტის მიმღების წარმომადგენლობა

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე ხელშეკრულება სხვაგვარად განსაზღვრავს, გრანტის მიმღები გლობალურ ფონდს წარუდგენს შემდეგ გარანტიებს ჩარჩო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს, ხოლო თითოეული ასეთი წარმომადგენლობა განიხილება განმეორებულად გრანტის მიმღების მიერ თითოეული გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტის ძალაში შესვლის დღეს, რომლებიც გაფორმდება ჩარჩო ხელშეკრულების შესაბამისად:

8.1 **ქმედუნარიანობა.** გრანტის მიმღები არის სუვერენული სახელმწიფო ან დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსის მქონე პირი, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს შესაბამისი კანონმდებლობისა და იურისდიქციის საფუძველზე;

8.2 **აუცილებელი უფლებამოსილება.** გრანტის მიმღებს და გრანტის მიმღების მხრიდან მოქმედ ძირითად მიმღებს აქვთ ყველა აუცილებელი უფლებამოსილება და/ან სათანადოდ არიან უფლებამოსილნი ყველა აუცილებელი თანხმობით, მოქმედებებით, დასტურითა და ავტორიზაციით თითოეული გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებისა და ნებისმიერი სხვა დაკავშრებული დოკუმენტის გაფორმებისა და შესრულებისთვის და გრანტის მიმღების ყველა ვალდებულების შესასრულებლად თითოეული გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების და ნებისმიერი სხვა დაკავშირებული დოკუმენტების თანახმად. გრანტის მიმღების მიერ გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება და განხორციელება არ უნდა არღვევდეს და არ უნდა მოდიოდეს კონფლიქტში ნებისმიერ მოქმედ კანონთან, კონსტიტუციონალური დოკუმენტების ნებისმიერ დებულებასთან, ნებისმიერი სასამართლოს ან კომპეტენტურის უფლებამოსილი ორგანოს განკარგულებასთან ან ნებისმიერ სავალდებულო სახელშეკრულებო შეზღუდვასთან და არ უნდა ახდენდეს მასზე გავლენას;

8.3 **ვალდებულებათა აუცილებელი ბუნება.** გრანტის მიმღებმა გაიარა კონსულტაცია საკუთარ იურისტებთან და ადასტურებს შემდეგს: (1) გრანტის მიმღების ვალდებულებები თითოეული გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად წარმოადგენს იურიდიულ, მოქმედ და აუცილებელ ვალდებულებას, რომლებიც მოქმედებს გრანტის მიმღების მიმართ ასეთი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; და (2) მასპინძელი ქვეყნის კანონები არ უკრძალავს გრანტის მიმღებს საკუთარი ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას თითოეული გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, განსაკუთრებით (და არა მარტო) ნაწილებში 7.5 და 7.6 მითითებული პირობების თანახმად;

8.4 **კანონებთან შესაბამისობა.** გრანტის მიმღების და თითოეული ძირიტადი მიმღების ყველა შესაბამისი მოქმედება/საქმიანობა, შესაბამისი გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტის ამოქმედების დღიდან, ხორციელდება მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის და არა მარტო, ინტელექტუალური საკუთრების კანონის თანახმად. ამას გარდა, გრანტის მიმღები და თითოეული ძირითადი მიმღები სრულად აცნობიერებენ კანონების არსებობას, რომლებიც ზღუდავენ ტერორიზმთან დაკავშრებული ფიზიკური პირებისთვის და ორგანიზაციებისთვის გარკვეული რესურსების წარმოდგენასა და მხარდაჭერის აღმოჩენას და რომ ევროპის კავშირმა, აშშ ხელისუფლებამ და გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭომ შეიმუშავეს ტერორიზმთან დაკავშირებული ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების ჩამონათვალი;

8.5 **პრეტენზიების წარუდგენლობა.** თითოეული ასეთი პროგრამისთვის, არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნა/სარჩელი, არ უნდა მიმდინარეობდეს გამოძიება ან საქმეთწარმოება, რაც მიმართული იქნება გრანტის მიმღების ან ძირითადი მიმღების წინააღდეგ, რაც სხვაგვარად განსაზღვრის შემთხვევაში უარყოფით გავლენას მოახდენდა გრანტის მიმღების ან ძირითადი მიმღების უნარზე განახორციელონ შესაბამისი პროგრამა;

8.6 **ურთიერთდამატება.** (მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები არის მასპინძელი ქვეყანა) თითოეული პროგრამისთვის, გრანტის ფულადი საშუალებები მიღებულია მასპინძელი ქვეყნის მიერ გარე და შიდა წყაროებიდან მიღებული რესურსების დამატების სახით გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული მოქმედებების/საქმიანობის განსახორციელებლად; და

8.7 **ორმაგი დაფინანსების დაუშვებლობა.** თითოეული პროგრამის ფარგლებში ასეთი პროგრამისთვის განსაზღვრული მიზნების მიღწევა შესაძლებელი ხდება გლობალური ფონდის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დაფინანსებით შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად. თითოეული პროგრამისთვის, არც ერთი გრანტის მიმღები, ძირითადი მიმღები ან ნებისმიერი სხვა ქვემიმღებები არ მიიღებს დაფინანსებას ნებისმიერი სხვა წყაროდან, რაც გააორმაგებს შესაბამისი გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტის თანახმად წარმოდგენილ გრანტის ფულად საშუალებებს.

თითოეული პროგრამისთვის, ნებისმიერი ნივთობრივი შეცდომა გრანტის მიმღების მიერ ზემოთ ხსენებულ საკითხებთან მიმართებაში, ჩაითვლება დარღვევად და წარმოადგენს შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

## მუხლი 9 გრანტის მიმღების შეთანხმებები

თითოეულ პროგრამასთან დაკავშირებით, შესაბამისი გრანტის მიღების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული შესრულების პერიოდისთვის, გრანტის მიმღები თანახმაა და იღებს ვალდებულებებს გლობალური ფონდის წინაშე შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

9.1 **უფლებამოსილება.** გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მათ შორის და არა მარტო, გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების დამატებები/ცვლილებები/დანართები) შემდგენი ყველა პირი ასეთი დოკუმენტების შედგენის და შესრულების დროს სათანადოდ იქნება უფლებამოსილი წარმოადგინოს ან სხვაგვარად იმოქმედოს გრანტის მიმღების, ან გარკვეულ შემთხვევებში, ძირითადი მიმღების მხრიდან და მისი სახელით შესაბამისი დოკუმენტების შედგენისა და შესრულებისთვის;

9.2 **შეტყობინება არსებითი მოვლენების შესახებ.** გრანტის მიმღები ან გრანტის მიმღების მხრიდან და მისი სახელით მოქმედი ძირითადი მიმღები დაუყოვნებლივ გაუგზავნიან წერილობით შეტყობინებას გლობალურ ფონდს ნებისმიერი სარჩელების/მოთხოვნების, გამოძიების ან საქმეთწარმოების შესახებ, რაც სხვაგვარად განსაზღვრის შემთხვევაში, შესაძლოა გონივრულად იქნეს მოსალოდნელი, რომ გამოიწვევს ნივთობრივად უარყოფით გავლენას გრანტის მიმღების, ძირითადი მიღების ან ნებისმიერი ქვემიმღებების უნარზე, განახორციელონ პროგრამა ან შეასრულონ საკუთარი ვალდებულებების გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად;

9.3 **ბიზნესის წარმოება.** გრანტის მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა და აიძულოს ძირითად მიმღებს და ნებისმიერი ქვემიმღებებს მიიღონ ასეთი ზომები, რათა დაიცვან, განაახლონ და შეინარჩუნონ სრული იურიდიული ძალით ყველა უფლება, ლიცენზია და ნებართვა, რაც შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს პროგრამის საქმიანობის წარმოებისთვის, რისთვისაც ისინი პასუხს აგებენ;

9.4 **კანონებთან შესაბამისობა.** გრანტის მიმღებმა უნდა დაიცვას და განახორციელოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ ძირითადი მიმღები დდა ქვემიმღებები დაიცავენ მასპინძელი ქვეყანის კანონმდებლობას და სხვა მოქმედ კანონებს, მათ შორის და არა მარტო, ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობას პროგრამის საქმიანობის წარმოებისას;

9.5 **ურთიერთდამატება.** (მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გრანტის მიმღები არის მასპინძელი ქვეყანა) თითოეული პროგრამისთვის, გრანტის მიმღები ან გრანტის მიმღების მხრიდან და მისი სახელით მოქმედი ძირითადი მიმღები მიიღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა ნაწილი 8.6-ში მითითებული განცხადება ძალაში იქნება ასეთი პროგრამის მთლიანად შესრულების პერიოდის განმავლობაში;

9.6 **შეტყობინება დამატებითი დაფინანსების შესახებ.** გრანტის მიმღებმა ან გრანტის მიმღების მხრიდან მოქმედმა ძირითადმა მიმღებმა უნდა წარუდგინოს გლობალურ ფონდს წერილობითი შეტყობინება გრანტის მიმღების, ძირტადი მიმღების ან ნებისმიერი სხვა ქვემიმღებების მიერ მიღებული ნებისმიერი დამატებითი დაფინანსების შესახებ, რაც შესაძლოა მოითხოვდეს პროგრამასთან მიმართებაში გარკვეულ დარეგულირებას იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ ნაწილი 8.7-ის მიხედვით გაკეთებული განცხადებები ძალაში რჩება ასეთი პროგრამის მთლიანად შესრულების პერიოდის განმავლობაში; და

9.7 **პროგრამის მართვა.** გრანტის მიმღები მიიღებს ყველა სათანადო და აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიმღების მხრიდან შემდეგი მოქმედებების განხორციელება:

(1) წარმოადგენს კვალიფიციურ და გამოცდილ პერსონალს მაღალი მორალური და ეთიკური სტანდარტებით პროგრამის განხორციელების მართვის მიზნით;

(2) შეიმუშავებს შიდა კონტროლის სათანადო სისტემას შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის, მათ შორის და არა მარტო, სააღრიცხვო სისტემას, რომელიც სწორად და დაუყოვნებლივ ჩაიწერს ყველა ტრანზაქციას და ბალანსებს მათი პროგრამის ბიუჯეტზე და სამუშაო გეგმაზე მითითებით, აგრეთვე საბოლოო ბენეფიციართან/მოსარგებლესთან თუ გადახდების მიმღებთან მიმართებაში;

(3) წარმართავს ყველა ტრანზაქციას და გადაცემას მის ქვემიმღებებთან და მომწოდებლებთან გამჭვირვალე და კარგად დოკუმენტირებულ რეჟიმში;

(4) უზრუნველყოფს გრანტის ფულადი საშუალებების სათანადოდ გამოყენებას და ყველა სათანადო და აუცილებელ ზომას მიმართავს იმისთვის, რომ არ დაუშვას გრანტის ფულადი საშუალებების გამოყენება ძალადობის მხარდასაჭერად, დაფინანსებისა თუ რეკლამირებისთვის, ტერორისტების ან ტერორიზმთან დაკავშირებული საქმიანობის დახმარებისთვის ან იმ ორგანიზაციების დაფინანსებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ ტერორიზმს;

(5) განახორციელებს მისი ქვემიმღებების საკმარის კონტროლს, მათ შორის, დაიცავს შესაბამისი პროგრამის აქტივებს და უზრუნველყოფს პროგრამის წიგნებისა და ჩანაწერების ხანგრძლივად და სათანადო შენახვას, აგრეთვე ანგარიშგებას, როგორც ამას მოითხოვს შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულება და ქვემიმღებების შესახებ ხელშეკრულებები; და

(6) უზრუნველყოფს და წარმოადგენს სათანადო შემნახველ საშუალებას და სხვა სათავსოებს პროგრამის აქტივების შემდგომი ხარისხობრივი გამოყენებისთვის და უზრუნველყოფს მათ ადეკვატურ ფუნქციონირებას.

## მუხლი 10
## ძირიტადი მიმღების შეცვლა; შეჩერება; შეწყვეტა; პროგრამის განხორციელების პერიოდის ამოწურვა

10.1 **ძირითადი მიმღების შეცვლა.** თითოეული პროგრამისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერ დროს გრანტის მიმღები ან გლობალური ფონდი დაასკვნის, რომ ძირითად მიმღებს არ შეუძლია ძირითადი მიმღების ფუნქციების შესაბამისი პასუხისმგებლობის შესრულება შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად ან იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მიზეზით, გლობალურ ფონდსა და გრანტის მიმღებს სურთ გრანტის მიმღების ან ძირითადი მიმღების გარკვეული ან ყველა პასუხისმგებლობის გადაცემა შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად სხვა პირისათვის, რომელსაც შეუძლია და სურს მიიღოს ასეთი პასუხისმგებლობა, მაშინ ასე სხვა პირი ჩაანაცვლებს გრანტის მიმღებს ან ძირითად მიმღებს შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებაში. ასეთი ჩანაცვლება თავს იჩენს ისეთ პირობებში, რომლებზედაც შეთანხმდებიან გლობალური ფონდი და ჩამნაცვლებელი პირი, CCM ან, გარკვეულ შემთხვევაში, RCM ან RO კონსულტაციების შედეგად. გრანტის მიმღები მიიღებს ყველა სათანადო და აუცილებელ ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძირითადი მიმღები და ყველა ქვემიმღები ითანამშრომლებენ გლობალურ ფონდთან და CCM ან, გარკვეულ შემთხვევებში, RCM ან RO გადაცემის მხარდასაჭერად.



ა ჯ[illegible]

10.2 **შეჩერება და შეწყვეტა.** თითოეული პროგრამისთვის, გლობალურ ფონდს უფლება აქვს შეწყვიტოს ან შეაჩეროს გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების შესრულება მთლიანად ან ნაწილობრივ გრანტის მიმღების ან ძირითადი მიმღების მიერ გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერი დებულების შეწყვეტისთვის ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელიც უნდა განსაზღვროს გლობალურმა ფონდმა საკუთარი შეხედულებისამებრ, გაუგზავნის რა ამის შესახებ გრანტის მიმღებს (ან გრანტის მიმღების მხრიდან მოქმედ ძირითად მიმღებს) შესაბამის წერილობით შეტყობინებას. გრანტის წარმოდგენის შესახებ ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არ შეწყდება ან რომლიც მოქმედება არ შეჩერდება, განაგრძობს მოქმედებას სრული სამართლებრივი ძალით.

10.3 **შესრულების პერიოდის ვადის ამოწურვის ან ვადამდელი შეწყვეტის პროცედურები.** პროგრამის შესრულების პერიოდის ამოწურვისას ან გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ ნებისმიერი მიზეზით, გრანტის მიმღები ან გრანტის მიმღების მხრიდან მოქმედი ძირითადი მიმღები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გლობალური ფონდი სხვაგვარად გადაწყვეტს და სხვა პროცედურებთან ერთად, რომელთა შესრულებაც შესაძლოა მოეთხოვებოდეს გლობალურ ფონდს, განახორციელებს შემდეგს: (1) უზრუნველყოფს ყველა ჯანდაცვის პროდუქტის, საქონლის, მომსახურების და საქმიანობის დაფინანსებას გრანტის ფულადი საშუალებებით, მათ შორის ქვემიმღებების მიერ შესყიდული და გაწეული ჯანდაცვის პროდუქტის, საქონლის, მომსახურების და საქმიანობის დაფინანსებას, სრულად გადახდას არაუგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში შესრულების პერიოდის ამოწურვის შემდგომ ან შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, არაუგვიანეს ასეთი შეწყვეტის ძალაში შესვლის დღისა;

(2) მიაწოდოს გლობალურ ფონდს პროგრამის საბოლოო აუდიტის ფინანსური ანგარიში არაუგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან ვადამდელი შეწყვეტის შემდგომ;

(3) შვიდი თვის განმავლობაში ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან ვადამდელი შეწყვეტის შემდეგ, დაუბრუნებს გლობალურ ფონდს გრანტის ფულად საშუალებებს, რომლებიც არ იქნა დახარჯული გრანტის მიმღების, ძირიტადი მიმღების და ქვემიმღებების მიერ პროგრამის საქმიანობისთვის შესრულების პერიოდის ვადის ამოწურვისას ან შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდ დღეს (შესაბამისად), თუ ამას მოითხოვს გლობალური ფონდი;

(4) სამი თვის განმავლობაში ადის ამოწურვის ან ვადამდელი შეწყვეტის შემდეგ, მიაწოდოს გლობალურ ფონდს ინვენტარი პროგრამის აქტივების სახით და გადასახდელი დებიტორული დავალიანების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში; და

(5) წარმოადგინოს (CCM ან, გარკვეულ შემთხვევებში, RCM ან RO კონსულტაციით მომზადებული) გეგმა მოცემული ნაწილის ქვეპარაგრაფ (4)-ში მითითებული პროგრამის აქტივების და დებიტორული დავალიანების გამოყენებისთვის, ხოლო ასეთი გეგმა საბოლოოდ უნდა დაამტკიცოს გლობალურმა ფონდმა.

10.4 **პროგრამის აქტივების გადაცემა.** პროგრამის შესრულების ვადის ამოწურვისთანავე ან შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამის პროგრამულ აქტივებზე უფლება გადაეცემა ან სხვაგვარად უნდა იქნეს განკარგული გლობალური ფონდის წერილობითი ინსტრუქციების შესაბამისად.

## მუხლი 11
## ფულადი საშუალებების დაბრუნება; ვალდებულებათა შეზღუდვა; ზარალის ანაზღაურების გარანტია

11.1 **ფულადი საშუალებების მოთხოვნის უფლება.** თითოეული პროგრამისთვის, მიუხედავად რაიმე სახის სამართლებრივი დაცვის ინსტრუმენტების ხელმისაწვდომონა ან გამოყენების შესაძლებლობა შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, გლობალურმა ფონდმა შესაძლოა მოსთხოვოს გრანტის მიმღებს ან გრანტის მიმღების მხრიდან მოქმედ ძირითად მიმღებს დაუბრუნოს გლობალურ ფონდს შესაბამისი გრანტის ფულადი საშუალებები ნებისმიერ ქვემოთ მოცემულ შემთხვევაში:

(1) მოთხოვნების მიყენება ხდება გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების თანახმად;

(2) გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულება შეწყვეტილია ან შეჩერებული;

(3) გრანტის მიმღებმა ან ძირითადმა მიმღებმა დაარღვიეს გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება;

(4) გრანტის მიმღებმა წარმოადგინა მცდარი განცხადებები და გარანტიები გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით; ან

(5) გლობალურმა ფონდმა აუნაზღაურა/გადაუხადა გრანტის ფულადი სამუალებები გრანტის მიმღებს ან ძირითად მიმღებს შეცდომით.

11.2 **გლობალური ფონდის ვალდებულებათა შეზღუდვა.** თითოეული პროგრამისთვის გლობალური ფონდი პასუხს აგებს მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებაზე, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებაში. გარდა მითითებული ვალდებულებებისა, გლობალური ფონდი თითოეული პროგრამისთვის არ არის ვალდებული CCM ან, გარკვეულ შემთხვევებში, RCM ან RO (ან მათი ნებისმიერი წევრის), გრანტის მიმღების, ძირითარი მიმღების, ქვემიმღებების, ნებისმიერი თანამშრომლის, კონტრაქტორის, მომწოდებლის ან ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიმართ, გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად ან სხვაგვარად, პროგრამის განხორციელების შედეგად. ნებისმიერი ფინანსური ან სხვა ვალდებულება, რომელიც შესაძლოა აღმოცენდეს პროგრამის განხორციელების შედეგად, მიიჩნევა მხოლოდ გრანტის მიმღების და/ან ძირითადი მიმღების პასუხისმგებლობად, ხოლო გლობალური ფონდი არ იქნება ვალდებული ნებისმიერი ზარალის/ზიანის მიყენების შემთხვევაში ნებისმიერი პირის ან საკუთრების მიმართ პროგრამის განხორციელებასთან მიმართებაში. გრანტის მიმღები აღიარებს და მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ აიძულოს ძირითად მიმღებს აღიაროს, რომ არ განახორციელებს პროგრამას გლობალური ფონდის სახელით. გრანტის ხელშეკრულება და მის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი ანაზღაურება არ განიხილება, როგორც ურთიერთობის ჩამოყალიბების წინაპირობა მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის, კანონიერ პარტნიორობას ან გაერთიანებულ საწარმოს გლობალურ ფონდსა და გრანტის მიმღებს, ძირითად მიმღებს ან პროგრამის შესრულებაში ჩართულნებისმიერ სხვა პირს შორის. გრანტის მიმღებმა არ უნდა განაცხადოს და უნდა მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ ძირითადმა მიმღებმა, ქვემიმღებებმა და მომწოდებლებმა არ განაცხადონ, რომ არიან გლობალური ფონდის წარმომადგენლები და უნდა მიიღონ სიფრთხილის ყველა გონივრული ზომა ასეთი დამოკიდებულების არსებობის ნებისმიერი ფორმით აღქმის თავიდან აცილების მიზნით.

11.3 **ზარალის ანაზღაურების გარანტია.** გრანტის მიმღებმა უნდა დაიცვას, უზრუნველყოს ზარალის ანაზღაურება გლობალური ფონდისთვის, მისი დირექტორებისათვის, თანამშრომლებისთვის და გლობალური ფონდის წარმომადგენლებისა და კონტრაქტორებისთვის - (1) გლობალური ფონდის, მისი დირექტორების, თანამშრომლები ყველა ზარალისგან და (2) ყველა სარჩელის/მოთხოვნის, ვალდებულებების, სარჩელების, მოქმედებების (მათ შორის და არა მარტო გადასახადები, ანაზღაურება და ადვოკატების გონივრული ჰონორარები), საქმეთწარმოების, ზიანის, ხარჯების და მოვალეობებისგან, რაც შესაძლოა გაწეულ იქნეს გლობალური ფონდის მიერ ან მტკიცებულ იქნეს გლობალური ფონდის, მისი დირექტორების, თანამშრომლების წინაამდეგ ნებისმიერი პირის მხრიდან, გრანტის მიმღების, ძირითადი მიმღების და მისი წარმომადგენლების, თანამშრომლების, ქვემიმღებების, მომწოდებლების, უფლებამონაცვლეობის, კანონმემკვიდრეების, დელეგატების მოქმედებებისა თუ უმოქმედობის შედეგად.

## მუხლი 12
## სხვადასხვა

12.1 **ნდობით აღჭურვილი პირი.** გლობალური ფონდი და მსოფლიო ბანკი აფორმებენ ხელშეკრულებას, რომლის მეშვეობით მსოფლიო ბანკი თანახმა სხვა პირობებთან ერთად შეასრულოს ტრასტული ფონდის ნდობით აღჭურვილი პირის ფუნქციები. გლობალური ფონდის ყველა ვალდებულება ნებისმიერი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად არის გლობალური ფონდის ვალდებულებები, ხოლო მსოფლიო ბანკი არ იღებს ვალდებულებას გლობალური ფონდის ვალდებულებების შესრულებაზე ასეთი გრანტის წარმოდგენის ხელშეკრულების შესაბამისად.

12.2 **პრივილეგიები და იმუნიტეტები.**

(1) თითოეული პროგრამისთვის დაუშვებელია გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რეიმე განხილულ იქნეს, როგორც უფლებებზე, პრივილეგიებზე თუ იმუნიტეტებზე უარის თქმა გლობალურ ფონდთან შეთანხმებით (a) საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, საერთაშორისო ჩვეულებრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო კონვენციების, შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების ჩათვლით, (b) ნებისმიერი ნაციონალური კანონმდებლობის თანახმად, მათ შორის და არა მარტო, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ორგანიზაციების იმუნიტეტის შესახებ კანონი (22 გაერთიანებული შტატების კოდექსი 288), ან (c) გლობალურ ფონდსა და შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შორის 2004 წლის 13 დეკემბერს გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულების თანახმად.

(2) იმ შემთხვევაში, თუ გრანტი არის მასპინძელი ქვეყანა, სამი წლის განმავლობაში, ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, გრანტის მიმღებმა უნდა განახორციელოს ყველა სათანადო და აუცილებელი მოქმედება გლობალური ფონდისთვის შესაბამისი პრივილეგიების და იმუნიტეტის მინიჭების უზრუნველყოფისთვის შემდეგნაირად: (a) შესაბამისი შიდა კანონმდებლობის გამოყენებით, რაც გლობალურ ფონდს ანიჭებს სტატუსს, შესაძლებლობებს, პრივილეგიებსა და იმუნიტეტს, რომლებითაც სარგებლობენ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ასეთი მასპინძელი ქვეყნის სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, და/ან (b) გლობალური ფონდის საბჭოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად "შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პრივილეგიების და იმუნიტეტის შესახებ".

12.3 **ცვლილება ან დამატება.** გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარე საკუთარ უფლებებს ან დისკრეციულ უფლებამოსილებას წინამდებარე გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ასეთი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა დაუშვებელი იქნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ცვლილებები და/ან დამატებები შედგება წერილობით და ხელმოწერილ იქნება გლობალური ფონდის და გრანტის მიმღების შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების (ან გრანტის სახელით მოქმედი ძირითადი მიმღების) მიერ.

12.4 **ინფორმაციის გავრცელება.** თითოეული პროგრამისთვის გრანტის მიმღებიაღიარებს და თანხმდება, აგრეთვე მიიღებს ყველა ზომას იმისათვის, რომ აიძულოს ძირითად მიმღებს, თითოეულ მის ქვემიმღებს და მომწოდებლებს აღიარონ და დათანხმდნენ, რომ გლობალური ფონდი უფლებამოსილი იქნება თავისუფლად გამოაქვეყნოს ან გაავრცელოს პროგრამის განხორციელების შედეგად გამომდინარე ინფორმაცია, მათ შორის და არა მარტო, ნაწილი 7.6-ის თანახმად მიღებული ან აღმოჩენილი ინფორმაცია და ნაწილი 7.5-ის თანახმად წარმოდგენილი ნებისმიერი ანგარიშები, გრანტის მიმღების, ძირითადი მიმღებისა თუ ნებისმიერი ქვემიღებებისა და მომწოდებლებისმ მიმართ ყოველგვარი ვალდებულებების მიყენების გარეშე.

12.5 **უფლებების გამოუყენებლობა.** მხარის მიერ რომელიმე უფლების, ძალაუფლების ან სამართლებრივი დაცვის ინსტრუმენტის შესრულების გადავადება, შეუსრულებლობა შესაბამისი გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების თანახმად არ უნდა ახდენდეს გავლენას/იწვევდეს ასეთი უფლების, ძალაუფლების ან სამართლებრივი დაცვის საშუალების გაუარესებას და არ უნდა განიხილებოდეს შესაბამის უფლებაზე უარის თქმად; ამასთან, ასეთი მხარის არც ერთი მოქმედება ებისმიერი სახის გადაუხდელობასთან ან დათმობასთან მიმართებაში არ მოახდენს გვლენას ან არ გააუარესებს ასეთი მხარის ნებისმიერ უფლებას, ძალაუფლებას ან სამართლებრივი დაცვის ინსტრუმენტს ნებისმიერი სხვა ან შედეგობრივი გადაუხდელობის შემთხვევაში.

12.6 **კანონმემკვიდრეები და უფლებამონაცვლეები.** თითოეული ასეთი პროგრამისთვის, შესაბამისი გრანტის ხელშეკრულება სავალდებულო უნდა იყოს გრანტის მიმღების კანონმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეების მიმართ, ხოლო გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულება განიხილება, რომ მოიცავს და გულისხმობს გრანტის მიმღების კანონმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებს. ამასთან, გრანტის წარმოდგენის შესახებ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ უნდა უშვებდეს გრანტის მიმღების მიერ ნებისმიერ დანიშვნას გლობალური ფონდის წერილობითი დასტურის მიღებამდე.

12.7 **არბიტრაჟი.** ნებისმიერი დავა, შეუსაბამობა ან სარჩელი/მოთხოვნა, რაც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია გრანტის ხელშეკრულებასთან, გრანტის ხელშეკრულების დარღვევასთან, შეწყვეტასა თუ იურიდიული ძალის დაკარგვასთან,

რომლის გადაჭრა შეუძლებელია მეგობრული მოლაპარაკების გზით, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის მეშვეობით გაერთიანებული ერების საერთაშორისო ვაჭრობის კნონის არბიტრაჟის წესების კომისიის შესაბამისად. გლობალური ფონდი და გრანტის მიმღები თანხმდებიან უპირობოდ მიიღონ არბიტრაჟის დადგენილება, როგორც სავალდებულო და საბოლო ნებისმიერი ასეთი დავის, შეუსაბამობის, მოთხოვნის/სარჩელის მიმართ. არბიტრი უნდა დაინიშნოს საერთაშორისო ვაჭრობის პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ. არბიტრების რაოდენობა უნდა განისაზღვროს სამით. არბიტრაჟის ადგილი - ჟენევა, შვეიცარია. საარბიტრაჟო საქმეთწარმოებაში გამოყენებული ენა უნდა იყოს ინგლისური. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, დაუშვებელია გრანტის ფულადი საშუალებების გამოყენება გრანტის მიმღების მიერ იმ ნებისმიერი ხარჯების დასაფარად, რომლებიც გამომდინარეობს ან სხვაგვარადაა დაკავშირებული წინამდებარე ნაწილის მიხედვით წამოწყებულ საქმეთწარმოებასთან.

## Appendix 2
## The Global Fund Costing Dimension

| Analytical grouping | Cost category[72] | Description | Applicable Cost Inputs |
|---|---|---|---|
| **Human Resources** | **1 Human Resources** | Grants may finance the human resources costs of the Principal Recipient and any sub-recipients necessary to ensure that the objectives of the programs funded by Global Fund grants are implemented by competent and motivated individuals | 1.1 Salaries - program management<br>1.2 Salaries - outreach workers, medical staff and other service providers<br>1.3 Performance-based supplements, incentives<br>1.4 Other human resources costs |
| **Program-related Costs** | **2 Travel-related Costs** | Travel-related costs typically include payment for the direct cost of travel and the direct cost of expenses incurred by the Principal Recipient, sub-recipient, or within the Country Coordinating Mechanism funding request for their members or employees to remain away from home for work purposes directly related to implementation of the Global Fund grant program | 2.1 Training related per diems/transport/other costs<br>2.2 Technical assistance-related per diems/transport/other costs<br>2.3 Supervision/surveys/data collection-related per diems/transport/other costs<br>2.4 Meeting/advocacy-related per diems/transport/other costs<br>2.5 Other transportation costs |
| **Program-related Costs** | **3 External Professional Services** | Costs for external professional services should be budgeted at the most economic level, based on the scope and duration of the assistance needed to achieve the program's objectives. In cases of consulting services, the unit cost rates should be aligned with United Nations (UN) standard international or national rates, whichever is applicable. All international external professional services costs should firmly adhere to principles of value for money, and should be budgeted and expended only after demonstrably (based on documented evidence) exploring all local options providing similar services, and if such options are found to be programmatically unviable or financially more expensive.<br>All hiring of external professional services should be fully compliant with indigenous procurement policies of the Principal Recipient(s)/sub-recipients(s)/sub-sub-recipient(s), as well as commonly practiced best practices and procurement principles of transparency, avoidance of conflicts of interest, quality and cost considerations dictating the procurement methodology selected (e.g. QCBS, QBS, single source selections etc.) | 3.1 Technical assistance/consultancy fees<br>3.2 Fiscal/fiduciary agent fees<br>3.3 External audit fees<br>3.4 Other external professional services |
| **Health Products and Commodities-related Costs** | **4 Health Products-Pharmaceutical Products** | Pharmaceutical products are products used to treat the three diseases which include an active pharmaceutical ingredient in its finished dosage form.<br>These are derived from the list of health products, quantities and costs and are automatically integrated in the budget as part of the Principal Recipient submission. | 4.1 ARVs<br>4.2 Anti-tuberculosis medicines<br>4.3 Antimalaria medicines<br>4.4 Opioid substitutes medicines<br>4.5 Medicines for opportunistic infections and sexually transmitted infectio<br>4.6 Private sector subsidies for artemisin-based combination therapies (ACT (co-payments)<br>4.7 Other medicines |
| **Health Products and Commodities-related Costs** | **5 Health Products - Non-Pharmaceuticals** | All health products that cannot be classified as pharmaceutical products or health equipment would fall under this category.<br>Health products- non-pharmaceutical products include items used to prevent, diagnose or treat the three diseases but which do not contain an active pharmaceutical ingredient.<br>These are derived from the list of health products, quantities and costs and are automatically integrated in the budget as part of the Principal Recipient submission. | 5.1 Insecticide-treated nets (long-lasting insecticidal nets/insecticide-treate nets)<br>5.2 Condoms – male<br>5.3 Condoms – female<br>5.4 Rapid diagnostic tests<br>5.5 Insecticides<br>5.6 Laboratory reagents<br>5.7 Syringes and needles<br>5.8 Other consumables |
| **Health Products and Commodities-related Costs** | **6 Health Products - Equipment** | Health equipment covers a vast range of health technical, equipment that are necessary/helpful for program implementation and their purchase is financed out of the Global Fund grant.<br>These are generally items which have a useful life of more than one year, and they should be classified as fixed assets in the primary/subsidiary assets record of the implementers. | 6.1 CD4 analyzer/accessories<br>6.2 HIV viral load analyzer/accessories<br>6.3 Microscopes<br>6.4 TB molecular test equipment<br>6.5 Maintenance and service costs for health equipment[73]<br>6.6 Other health equipment |

[72] The costing elements of the Global Fund modular approach
[73] The implementer may also combine maintenance cost of all equipment (health and non-health) under cost input 9.4 if this will enhance efficiency and facility expenditure reporting.

| Analytical grouping | Cost category[72] | Description | Applicable Cost Inputs |
|---|---|---|---|
| | | Logistics Management Information Systems should be included in the health products – equipment category. | |
| **Health Products and Commodities-related Costs** | **7 Procurement and Supply Chain Management Costs** | Procurement and supply management costs, which are associated with the procurement and supply chain activities under the grant related to pharmaceuticals, health products and medical equipment starting from procurement until distribution to the lowest level the of the distribution chain | 7.1 Procurement agent and handling fees<br>7.2 Freight and insurance costs (health products)[74]<br>7.3 Warehouse and storage costs<br>7.4 In-country distribution costs<br>7.5 Quality assurance and quality control costs<br>7.6 Procurement and supply management customs duties and clearance charges<br>7.7 Other procurement and supply management costs |
| **Infrastructure and Non-Health Equipment** | **8 Infrastructure** | Infrastructure costs necessary to ensure that the Principal Recipients and any sub-recipients have sufficient physical capacity in place to implement and achieve the objectives of the programs funded by Global Fund grants. The budget for infrastructure and non-health equipment should build on the detailed needs assessment developed in support of the concept note. The needs assessment shall include the review of the existing assets and infrastructure in possession by the implementing entities, and provide evidence of any replacement or new procurement needed. | 8.1 Furniture<br>8.2 Renovation/constructions<br>8.3 Infrastructure maintenance and other infrastructure costs |
| **Infrastructure and Non-Health Equipment** | **9 Non-health Equipment** | **all health-related infrastructure/ health equipment should be budgeted and charged to the health products - equipment category<br>***operational costs relating to infrastructure items, including repairs and maintenance, and additional items necessary for keeping the items operational are budget under the cost input 8.3. | 9.1 IT - computers, computer equipment, software and applications<br>9.2 Vehicles<br>9.3 Other non-health equipment<br>9.4 Maintenance and service costs non-health equipment |
| **Program-related Costs** | **10 Communication Material and Publications** | Communication materials include any printed material and other communication costs associated with program-related campaigns, TV spots, radio programs, advertising, media events, education, dissemination, promotion, promotional items. Any human resources and/or technical assistance component of the communications materials and publications costs should be budgeted under human resources and/or external professional services categories, respectively. | 10.1 Printed materials (forms, books, guidelines, brochure, leaflets...)<br>10.2 Television/radio spots and programs<br>10.3 Promotional material (t-shirts, mugs, pins..) and other communication material and publications costs |
| **Indirect and Overhead Costs** | **11 Indirect and Overhead Costs** | Indirect and overhead costs are normally "direct" in the sense that they can be directly attributable to the grant and may include office-related costs, (e.g. rent, electricity, utilities, mail, telephone, and internet, insurance, fuel, security, cleaning etc.). | 11.1 Office-related costs<br>11.2 Unrecoverable taxes and duties<br>11.3 Indirect cost recovery - % based<br>11.4 Other PA costs |
| **Program-related Costs** | **12 Living support to client/ target population** | Living support to clients/target populations incorporates support for income-generating activities and is defined by the Global Fund as: monetary or in-kind support given to clients and patients enabling them to access program services e.g. school fees for orphans, assistance to foster families, transport allowances to the treatment and care centers, patient incentives, grants for revenue-generating activities, food and care packages, or costs associated with supporting patient care | 12.1 Support to orphans and other vulnerable children (school fees, uniform books etc.)<br>12.2 Food and care packages<br>12.3 Cash incentives to patients/counselors/mediators<br>12.4 Micro-loans and micro-grants<br>12.5 Other costs related to living support to client/target population |
| **Program-related Costs** | **13 Results-based Financing** | Innovative investment model for cash on delivery mechanism. This investment model is available at the discretion of the Global Fund under specific circumstances. | The aspect of the results-based financing grant related and paid on performance.<br>If there are other fixed costs not directly linked to performance, the regular cost inputs above should be used for those components. |

[74] (if the tender specifically expects the product to be quoted Free on Board (FOB) and so freight charges are required to be paid)

სს "თიბისი ბანკი", სათაო ოფისი
JSC "TBC BANK", HEAD OFFICE

თიბისი ბანკი
TBC BANK

605/108-38
30.05.2018

# საბანკო გარანტია # 161371-9896556

2018 წლის 30 მაისი

ს.ს. "თიბისი ბანკი"ს კორპორატიული და ინვესტ კლიენტების მომსახურე ჯგუფის უფროსი მენეჯერი ლიდა მელაძე, მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით :

| | |
|---|---|
| გარანტი: | სს "თიბისი ბანკი" |
| პრინციპალი : | საერთაშორისო ფონდი 'კურაციო'<br>საიდენტიფიკაციო ნომერი: 203834716<br>რეგ. თარიღი: 29/12/1994 |
| ბენეფიციარი : | სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| გარანტიის თანხა : | 6 688,30 (ექვსი ათას ექვსასოთხმოცდარვა ლარი და 30 ლარი) ლარი |
| გარანტიის გაცემის საფუძველი : | პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმდება ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება"), აივ ინფექციის მაღალი რისკის შემცველ სამიზნე ჯგუფში - მამაკცები რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან სარისკო ქცევაზე ზედამხედველობის და აივ ინფექციის გავრცელების ტენდენციის შესწავლის მიზნით ბიომარკერული/ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის განხორციელებაზე NAT180005936. |
| გარანტიის ძალაში შესვლის წინაპირობა: | გარანტია ძალაში შევა მას შემდეგ, რაც"ბენეფიციარსა" და „პრინციპალს" შორის გაფორმდება ხელშეკრულება, რომლის თანახმად პრინციპალი ბენეფიციარის წინაშე იკისრებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას. |
| გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება: | "გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ამ საბანკო გარანტიის წერილის პირობების გათვალისწინებით, პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის[1] ვადაში "ბენეფიციარს" გადაუხადოს მოთხოვნაში მითითებული თანხა, მაგრამ არაუმეტეს გარანტიის თანხისა<br>1. სამუშაო დღე - კალენდარული დღე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა.<br><br>ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში (რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ) აუცილებელი წესით უნდა მიუთითოს იმ გარემოების შესახებ თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა.<br><br>წერილობითი მოთხოვნა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად (წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული რაიმე სახის დოკუმენტის წარმოდგენის აუცილებლობის განსაზღვრის შემთხვევაში) წარდგენილ უნდა იქნეს ს.ს. "თიბისი ბანკი"ს კანცელარიაში სამუშაო საათებში. |
| გარანტიის მოქმედების ვადა : | 31.05.2019-ის ჩათვლით<br>მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღის ჩათვლით |

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა "პრინციპალის" შეუსრულებელ ვალდებულებაზე მითითებით, თანდართული "ხელშეკრულების" ასლითა და წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტით (წინამდბარე გარანტიიით ასეთის წარმოდგენის აუცილებლობის განსაზღვრის შემთხვევაში), მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება (ბენეფიციარის მოთხოვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის გასვლით).
საბანკო გარანტია ზემოაღნიშნულის გარდა ასევე უქმდება შემდეგ შემთხვევებში:

- ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობითი უარის თქმით და საბანკო გარანტიის დედნის გარანტისთვის დაბრუნებით;
- პრინციპალის მიერ საგარანტიო ვალდებულებების სრულად შესრულებით, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იქნას ბენეფიციარის მიერ.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #758).
საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკი"ს კორპორატიული და ინვესტ კლიენტების მომსახურე ჯგუფის უფროსი მენეჯერი
ლიდა მელაძე

ს.ს. "თიბისი ბანკი" JSC "TBC BANK" 204854595